აბასეთა მეფე რისმაგაა: ამასაც ტახტი შენგან (ე. ი. აღრიანესგან) აქვს მიღებული (ნ. კეჭალმაძე, გვ. 43).

სანიგთა მეფემ სპალაგამ შენგან (ე. ი. აღრიანესგან) მიიღო ტახტი (ნ. კეჭალმაძე, გვ. 43).

ძილქების მეფე სტაქემუკია: იმასაც შენგან (ე. ი. აღრიანესგან) აქვს ტახტი მიღებული (ნ. კეჭალმაძე, გვ. 52).

იმისდა მიუხედავად, რომ V საუკუნის ანონიმი ასე ბრძოდ იმეორებს არიანეს „მოგზაურობის“ ტექსტს, მაინც აწყობად ჩანს, რომ მას, ანონიმს, სხვა წყაროებიც ჰქონია ხელთ. არის რამდენიმე შემთხვევა, რომ არიანეს „მოგზაურობიდან“ მოყვანილ გეოგრაფიულ ცნობას, ანონიმი უმატებს ახალ განმარტებას:

არიანე

ხობოსის შემდეგ გავიარეთ სანაოსნო მდინარე სინეაზე... 210 სტად. (ნ. კეჭალმაძე, გვ. 41).

მდინარე სინეაჰის შემდეგ არის ტარსურა, მათ შორის მანძილია 120 სტადიონი (ნ. კეჭალმაძე, გვ. 41).

მდინარე კიპოსი დაშორებულია ტარსურას 150 სტადიონით (ნ. კეჭალმაძე, გვ. 41).

კიპოსიდან [მდინარე] ასტელეუს 30 სტადიონი აშორებს (ნ. კეჭალმაძე, გვ. 41).

ანონიმი V საუკუნისა

ლაზთა მეფეა შალასა, რომელმაც შენგან მიიღო სამეფო ტახტი (იხ. ზემოთ, გვ. 8, § 16).

აფსილების მეფეა იულიანე: ამან სამეფო ტახტი მიიღო შამისაგან (იხ. ზემოთ, გვ. 8, § 10).

აბაზგების მეფეა რისმაგა: ამანაც შენგან მიიღო სამეფო ტახტი (იხ. ზემოთ, გვ. 8, § 10).

სანიგების მეფემ სპელაგამ შენგან მიიღო სამეფო ტახტი (იხ. ზემოთ, გვ. 8, § 10).

ჯილქების მეფეა სტახემუკა: ამასაც შენგან აქვს სამეფო ტახტი მიღებული (იხ. ზემოთ, გვ. 10, § 15).

ანონიმი

ხობის წელიდან ვიდრე სივამემდე (რომელსაც აგრეთვე ზივანი ეწოდება) არის 210 სტადიონი (იხ. ზემოთ, გვ. 8, § 6).

ზივანიდან ტარსურის წელამდე (რომელსაც ამჟამად მოქი ეწოდება) არის 120 სტადიონი (იხ. ზემოთ, გვ. 8, § 6).

ტარსურის წელიდან ცხენისწყლამდე (რომელსაც ამჟამად ლაგუმესა ეწოდება) არის 150 სტადიონი (იხ. ზემოთ, გვ. 8, § 6).

ცხენისწყლიდან ვიდრე ასტელეუსის წელამდე (რომელსაც ამჟამად ევრიპე ეწოდება: ხომალდთა შესაღწერი) არის 30 სტადიონი (იხ. ზემოთ, გვ. 8, § 6).

აქედან (ე. ი. პიტიუნტიდან) ნიტი-
კემდე 150 სტადიონია (ნ. კეჭალმაძე,
გვ. 52).

აქუნტიდან ქერაკლეს კონცხამდე
150 სტადიონია (ნ. კეჭალმაძე, გვ. 52).

აქედან „ძველ ლახიკელ“ წოდებულ
ადგილამდე 120 სტადიონია (ნ. კეჭალ-
მაძე, გვ. 53).

ძველ აქაიამდე... აქედან ნავსადგური
პაგრამდე — 350 [სტადიონი] (ნ. კეჭალ-
მაძე, გვ. 53).

ბაგრიდან ჰიერონის ნავსადგურამ-
დე—180 (ნ. კეჭალმაძე, გვ. 53).

აქედან (ე. ი. ჰიერონის ნავსადგური-
დან) სინდიკემდე—300 [სტადიონი] (ნ. კე-
ჭალმაძე, გვ. 53).

აქ მოყვანილი მაგალითებიც ცხად ჰყოფენ, რომ ჩვენს ანონიმს ხელთ ჰქონდა და-
მატებითი წყაროები, რომლებშიც მას ამოუციოთხავს, შედარებით არი ნესთან, უფრო
აბალი ცნობები ზოგიერთი გეოგრაფიული ადგილის შესახებ. სამეცნ. ერო ლიტე-
რატურაში თითქმის სრულდებით არ არის შესწავლილი ანონიმის ამ აბალი ცნო-
ბების წარმომავლობის საკითხი. მხოლოდ ზოგიერთი ადგილის შესახებ კ. მიუ-
ლერს თავის გამოცემის (FHG, ტ. V) სკოლითებში გამოთქმული აქვს საკრთარი
მოსახრება. ერთი ამ ადგილთაგანის შესახებ (Μάχη, მოქვ) ჩვენ უფრო დაწერი-
ლებით ქვემოთ ვლაპარაკობთ.

*

გვ. 3 (სტრ. 18): მდინარე 'Αρχαίης, ერთი შეხედვით ბერძნული „არხა-
ბის“ უნდა უდრიდეს თანამედროვე მდინარეს „არხავე“. მაგრამ ამ გაიგივებას
ხელს უშლის არიანეს „პერიპლუსში“ და ანონიმის ტექსტშიც (იხ. გვ. 18) აღნიშ-
ნული მანძილება პიუსტიდან არხაბისამდე და არხაბისიდან აფსაროსამდე (იხ.
ნ. კეჭალმაძე, ფლავიუს არიანე, თბ. 1961, გვ. 36--37). ამიტომ ჩვენ უფრო

პიტიუნტიდან ვიდრე სტენტიკის
ქვეყნამდე (რომელსაც ოდესღაც
ტრიგლიტა ეწოდებოდა) არის 150
სტადიონი (იხ. ზემოთ, გვ. 10, გ 15).

აქუნტის წელიდან ვიდრე ირაკლის
კონცხამდე (რომელსაც ამჟამად
ერემა ეწოდება) არის 150 სტადიონი
(იხ. ზემოთ, გვ. 11, გ 17).

„მარცხენადან“ ვიდრე ეგრეთწოდე-
ბულ „ძველ ლახიკელ“ (ხადაც დაფუძ-
ნებულია ამჟამად ნიოფსიად წოდე-
ბული, რომლის მახლობლად
არის ამჟამად ეგრეთწოდე-
ბული ფსახისი) არის 120 სტადიონი
(იხ. ზემოთ, გვ. 11, გ 17).

ძველი აქაიიდან პაგრის ნავსადგურამ-
დე (რომელსაც ახლად პეპტალის
ნავსადგური ეწოდება) არის
350 სტადიონი (იხ. ზემოთ, გვ. 12, გ 19).

პეპტალის ნავსადგურიდან ვიდრე
ჰიერონის ნავსადგურამდე (რომელ-
საც ამჟამად ეწოდება ჰიერიო
ანუ ნიკაქსი) არის 180 სტადიონი (იხ.
ზემოთ, გვ. 12, გ 21).

ჰიერონის ნავსადგურიდან ანუ ნიკაქ-
სიდან ვიდრე სინდიკემდე (ანუ სინდიკის
ნავსადგურამდე, რომელსაც ამჟამად
ველუსია ეწოდება) არის 290 სტადიონი
(იხ. ზემოთ, გვ. 12, გ 21).

მისაღებად მიგვაჩნია ნ. ლომოურის ვარაუდი, რომ არიანეს (და ჩვენი ანონიმის) *Αρχμης* უნდა იყოს არა ახლანდელი „არხავე“, არამედ მდინარე ორხოფი (ნ. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფიკების ცნობები კართველ ტომების შესახებ: მასალები საქ. და კავ. ისტორიისათვის, ხაკ. 35, თბ. 1963, გვ. 14). ჩვენი მხრით დავსძენთ, რომ თავისი ბგერითი შესატყვისებით (ა/ო, ბ/ფ) მეგროელ-კანურა „ორხოფი“ უდრის კართულ „არხაბა“-ს.

გვ. 3 (სტრ. 33) *Batys* ჩვენს ნარკვევში „ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის“ (ჭუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. X [1950—1951], გვ. 17—23) მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, რომ პლინიუსი და არიანე ასახელებენ მდინარეს *Batys* (*Βαθύς*), რომლის სახელი მიგვაჩნია ადგილობრივი საბელწოდების გადმოცემად (ბათ-ომ-ისა). ზოლო ბერძნებს ეს სახელწოდება ვაუაზრებიათ, როგორც ბერძნული *Βαθύς* „ღრმა“. მდინარესთან ერთად, მისი შესართავის მახლობლად, უნდა არსებებულყო ქალაქი, რომლის სახელწოდება აგრეთვე *Batys*-ი იყო (გავიხსენოთ ანალოგია: მდინარე „ფახსი“ და ქალაქი „ფახსი“; მდინარე „ისტროსი“ [= დუნაი] და ქალაქი „ისტროსი“).

ამ ბერძნული სახელწოდებიდან *Batys* („ღრმა“) მომდინარეობს ლათინური *Portus altus*, რომელიც *Tabula Peutingeriana*-ზე მოიპოვება (ლათინური *altus* ნიშნავს: „მაღალი“, „ღრმა“).

ამით, ვგვიკრობთ, უდავოდ არის დადასტურებული ბერძნულ-ლათინური სახელწოდება „ბათ-ომ-ისა“. მაგრამ დოც. ნ. ლომოური, რომელიც თავის დროზე (ისტორიის ინსტ. შრომები IV, 1, 1958 წ.) მხარს უჭერდა ჩვენს განმარტებას, უკვე აღარ ეთანხმება *Portus altus*-ისა და „ბათომის“ გაიგივებას და საკითხს სვამს, ხომ არ წარმოადგენს *Portus altus* ფიქვენარის დასახლების აღმნიშვნელ სახელწოდებასო (ნ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ. 1962, გვ. 81—82). ამ ახრის დასასაბუთებლად დოც. ნ. ლომოურს მოჰყავს სხვადასხვა მოსახრება, მათ შორის შემდეგიც: „*Tabula Peutingeriana*-ზე შავი ხლის სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ კოლხეთში შიშვალ სავაჭრო გზაზე სხვა პუნქტთა შორის დასახლებულია პუნქტი *Portus altus*, ანუ ძველი ქალაქი, რომელიც აფსაროსის შემდეგ არის შოთავსებელი... ხომ არ წარმოადგენს *Portus altus* სწორედ ფიქვენარის დასახლების აღმნიშვნელ სახელწოდებას. საქმე ისაა, რომ ეს ცნობა საკმაოდ ძველი წყაროდან უნდა მომდინარეობდეს. ჯერ ერთი კასტორიუსი (ე. ი. T. P.-ს ავტორი) მას ძველ ქალაქსა უწოდებს; გარდა ამისა, არც ერთ ძველ ავტორს ამ ადგილას ქალაქი ან დაბა დასახლებული არა აქვს...“ (ნ. ლომოური, I. c. 81—82).

ფიქვენარის შესახებ აქ სწავს ვერავერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ *Portus altus*-ის მიხთვის მიეუთვნება იმ საბუთით, რომელსაც ნ. ლომოური იყენებს, შეუძლებელია: *altus*-ს ვერ დავაშორებთ *Batys*-ს: ორივე ნიშნავს „ღრმას“.

ლათინურ სიტყვას *altus* ორი ფრიად გავრცელებული ძირითადი მნიშვნელობა აქვს: „მაღალი“ (მაგალითად, „მაღალი მთა“ — *mons altus*) და „ღრმა“ („ღრმა მდინარე“ — *flumen altum*). იშვიათად, მაგრამ მაინც იხმარება ის გადატანითი მნიშვნელობითაც: „შოთველი“, „ძველი“ (ლექსიკოგრაფ *Georges*-ის მიხედვით *der Zeit nach uralit*). ამ უკანასკნელი მნიშვნელობით, ლექსიკონების მიხედვით, ნამბარი აქვს იგი ვერგილიუსს (*Aeneis* 6.500); *genus „lito a sanguine Teucri“* — ტრეკროსის ძველი სისხლის ნაშეირა, თუმცა ცნობილი რუსი პოეტი ვალ. ბრიუსოვი აქაც კი თარგმნის: *Син крови Тевкра вь сокоѣ*.

ამგვარად *altus* რომ *Βαθύς*-ის ლათინური თარგმანია და რომ *Portus altus* „ბათოს“ აღნიშნავს, არ შეიძლება საგვეო იყოს.

გვ. 4. ცნობები ფაზისის შესახებ (გ 3) ამოღებულია ლექსითი „აღწერიდან“; ამ ნაწივეტის ტექსტს ასე აღადგენს კ, მიულერი (FHG v. V, 175):

*Φάσις ποταμός έχει τὸ ὄμμα φερόμενον
ἐξ Ἄρμενίας, ὃν πλησίον Ἰβηρίς ποτε
ἐκοιάντεζ ἐξ Ἰβηρίας οἰκοῦσι τὸν.
Ῥοιοῦσι ποταμὸν ἀριστερὰ τοῦ Φάσιδος
Μιλησίων (αὐτὶ παρακαίμενη πόλις
ἑλληνίς, Φάσις λεγομένη, ἐξ ἣν Ἰβη
κατέβαινον ἐξήκοντα φωνίς διάφορα,
ἐν οἷς τινὰς λέγουσιν ἐπὶ τῆς Ἰνδικῆς
καὶ Βακτριανῆς συναφικεῖσθαι βαρβαρούς.
Μεταξὺ τούτων βαρβαρός Κοραξική,
ἣς ἐχομένη τῇ Κωλικῇ καλουμένη.
τὸ τὸν Μελαγχλιῶν τὸ καὶ Κόλχων Ἰβηος.*

გვ. 4 (სტრ. 33—35): ამ მდინარეზეა (ე. ი. ფაზისზე) დიდი ქალაქი, ეგრეთ-
წოდებული აია, საიდანაც იყო შედგა. ანონიმის ტექსტის ეს ადგილი საჭიროებს
იმ ძირითად განმარტებას, რომ აია ქალაქი კი არ არის, არამედ ქვეყნის (ყოლ-
ბეთის) ძველი სახელწოდებაა.

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას შემდეგი: არიანეს „მოგზაურობაში“, რომე-
ლიც ანონიმის საფუძველს შეადგენს, „აია“ სრულიადაც არ არის მოხსენიებული.
ანონიმს მთელი ეს ნაკვეთი ამოღებული აქვს სკილაქსის „მოგზაურობიდან“, ხოლო
„აია“ იქაც არ სწერია

სკილაქსი

ანონიმი

ნაონობა ამ მდინარით 180 სტა-
დიონზე დიდი ბარბაროსული ქალაქისა-
კენ (ἐξ πόλις μ δ λ η ν *Μεγδλη*), საი-
დანაც იყო შედგა (Müller, GGM I, 62)

ამ მდინარეზეა (ე. ი. ფაზისზე) დიდი
ქალაქი, ეგრეთწოდებული აია (πόλις
μεγδλη αία), საიდანაც იყო შედგა (იხ.
ზემოთ, გვ. 4)

სკილაქსის ტექსტში რომ არის ჩართული *μδλην*, ის *μεγδλην*-ის დიტოგრა-
ფიული დაწერილობის შედეგია, ხოლო სკილაქსს რომ ნდომოდა ქალაქის სახე-
ლის მოყვანა, ის იტყოდა: *ἐξ πόλις μεγδλη Μδλην*. მაგრამ ძველმა ფილოლო-
გოსებმა, Vossius-მა (1577—1649) და მისმა მოწაფემ Gronovius-მა (1611—1671),
სკილაქსის წრომის დამახინჯებულ ტექსტში *ΜΑΛΗΝ* გაიანხრეს როგორც
ΑΙΑΙΑΝ (იხ. მიულერის შენიშვნა (GGM I, 62).

ამრიგად, სკილაქსის ტექსტში, რამელიც ჩვენი ანონიმის წყაროს წარმოად-
გენს, „აია“ სრულებით არ ვწერა: ის ინტერპოლაციის შედეგია.

Aia — ყოლბეთის ძველი ნითიურა სახელია, წერს *Pape* (*Eigennam.*) და ეს
დასტურდება მთელი რიგი მონაცემებით, რომელთაც დაწვრილებით ვებებით ჩვენს
წიგნში „ჩას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ“ (1964, გვ. 12—14,
50—51), ხოლო აქ ვიტყვი, რომ ძირითადი მონაცემი ამისთვის წარმოდგენილია
ამოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“, სადაც ვკითხულობთ: „აიას ქალაქი
ქუთათითა“ (II, 1267) — *Κυταῖδα τε πόλις Αἰας*. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანას
ერეჭა *Aia*. ხოლო მის (დედა)ქალაქს — *Κυταῖς*.

სტეფანე ბიზანტიონელიც ამბობს თავის „ენიკაში“: დახსილ ღის ქალაქი კოლხების ქვეყანაშია — *Φασίς πόλις τῆς Λίης...* (გეორგია III, 286). თუნცა იმავე სტეფანე ბიზანტიონელს სხვა ადგილას უწერია: *αἰα, κολχὴτα ქალაქი, ἀνε-
νεβηθῆα αἰγῆτις θῆρα* — *λίη, πόλις Κόλχων κτίσμα Αἰθῖου* (გეორგია III, 274).

გვ. 6 (სტრ. 13-14): *Ἀπὸ δὲ Ζηγάνω; εἰς Ταρσισηρὰ ποταμὸν (ὡς
ἔστι λεγόμενον Μοχί) ὁπίσθια ἔσ'.* *Ἀπὸ δὲ Ταρσισηρὰ ποταμοῦ εἰς Ἰσθμὸν
ποταμὸν ... ὁπίσθια ἔσ'* (ცხვანიდან ტარსურის წყლამდე [რომელსაც აშუაშად
მოქი ეწოდება] არის 120 სტადიონი. ბოლო ტარსურის წყლიდან [ცხვანი-
წყლამდე ... არის 150 სტადიონი]). მაშასადამე, „ტარსურის წყლის“ სათით ღიან-
რაცია იმ მდინარეზე, რომელიც ზეჰასს (ე. ი. გუდავასა) და ცხენისწყალს ზეა
ჩანოდიოდა და ერთჟოდა შვე ზღვას. ანონიმის ეს ადგილი საკითოებს შველდე
განმარტებას: 1) განსხვავებით არიანესაგან, რომელიც ამ მდინარეა იხსენიებს
(*Ταρσισηρὰ; ποταμὸς*), ანონიმი უმატებს განმარტებას: *ἀρομელსაც ანისამად
მოქი (Μοχί) ეწოდება*; 2) ტექსტში აღნიშნული მანძილების მიხედვით ეს მდ-
ნარე სწორედ იქ ღხდა იყოს, სადაც კართული წყაროებს მიხედვით ადგებარეობს
მოქი.

მოქი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრთაგანია.
ღონ III-მ აუხათა მევამ (957—967 წ.წ.) *აღაშენ: ეკლესა მოქცხა და შექმნა
სადრად საეპისკოპოსოდ* (ქ. ცხ. I [1955], 270). ბოლო ეთოდის განგრჯლის
ტექსტშიც (მაკნიმ აღმსარებლის თაგვადსავალის აღწერაში) მოიპოვება ცნობები
მოქის შესახებ.

როგორც ჩანს ჩვენი ანონიმის ტექსტიდან, დასახლებულ პუნქტ მოქის გარდა
არსებულა იმავე სახელწოდების მდინარე, მოქისწყალი (მდრ. ქალაქი და მდი-
ნარე დახისი, ქალაქი და მდინარე ისტროსი, ქალაქი და მდინარე ბათუსი, ე. ი.
ბათობი), რომელსაც ძველად ვრქვა „ტარსურა“ (იხ. რუკა პ. ინვოროთყვას
წიგნი: გიორგი მერჩულე, თბ. 1954, გვ. 127).

ღოც. ნ. ღომოური ვარაუდობს, რომ ქლავდიოს პტოლემეაიოსის
ზრომაში მოხსენებული მდინარე კანეოსი (*Κανέως*) „ტარსურა“ უნდა იყოს
(ნ. ღომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ. 1962,
გვ. 43).

გვ. 6 (სტრ. 20): *ლაგუ მფსა. ჩვენი ანონიმი გეთავზობს ცხენისწყა-
ღისათვის მეთრე სახელწოდებას: „ცხენისწყლამდე, რომელსაც აშუაშად
ლაგუ მფსა ეწოდებათა. კ. მიულერის აზრით, ეს უნდა იყოს ახალი დროის
ჩველებზე აღნიშნული Langour-Khale (1370 წლის იტალიურ „მოგზაურობაში“
Lango-ღ წოდებული).*

გვ. 6 (სტრ. 24): *ვერიპე. ანონიმის სიტყვით „ვერიპე“ (Ἐβερίας) არის
ქლანიზე ახტელედის ახალი სახელწოდება. ამ მდინარის სახელის საფუძვლიანი
განმარტება მოცემული აქვს Tomaschek-ს (RE II, 1780). აი, ტომაშეკის ცნობები:*

1) პლინიუსი ჩამოთვლის მდინარეებს: *Thersos Astolphus, Chrysor-
rhanis; აესილთა ტომი, ციხე სებასტოპოლისი...*

2) ტაბულა პეტრ.: *Sebastopolis Stempoo* (ჩაგნის გეოგრ.: *Stolippo*
(→ *Ἀστέρως* ზ. უ.), *Tasiros* (ჩაგ. *Thasiros*).

3) თუ ტარსურა უდრის მოქისწყალს, მაპოსი — ცხენისწყალს, მაშინ *Ἀστ-
έρως* უნდა ემთხვეოდეს მზადარას (*Mсадара*) მაღლობიდან მომდინარე ჯირ-
გუხს (*Dzirguch*).

დავ. ნ. ლომოვიჩი, ნ. ბრუნის (Черноморье, т. II, Одесса 1880, გვ. 248) აზრს იხატება, რომ ასტელევი უნდა იყოს მდ. სკურა (იხ. Н. Шо-м о у р в, Из исторической географии древней Колхиды: ВДИ 1957, № 1, გვ. 104).

გვ. 8 (სტრ., 2; დაბრახანაი, ეს არის იბერთა ერობილი მეფე დარხან II, რომელსაც დიდ ანგარიშს უწევდნენ რომის კეისრებმა: ადრიანე (117—138 წ. წ.) და ანტონინე (138—161 წ. წ.). მის შესახებ ემირად ლამარაკობენ ბერძენი და რომაელი მწერლები (იხ. ივ. ჯავახიშვილი, კართველი ერის ისტორია, წ. I [1960], გვ. 172).

ეს ცნობა ფარსნანის შესახებ ჩვენს აზონიის არიანეს „მოკლავრობიდან“ აქვს ამოღებული. საყურადღებო ამ ცნობაში ის არის, რომ კართლის მეფის დარხანის კეწვერდომებად (ჩაქვილი) დასახელებული არიან ზედიოტიეში, რომელიც დასავლეთ საქართველოში ცხოვრობენ, ლახტა შეზობლად. მასასადავ. არიანეს დროისათვის კართლის მეფეს უნდა დაკავებულა: ჰქონია შავი ხევის სანაპირო აფსაროსის სამართეთ (იხ. Г. Меликишвили, К истории древней Грузии. Тб. 1959), გვ. 377). ეს ის ტერიტორია იყო, რომელიც ლახტის მიწაწყალს ჰყოფდა რომაელების კონტროლის ჰქონ მყოფ შავი ხევისპირეთის სამართეთაღმოსავლეთ საზღვარებელსაგან (გ. მელიქიშვილი, იქვე გვ. 381).

კარგა ხანია ჩვენც გვერნდა წამოყენებული დებულება იმავე შესახებ, რომ შავი ხევის სანაპიროზე იყო იბერიის სამფლობელოც. უკანასკნელად, ამ საკითხზე მოხატება წიკეთხვე 1960 წელს ერევანში: გამართულ „თბილისის, აზერბაიჯანის და ერევანის უნივერსიტეტთა შესაბე გაერთიანებულ სამეცნიერო სესიებზე“. ამ მოხატების თეზისები, რომლებსაც აქვე ვაქვლენებთ, დაბეჭდა ხატეპული სესიის მასალებში (Третья объединенная научная сессия Тбилижского, Азербайджанского и Ереванского университетов, посвященная 40-летию установления Советской власти в Армении. Тезисы докладов. Ереван 1960, стр. 96—97):

Проф. С. Г. Каухчишвили (Тбилиси)

К ВОПРОСУ О ПЛИЧИИ ПЛЕМЕНИ ИБЕРОВ
В ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

1. В биографии известного мыслителя и писателя IV века Евagriя Понтийского указано, что Евagriй был родом понтиец, из города Иберов (Ἐφ μὲν γένει Ποντικός ἦν, πόλιος Ἰβήρων—Палладиус, гл. 86).

2. Историки V века также утверждают, вслед за Палладием, что Евagriй был родом ибер (ἔγένετο δὲ τῷ μὲν γένει Ἰβήρων πολίτης πρὸς τῷ κλουμένῳ Εὐξείνῳ πόντῳ—Соломен VI, 30).

3. Некоторые филологи средних веков—Валезиус (Valois), Гейан (Galland), усомнившись в существовании племени иберов по побережью Черного моря, предложили коньктуру: вместо Ἰβήρων читать Ἰβόρων и тем самым предположили, что Евagriй происходил не из племени Ибер, а из города Ибора, разрушенного во время землетрясения в 526 году н. э.

4. Предположение этих филологов лишено всякого основания: Ибора, согласно трактату Константина Порфирогенета «О ѱмахе», входила в третью Каппадокию и иноким образом не могла находиться на побережии Черного моря (πρὸς τῷ χαλουμένῳ Εὐξείνῳ πόντῳ).

5. Как видно из источников, греко-римские писатели хорошо знали, что Иберией называлась не только Картия (Восточная Грузия), но и одна из приморских областей Западной Грузии. Так, например:

а) Плиний VI, 11: «В этой местности за горами лежит Иверия, а по берегу живут етнохи, ампревты, лазы... племена колхов»;

в) Историк Епифаний (VIII век): «Апостол Андрей проповедовал среди скифов, согдианов и горсинов в Великом Севастополе, где есть Апсар, гавань Иссос и река Фазис. Там живут иберы, сусы, фусты и аланы»;

с) У того же Епифания: «Остальные апостолы посетили города, проповедовали и чудодействовали и прибыли в Иберию и Фазис, а спустя несколько дней прибыли в Сианетию».

6. Источники, указанные в пункте 5, под Иберией и иберами понимают область и жителей [одной приморской части] Западной Грузии.

7. Таким образом, надо считать установленным, что глубоко ошибочна действующая поныне теория об этническом составе населения Зап. Грузии, а именно: Зап. Грузия была населена не только мегрело-чапскими племенами, но и иберами.

გვ. 9 (სტრ. 31; გვ. 10, სტრ. 4). პ ი ტ ი უ ნ ტ ი (ბიკვიენტა). პიტეუნტის მდებარეობის საკითხი არ იწვევს არავითარ დავას: ის მდებარეობდა იქ, სადაც ამჟამად არის ბიკვიენტა და სადაც იყო დასავლეთ საქართველოს ცნობილი ცენტრი, კულტურული, პოლიტიკური და სარწმუნოებრივი. ლიტერატურაში პიტეუნტი ცნობილია I საუკუნიდან: სტრაბონი მას ეძახის „დიდი პიტეუნტს“ (*τὸν Πιτυνθικὰ τὴν μέγαν*), ხოლო პლინიუსის აზრით (II. N. VI, 5,5) ის არის უმდიდრესი ქალაქი (*Pithyus oppidum opulentissimum*). თეოდორიტე კვირელის სიტყვით, პიტეუნტი ძარის უკიდურესი საზღვარი პონტოსი და რომაელთა სამფლობელოსია (იხ. გეორგია I [1961], გვ. 224). პროკოპი კესარიელმაც იცის, რომ რომაელებმა აქ ზღვისპირას ირი სიწავრე გააშენეს: სებასტოპოლისი და პიტეუნტი. რომლებიც ერთმანეთს ირი დღის სავალი ვხით არიან დაშორებული, და იმთავითვე ჩააყენეს იქ მცველი რაზმია (იხ. აქვე, ქვემოთ გვ. 136). და იქნებ ამ რაზმს ზღულისხმობდეს *Notitia dignitatum*, რომლის ცნობით: *Ala prima felix Theodosiana - Pithiae* (v. I. Pityunte) (იხ. გეორგია I [1961], გვ. 174—175).

აბ. წ. პირველ საუკუნეებში პიტეუნტში (ბიკვიენტაში) მრავლად უნდა ყოფილიყვნენ ბერძენი კოლონისტები, რომელთა წყალობითაც ამ მხარეში შემოვიდა და დამკვიდრდა ქრისტიანობა (ცნობილია, რომ 325 წლის ნიკეის პირველი მსოფლიო კრების შესაობაში მონაწილეობას დებულადა „ბიკვიენტის ეპისკოპოსის სტრატოვილემ“). ამიტომ გაუგებარია, რას ემყარება დოც. ნ. ლომოური, როდესაც ამბობს: „სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით აღნიშვნას, რომ კოლხეთის ბერძნულ კოლონიათა შორის იყო აგრეთვე ქ. პიტეუნტი (აწინდელი ბიკვიენტა), მაგრამ არც ერთ ანტიკურ მწერალს პიტეუნტი ბერძნულ (კლინურ) ქალაქთა შორის არა აქვს დასახელებული, ისე რომ ამ დებულებას არავითარი გამართლება არ მოეპოვება. ამჟამად, რომ უფროჯერობით ჩვენ არა გვაქვს საფუძველი პიტეუნტ-ბიკვიენტა ბერძნულ აბალშენად ჩავთვალოთ“ (ნ. ლომოური თ. კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიაცია, თბ. 1962, გვ. 34; ამასვე იმეორებებს. ახსაბაძე: *История и культура древней Абхазии*. М. 1964. გვ. 148—149).

ერთ დროს ნ. ლომოური იმ აზრისა იყო, რომ «являясь одним из древне-греческих городов Колхиды, Питиунт... в первой половине II в. н. э. входил в состав Боспорского царства» და პროფესორ ბ. კულტიბინიან ერთად ფიქრობდა, რომ კლავდიოს პტოლემეაიოსის *Καρτερὸν ἰκίχον* და პიტუნტი ერთიდაიგივე უნდა იყოს (Н. Ломоури. Из исторической географии древней Колхиды: ВДИ 1955), № 4, გვ. 106—107).

გვ. 10 (სტრ. 5). 'Απὸ δὲ Πιτυόντων εἰς Στεννυτικὴν χώραν (καὶ λοιπὴν Τριγλίτην λεγομένην) στάδιοι θ' ... 'Απὸ δὲ Στεννυτικῆς εἰς Ἀβασχὸν ποταμὸν στάδιοι C' (ახლანდელი პიტუნტიდან ვიდრე სტენიტიკის ქვეყნამდე, რომელსაც ოდესღაც ტრიგლიტი ეწოდებოდა, არის 150 სტადიონი... ხოლო სტენიტიკიიდან აბასკის წყლამდე არის 90 სტადიონი). — ზემოთ (გვ. 2—3) უკვე ვთქვით, რომ *εἰς Στεννυτικὴν*, როგორც ჩანს არიანეს „პერიპლუსიდან“, უდრის განათქმას *εἰς τὴν Νιταχί*, ე. ი. საძებარია ადგილი *Νιταχί*. ჯერ კიდევ კ. მიულერმა მიუთითა (FHG V, 179 შენ.), ეს „გაგრა“ უნდა იყოს. A. Herrman-ი უწერს (RE XVI s. v. Νιταχί), რომ ბიკინტიდან 150 სტადიონის დაშორებით, ხოლო მდ. აბასკიდან (მძიძთიდან) 90 სტადიონის მანძილზე მდებარე ადგილი უნდა იყოს გაგრა ჩრდილო აფხაზეთში (die Ortschaft Gagry im nördlichen Abchasien). — განსხვავებით არიანესაგან ჩვენს ანონიმს მითითებული აქვს, რომ *Νιταχί*-ს ძველი სახელი არის *Τριγλίτη*.

გვ. 16. *ἑτι ὁ βαρβαρὸς ἐστὶν ἄνθρωπος*, რომლებიც სულ იცინოდნენ... და თვლიდნენ, რომ ეს ბედნიერება იყო. ეს დახასიათება მომდინარეობს იმავე წყაროდან, რომელსაც იცნობს სტეფანე ბიზანტიონელიც. ამის ლექსიკონში ვკითხულობთ: „*ἑτι ὁ βαρβαρὸς V* წიგნში ამბობს: *ἑτι ὁ βαρβαρὸς* გატაცებული არიან თამაზით და სიცილით და ამას თვლიან უდიდეს ბედნიერებად (*εὐδαιμονίας ἰσότης ρουζέου*). იბ. ჩვენი „გეორგია“, ტ. III, გვ. 285.

გვ. 16. *Σουσαόρμια*. ანონიმის ტრაქტატის გადმოცემით „სუსარმია“ არის ახალი სახელწოდება ისოს ნავსადგურისა (*Ἰσος λιμῆς*). V საუკუნემდე ამ ნავსადგურის სხვა სახელი, გარდა *Ἰσος λιμῆς*-ისა, არა ჩანს (მას ასახელებენ არიანე, პტოლემეაიოსი, *Tabula Peut.*, *Notitia dignitatum*), ხოლო V საუკუნიდან ეს ძველი სახელწოდება შეცვლილია (პ. ინგოროსევა, გიორგი შერჩულე, გვ. 225), მას დარქმევია *Σουσαόρμια* (ახლანდელი სურამე).

Σουσαόρμια-ს გვერდით მოახსენებელია წყაროებში *Σουσοίρμια* (ან *Σουσοίρμια*). პროკოპი კესარიელი უწერს: *ἑτι ὁ βαρβαρὸς* (ტრაპეზუნტიელთა საზღვრები ვრცელდება დაბა სუსურამენამდე და ეგრეთწოდებულ რიზმდე, რომელიც ლაზიკში ზღვით მიწავლისათვის ორი დღის საეალს; გზით არის დაშორებული ტრაპეზუნტსა) (BG VIII, 2; იბ. აქვე ქვემოთ, გვ. 121—122). ეს ადგილი იხსენიება ერთ კართულ თარგმნითს ძეგლშიც, სახელდობრ „ოტენტისისა და ძმათა მისთა მარტვილობაში“ ნათქვამია: *ἑτα μὲν ἰσχυρὸς ἦν ἄρα ὡς ἴσως ἦν ὁ ἄλλος* (scil. ტრაპეზუნტი), *ἑτα μὲν ἰσχυρὸς ἦν ἄρα ὡς ἴσως ἦν ὁ ἄλλος* (იბ. კ. კვკელიძე, ეტიუდები, ტ. IV, გვ. 319, აგრეთვე გვ. 300). თავისი ლექსიკონი ფორმით პროკოპის *Σουσοίρμια* და კართული „სუსურამენე“ (სუსურამენად) ერთი და იგივე სიტყვაა, ხოლო არის თუ არა პროკოპის *Σουσοίρμια*: იგივე, რაც ჩვენი ანონიმის *Σουσαόρμια*, ამაში ეჭვი ეპარება Ruge-ს, რომლის აზრით, *Σουσαόρμια* ტრაპეზუნტის მახლობლად არის, ხოლო პროკოპის *Σουσοίρμია*: საძებარია რიზეს მახლობლად (იბ. RE IV A [1931], 974).

გვ. 17. (სტრ. 6): კოლხთა. ჩვენი ანონიმი. ისევე როგორც მრავალი სხვა ბერძენი (და რომაელი) მწერალი, უხე ცნობებს იძლევა დასავლეთ საქართველოში მოსახლე ტომთა შესახებ:

ქენიოხები (გვ. 3)	ზიხები, ჯიქები
მაქელონები	სანიხები
ბიზირები	კორაქსები (გვ. 11)
ზიდრიტები	შელანქლენები
კოლხები (გვ. 8)	აქაიულები (გვ. 12)
ლაზები	[კერკიტები]
დრილები	[ტორიტები]
იუსილები (გვ. 8)	[ველუსიანები]
აბაზგები	სინდები
სანიგები	ტიბარენები (გვ. 15)
ტიბარანია (გვ. 9)	მოსინიკები (გვ. 16)
სანიკე	მაკრონები
კოლხეთი (გვ. 10)	

ზემოაშთოვლილი ტომები, ზოგიერთების გამოკლებით (ტორიტები, ვედუსიანები და სხვ.), რომლებსაც ქართველურ ტომებთან შეიძლება ძალიან ზორეული კავშირი ჰქონდეთ, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ინტენსიური კვლევების ობიექტს წარმოადგენენ. თავიანთი აზრი ამ ტომების შესახებ გამოთქმული აქვთ ნ. მარს, ივ. ჯავახიშვილს და ს. ჯანაშიას, ხოლო უკანასკნელ წლებში ნ. ინაძეს ნ. კვამლამძეს, ნ. ლომოურს, გ. შელიქიშვილს. დ. ხაზუტაიშვილს, ნ. ხომტარიას. ყველა ანათი მსჯელობის ამოსავალი დებულება ისაა, რომ ეს ტომები ქართველურ ტომებს განეკუთვნებიან, ხოლო ხ. ანაბაძე, რომლის წიგნი „История и культура древней Абхазии“ (М. 1964, Изд. „Наука“) სასარგებლო ნარკვევად მიმაჩნია (იგი ვმყარება როგორც არქეოლოგიურ მონაპოვართა, ისე ნარატიულ ბერძნულ-რომაულთა და ქართული წყაროების საფუძველიან შესწავლას), უარყოფს ზოგიერთი ამ ტომების ქართველურობას. ყროვდ აბაზგები, ქენიოხები და სანიგები (ზოგიერთი სხვა) მას არ მიაჩნია ქართველურ ტომებად.

ზოგიერთ ამ ტომთა სახელი ნაწარმოებია ისეთი სუფიქსაციით, რომ მათი (ამ სახელების) გამოთიშვა საერთო ქართველური სახელებიდან არ შეიძლება ჩათვალოს გამართლებულად. ამ სახელებს საერთო აქვთ სუფიქსები: გი, კო, ხი:

Ἀβασοί, Ἰβασοί
 Σανγαι, Σάνιχες
 Μοσσοίχοι
 Ἰνίοχοι
 Κόλχοι
 Ζαχοι

ბოშ არ არის საეჭვო, რომ Τίοχοι ქართველურ ტომებს განეკუთვნებიან და ეს სახელი ისევე ნაწარმოებია, როგორც დანარჩენებიც (Ἰνίοχοι, Κόλχοι, Ἀβασοί და სხვ.). ამგვარად, არავითარი საფუძველი არ არსებობს ამ ტომების წარმოშობილობა ვეძებოთ ქართველური გარემოს გარეშე. სამწუხაროა, რომ ხ. ანაბაძის, სხვათაგან, სასიამოვნო საკითხავ წიგნს, ასეთი ძირითადი ნაკლი ახლავს.

გვ. 17 (სტრ. 17): *Kalós potamós*. ეს არის მდინარე ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით, მას იხსენიებს არიანე (იხ. E. კეკელიძე, ფლავიუს არიანე, გვ. 36). ხოლო ჩვენი ანონიმი დასძენს, რომელსაც ახლა *Kalé parémbolē* ჰქვიათ. უკანასკნელ დამატებითი ცნობას Ruge (RE X [1919], 1759) ყალბად მიიჩნევს და აზრობს: ცხადია, ეს არის ადგილის სახელი, რომელიც ავტორმა შეცდომით მდინარეს მიაკუთვნა, ი.ე. ჩვენი პონდევნო შენიშვნა.

გვ. 17 (სტრ. 18—20): *Ἀπὸ δὲ Ψευροῦ ποταμοῦ εἰς Κεῖλὸν ποταμὸν, τὸν ἴθις γενόμενον Καλὴν παρεμβολήν, σταδία λ'* (ციცეწყლიდან კალოსპოტამოსამდე, ახლანდელ „ახალ-ბანაკამდე“ არის 30 სტადიონი). ჩვენი ანონიმის ტექსტი ორჯერ იმეორებს: *καλήν παρεμβολήν* (სტრ. 18) და *καλήν παρεμβολήν* (სტრ. 20), ჩვენი აზრით აქ უნდა იგულისხმებოდეს ცნობილი „ახალი ბანაკი“ — *Καυήν παρεμβολήν*, რომელიც რამდენჯერმე გვხვდება გეოგრაფიულ აღწერებსა და აგიოგრაფიულ ტექსტში (იხ. ჩვენი გეორგია, ტ. IV, 191—192, 414—415) და რომელიც სწორედ კალოსპოტამოსის ზონაში მდებარეობდა; *Καυήν*-ს შეცვლა *Καλήν*-ედ განაპირობა, ალბათ, მის გვერდით მოთავსებულმა *Καλὸς ποταμὸς*-მა.

გვ. 17 (სტრ. 24—27): მდ. *Ἀσχοῦ ποταμὸς*. ამ მდინარის სახელად არიანეს უწერია *Ἀσχοῦ ποταμὸς* (§ 7; იხ. კეკელიძე, გვ. 36). იგი ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით ერთიან ხლვას, კალოსპოტამოსს 30 სტადიონით არის დაშორებული. დღევანდელი მისი სახელია *Asfuro*, ტომაშეკის აზრით (RE II, 1702) სახელი ადგილობრივია (*kaukasisch*) და ისევე ეღვრს როგორც კართული „აწყური“.

გვ. 17 (სტრ. 33—35): სოფ *Κόρδισλα*. ეს სოფელი ზევი ზღვის პირას მდებარეობს, «სადგომია ზომალდთათვის» (არიანე 16; იხ. *Κορδισλήν*). ანონიმის მიხედვით მას ჰქვია [*τὰ*] *Κόρδισλα*: მას იცნობენ პლინიუსი, პტოლემეაიუსი, *Tab. Pent.*, რავენის გეოგრ. (*Cordule*). ამ ადგილს იცნობს „ორგენტოსის [და ძნათა მისთა“ წამება, რომლის კართულ ტექსტში ვკითხულობთ: «გვრეთვე წმიდაა ფარნაკი კორდილოს რაა მიიწია, უფლისა მიმართ მიიცივალა თუესა ივლისსა გ» (იხ. გეორგია IV, 2 [1952], გვ. 414).

ტომაშეკის აზრით, მანძილის მიხედვით კორდილა უნდა ეძებოთ *Aktseke Kaleh*-ის მახლობლად.

გვ. 18 (სტრ. 20-21) მდ. *Ζήγαιος*. ეს მდინარე ათინას მახლობლად მდებარეობს, შეიდი სტადიონით არის დაშორებული. პაპეც (*Eigennam.*) და მიულერაი (GGM I, 374) იმ აზრისა არიან, რომ ეს არის ახლანდელი *Sucha Dero* (ВДП-ს კომენტატორებზეც იმასვე იმეორებენ).

იუსტინიანეს ნოველები

იუსტინიანე კეისრის (527—565) სახელთან დაკავშირებულია იმ საკანონმდებლო ძეგლის შედგენა, რომელსაც ეწოდება *Corpus juris civilis*. ამ ძეგლში გაერთიანებულია ოთხი იურიდიული ნაწარმოები:

1) 528 წელს იუსტინიანეს დავალებით იურისტების კომისია შეუდგა არსებული სამართლის კოდიფიკაციას. კომისიამ გადასინჯა ძველი კოდექსი, ძირიანად გადაამუშავა მთელი მასალა და ამოიღო კოდექსიდან ის, რაც უკვე ხმარებაში აღარ იყო. ამგვარად გადაამუშავებული კოდექსი უკვე მხად იყო 529 წელს და იგი გამოქვეყნდა იუსტინიანეს სახელით — *Codex Iustinianus*.

2) იურისტების მეორე კომისიამ გამოსცა ძველი იურისტების ნაწერების კრებული, რომელშიც თავმოყრილი იყო ცნობილი რომაელი იურისტების აზრები და განმარტებები ამათუთმ საკანონმდებლო აქტის შესახებ. ეს კრებული გამოქვეყნდა 533 წელს და მას ეწოდება *Digesta*.

3) ცნობილმა იურისტმა ტრიბონიანემ, პროფესორ თეოფილესა და დოროთესთან ერთად, იუსტინიანეს დავალებით შეადგინა სამართლის მოკლე სახელმძღვანელო, რომელიც გამოქვეყნდა „ინსტიტუციების“ (*Institutiones*) სახელით.

4) დასასრულ, კოდექსის დასამატებლად ცალკე იქმნა შედგენილი კოდექსის გამოქვეყნების (534 წ.) შემდეგ გამოცემული ახალი დადგენილებების (*Novellae constitutiones*) და საკანონმდებლო აქტების (*Leges novellae*) კრებული, რომელიც შემოკლებით „ნოველებს“ სახელით არის ცნობილი.

იუსტინიანეს სიცოცხლეში ნოველები ქვეყნდებოდა ცალ-ცალკე. საგანგებო კრებულად ეს ნოველები იუსტინიანეს გარდაცვალების შემდეგ გამოიცა. სულ შემონახულია 169 ნოველა, რომლებიც სხვადასხვა კრებულში მოიპოვება¹,

გამოცემა: *Imp. Iustiniani Novellae*, ed. C. E. Zachariae u. Lिंगenthal, 1—II. Lipsiae 1881.

¹ იუსტინიანეს საკანონმდებლო მოღვაწეობის შესახებ დიდძალი გამოკვლევები არსებობს, როგორც სპეციალურ იურიდიულ ლიტერატურაში, ისე ბიხანტიანო

Novella IX (I)

[ნოველა გაცემულია 535 წლის იანვარში აღმოსავლეთის პრეტორ, პრეფექტის (τῆ ἐπαρχῶ τῆς ἕως πραιτωρίων) ორანეს მიმართ და ეხება შემკვიდრეთა და ფალკიდიის კანონის საკითხს. ნოველის შესავალში სწერია:]

Ἐνησχολημένοις ἡμῖν περὶ τὰς ἀπάσης τῆς πολιτείας φροντίδας καὶ μικρὸν εὐδὲν αἰρουμένοις ἐγνωσθῆναι, ἀλλ' ἔπωσ ἂν Πέρσαι μὲν ἤρεμοίεν, Βανδῖλοι δὲ σὺν Μαυρουσίαις ἄπαχοῦσαι, Καρχηδόνιοι δὲ τὴν παλαιὰν ἀπολαβόντες ἔχοιεν ἐλευθερίαν, Τζάνοι τε νῦν πρῶτον ὑπὸ τὴν Ῥωμαίων γενόμενοι: πολιτείαν ἐν ἄπυχοῖς τέλοισιν (τοῦτο ἔπερ οὐπω καὶ νῦν πλὴν ἐπὶ τῆς ἡμετέρας βασιλείας δέδωκε Ῥωμαῖοις ὁ θεός), ἐπιβρέουσαι καὶ ἰδιωτικαί: φροντίδες παρὰ τῶν ἡμετέρων ἄπυχῶν ἀεὶ προσαγγελλόμεναι (Z. a. Lingenthal I 17—18).

თა რიცხვში გვეყვანდნენ (ასეთი რამ დღემდე არასოდეს არ მიუნიჭებია რომაელებისათვის ღმერთს, — მხოლოდ ჩვენს მეფობაში მოგვენიჭა ეს მადლი).

Dat. Kal. Ian. Bilisario V[iro] C[larissimo] Cons. iud. i[ur] [Z. a. Lingenthal I 29].

დაიწერა იანვრის პირველს (კონსტანტინებოლს), უბრწყინვალებსი კაცის (ფლავი) ველიხარის კონსულობაში, ინდიქტიონსა გეცამეტესა [535 წ.].

ლოგიურ კრებულებში. უკანასკნელად ამ ლიტერატურას თავი შეეყვანა და ახლებურად შეადგინა ზ. ფალკიციამ (З. Н. Удалцова, Законодательные реформы Юстиниана: ВВр. XXVI [1965], 3—15; კრძობ. გვ. 21—24; Новеллы Юстиниана).

Novella XXXI (XXXIII)

Περὶ τοῦ μοδεράτωρος Ἐλενό-
πόντου.

Ὁ ἀπὸς βασιλεὺς Ἰωάννη ἐπαρ-
χῶ πραγματοῖον.

Τὸ καλῶς τε καὶ ἀνωθὲν ἀρ-
μοσθὲν τε καὶ ἡνωμένον καὶ εἰς
τὴν οἰκείαν ἰσχὺν συντεθὲν χω-
ρὶς εὐλόγου πινὸς αἰτίας καινί-
ζειν ἢ διαίρειν οὐκ ἂν διοικήσεως
ἐβρῶμένης· οὐ γὰρ ἐν ὀνομάτων
πλήθει φαιτέρον τὴν ἰσχύν, ἀλλ'
ἐν ἀληθείᾳ πραγμάτων ἀποτελέσ-
ματι. Ὅποσον δὴ τ: γεγονέναι
περὶ τοῦτους δὴ τοὺς δύο Πόν-
τους καλουμένους μεμαθήκαμεν,
φαμέν δὲ τὸν τε Ἐλενόποντον,
τὸν τε Πολεμωνιακὸν Πόντον.
Ἰφ' ἐνὶ γὰρ κρήνην ἀρχοντι
τεταγμένης τῆς χώρας γενόμενα
δύο, μῆτε δημοσίας ἀνάγκης τούτο
κατεπαγεύουσης, μῆτε ἐτέρας τινὸς
προφάσεως εὐλόγου ἦν ἂν τ:·
καὶ ῥαδίως ἐξέυροι. Καὶ τοσοῦ-
τον μαρτυρεῖται τὸ πρᾶγμα οὕτως
ἔχον, ὡς εἰς τὴν παρούσαν ἡμέ-
ραν ἐνὶ τρακτευτῇ τῶν δημοσίων
φόρων τε καὶ διατυπώσεων χρῆσ-
θαι: τὰς χώρας ἀμφοτέρας. Πό-
λεις τε εἰ τ: ἀριθμῆσει τὰς καθ'
ἑκατέραν οὔσας, μὲν ἐπαρχίας
μὲν ἀνταρχεὺς γένονται μέτρον, εἰ
γε ὅκτι μὲν πόλεις συμπληροῦσι
τὸν Ἐλενόποντον, ταυτέστιν Ἀμα-
σεῖα τε καὶ Ἰβωρα καὶ Εὐχάϊτα
καὶ πρὸς γε Ζηλα καὶ Ἀντραπα,
καὶ αἰ γε πρὸς τὰς κλίμασι καὶ-

პელენოპონტოს მოდერატორისთვის.

იგივე მეფე პრეტორიელთა ეპარქიონს
იარაგებს.

თუ მმართველობა ძლიერია,
მას არ შეეფერება შესცვალოს
ან დააქუცმაცოს, რაიმე საპატიო
მიზეზის გარეშე ის, რაც ძვე-
ლითგანვე კარგადაა მოწყობილი,
ბული, შეთანხმებული და საკუ-
თარი ძლიერების მიზნით დად-
გენილი: ძლიერება სახელთა სი-
მრავლით კი არ დაიდგინება,
არამედ საქმის ჭეშმარიტი მიზ-
ნულობით. ჩვენ ამაში დავრწმუნ-
დით იმით, რაც ორი, ეგრეთწო-
დებული პონტოს გარშემო მოხ-
და; — ჩვენ ვგულისხმობთ ერთის
მხრით პელენოპონტოს, ხოლო
მეორე მხრით პოლემონის პონ-
ტოს. წინათ რომ ეს ქვეყანა ერთი
არქონტის მმართველობის ქვეშ
იყო, ახლა ის ორად გაიყო, და
ეს არ ყოფილა გამოწვეული არც
სახელმწიფო საჭიროებით არც
სხვა ისეთი საპატიო მიზეზით,
რომელიც ყველასათვის ადვილი
გასაგებო იყოს. და რომ ეს მართ-
ლაც ასეა, მტკიცდება იმით,
რომ ორივე ქვეყანას დღესაც
ერთი ხელმძღვანელი ჰყავს სა-
ხელმწიფო გამოსაღებთა და დად-
გენილებათა. თითოეული ამ ქვეყ-
ნის ქალაქები რომ დიითვალთ,
ძლივს ერთი ეპარქიისათვის აღ-
მოჩნდება საკმარისი. მართლაც,

μεναι Σινώπη τε και Ἄμισσος, πόλεις ἀρχαῖαι, και μὴν και Λεοντόπολιν ἦδη χάθειντην ἀριθμητέον ἐν πόλεσι, πάντε δὲ ἄλλα: τὸν Πολεμωτικὸν συνέχουσι Πόντον, Νεοκασάρειά τε και Κόριαννα και Τραπεζοῦς και Κερασσοῦς και Πολεμώνιον (Πιτυοῦντα γὰρ δὴ και Σαρρατόπολιν ἐν φρουρίοις μάλλον ἀριθμητέον ἢ πόλεις), ὥστε μέχρι τούτων ἑκάτερον εἶναι τῶν Πόντων. Μεθ' οὗς ἦ τε ἡμετέρα καθέστηκε Λαζική, ἐν ἣ και ἡ Πετραίων¹ ἐστὶ πόλις, ἢφ' ἡμῶν τὸ πόλις εἶναι τε και ἐνομάζεσθαι προσλαβουσα, κεχρημένη τε τῷ τῆς ἡμετέρας ἐσεβείας ὀνόματι και Ἰουστινιανή καλου-

შელენობონტოში სულ რვა ქალაქია, სახელდობრ: ამასია, იბორა და ევქაიტა, ვარდა ამისა ზელა და ანტრაპა და სანაპიროზე მდებარე ძველი ქალაქები სინოპე და ამისსე; რაც შეეხება ლეონტოპოლისს, ისიც ქალაქებშია ჩასათვლელი. ხოლო პოლემონის პონტონი შედის ხუთი სხვა ქალაქი: ნეოკესარია, კონანა, ტრაპეზუნტი, კერასუნტი და პოლემონიონი (პიტოუნტი 'და სებასტოპოლისი ხომ უფრო ციხე-სიმაგრეებშია ჩასათვლელი, ვიდრე ქალაქებში), ასე რომ თითოეული პონტოს შედგენილობა ასეთია. მათ შემდეგ მდებარეობს ჩენი ლაზიკე, სადაც არის ქალაქი პეტრა²,

¹ πετραίων Βαλοανδρ. Basilica. Petraeorum Authentium.

² პეტრას მდებარეობა დღემდე გამოურკვევლია, მაგრამ დადგენილია მისი მდებარეობა (Voyage III, 86) უცნობად, რომ პეტრას სახელი უკანაში უნდა ვეძიოთ წმ. ნიკოლოზის დროის 15 ვერსტის მოშორებით ნატანგბსა და სკერდებს შუა. ბრატსეს აზრით კი პეტრა ქობულეთის მახლობლად უნდა მდებარეობდეს (Additions IV, 100). ვინაიდან უკანაში (დ. ბაქრაძის მიხედვით „ვენარა“: Арх. муз. по. Гурин и Адчаре, გვ. 27; შტრ. ვაზეთი „Кавказ“ 1856, № 56 გვ. 215) ზღვაა 10 ვერსტით არის მოშორებული. ცნობა, იქ პეტრას ძებნა სრულიად შეუძლებელია, რადგან პრეტორი კესარიელი რამდენსავე ადგილას აღნიშნავს, რომ პეტრა ხელისპირა ქალაქია (BP II 15; II 17). პრეტორი კესარიელი უფრო დაწინაურებული აღწერს პეტრას მდებარეობას: ის ფაქტის მარჯვენა მკვლევარობის (BP II 21; BG IV 2); მას რომ მიიღწიო, მდინარე ბოასი უნდა გადალახო და ფაქტის მარჯვენა დასტოვო (BP II 20, 23); ვარდა ამისა პეტრადან რომ მივიდარ სამხრეთით, მაშინვე რომელიღაც სახლურება მიადგები, სადაც მრავალ დღეს მუშაობელი ადგილები (ათონა, რისე) შეგებდება (BP II 20, 22). მართალია, ძველი იმ ცნობის ვარკვევა, სადაც ბოას-წყალზე და ფაქტის ლაპარაკი, ვინაიდან პრეტორი კესარიელი ხშირად ერთმანეთში ურევს ამ მდინარეთა სახელწოდებებს, საგრამ უკანასკნელი შენიშვნა (BP II, 20, 21) ბოასის (ჩვენის აზრით კოროზის) მოხსენებასთან დაკავშირებით, გვაფიჭრებინებს, რომ პეტრა მდებარეობდა ბიზანტიის საზღვართან ახლოს, ისე რომ პეტრასა და ბიზანტიას შუა სხვა ლატსენაინენავი და ცნობილი ადგილი არ უნდა ყოფილიყო. მის სახმრეთით, ერთი დღის სავალ მანძილზე, ყოფილა აფსარტე (აფსარუნტი), ძველად მრავალმცხოვრებიანი ქალაქი, რომელსაც ევარშემო უვლიდა მრავალი კედელი

μήτη, Ἀρχαίοπαις τε καὶ Ροδίο- რომელსაც ჩვენგანთ ხელა წილად
 ποις, φρούρα τε μέγιστα καὶ ქალაქი გამხდარიყო და დარქმე-
 ἀρχαῖα· ἐν αἷς μὴ καὶ τὰ παρ' ოლა და რომელსაც მიენიჭა ჩვენთ

და შემკული იყო თეატრითა და აპოლონიითა, ხოლო პროკოპის დროს მის ნაგებობათა საძირკვლები-ლა ყოჯილა დარჩენილი (BG IV, 2).

ასე რომ პეტრა ახლანდელი ბათონის მახლობლად უნდა ვეძებთ, ღელის ნაპირას, ასეთ ადგილებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს გონიოს (ი.ე. ბათონის სამხრეთით) ან ციხისპირა (ბათონის ჩრდილოეთით). საბოლოოდ საკითხს გადასწყვეტს ზედმიწევნით არქეოლოგიური ძიება ადგილს ბრძვ, ზენ ვინდა ავ. მხოლოდ მიუხედავად შემდეგ ოთ გათვლებათ:

1) სახელწოდება პეტრა უნდა წარმოადგენდეს რომელიღაც ადგილობრივი სახელის ბერძნულ თარგმანს (იგივე როგორც „არქეოპოლისი“ — ნიკოლაძეს, „როდაპოლისი“ — ვარდუჯიხეს, „პიპოსი“ — ცხენისწყალს და სხვ.) და ვინაიდან ზენი გეოგრაფიული სახელებიდან პეტრა წარმადგენელი შრალდომთი ბრძვებს დრო-მით (რკონი, ჯები და სხვ.). საციკლებელია, რომ აქვე გვქონდეს მრავლობითი რიცხვის ფორმა, მით უნებლად, რომ, როგორც ხეობა (გვ. 74) მოყვანილი შენიწევნიდან ჩანს, ბელნაქტები აქლვიან ნიკონას *in Petrae*, რომელიც XVII საუკუნის განმსყველს შეუცვლია. რომ პეტრა ადგილობრივი სახელი იყო, ეს მტკიცდება აგრეთვე იუსტინიანეს ერთი, 235 წლათ დასაჩილებული ნოველლით, სადაც ნიკეაშია: „...ქმდედ მდებარეობს ჩვენი ლახიე, სადაც არის ქალაქი პეტრა (ἡ Πιτραίων [var. Πιτραίων] τοῦ ἁπλοῦ), რომელსაც ჩვენგანთ ხელა წილად ქალაქი გამხდარიყო და (ქალაქი) დარქმეოდა და რომელსაც მიენიჭა ჩვენი უბნავსომნა სახელი“ და გვოდება იუსტინიანე (იბ. აქვე, გვ 34—35).

2) ჩვენი პეტრას ძიება უნდა დაჯავნითაჲს იმ „პეტრას“ საკითხს, სადაც ლახიის ერთ-ერთი სავსისკომოსო კლდეზეა იყო, ლახიის ვახრუბანში ხომ ბერძნული წყაროები იხსენებენ თათ ეპისკოპოსს (Georgius Cyprinus, ed. Gelzer, p. 24): ἡ Πιδοπύλαια ὁ τῆς Ἀμισσηῶν, ὁ Πιτροῦ ἢ τῆς Ζαγαρίων (აქვე ქალაქის სახელი ნიკეაშია ბრძვებს დრო-მითაა მოცემული). უფრო დაწვრილ ლეხით იბ. გეორგიკა ἡ, IV, 2 (1952) გვ. 187—190.

მათილია, პროკოპის ჩვენების წაკითხვით შეიძლება შეკითხვას ერთბაშად ისეთი სთამეულილება შეიქმნას, თითქოს ქალაქი პეტრა იუსტინიანე გაემუხებინა მგვრამ საკმარისი გულდასმით დავუკვირდეთ პროკოპის ტექსტს, რომ დავრწმუნდეთ, რომ იუსტინიანეს უკვე არსებული დასახლებული ერთეული უნდა გაემაგ, რეზინოს, ციხე-სიმაგრედ გვეყოს, რომ პეტრა იონე ციხეს იქ მისკლამედ უკვე დასახლებული ერთეული და გარკვეული სავაჭრო ცენტრი არ ყოფილიყო, ის ასე უკვე არ გადაიტყუოდა ვაჭრობის მონაშობლას ლახეთში გამტარებელი ხელს სუფლების რეზიდენციად, ჩანს, პეტრა ამ კუთხის მნიშვნელოვან ცენტრში ცენტრს წარმოადგენდა, რის საშუალებათაც ლახეთში აწარმოებდნენ იმ თავის სავაჭრო რაზრაციებს, რომლებზედაც პროკოპი ლაპარაკობს (BP II 16, II, 23) და ამ მნიშვნელოვანი სახლეთა პუნქტისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული მის წარადგენი სპარსეთისა, რომლის სთავარ ცენტრებს ბიხანტიათთან ბრძვლას ლახეთისა გამო უფროდ სახლეთა კარის ხელში საგდება წარმოადგენდა, ტყვილ ხომ არ ეუბნებიან ლახები ხოროს: „ჩვენი კვეყნის ვხით რომელთა ხელა

ἦμας ἐστιν ἐκ Περσῶν ἀναλήψ- უზენაესობის სახელიც და ეწო-
 θήντα φερύρια Σακάνδρι¹ τε დება იუსტინიანე; შემდეგ არქეო-
 και Σαραπανίς², και τὸ Μουρι- პოლისი და როდოპოლისი, უდი-

დაუკავშირდებით: აქ თუ ხომ აღდგეს საგებ. ნუგე, არავითარ სიძულეს არ წარ-
 მთავდებს, რომ ბიზანტიონის მაღალს შილქით³-თ (იხ. ქვემოთ გვ. 81).

დიდი ს. ჯანაშიას დასახლება პეტრას საერთის გარკვევის სკანქში: მან
 გადაშალა ჰენ წინაშე პეტრას მთელი ისტორია, VI საუკუნიდან ვიდრე XVIII საუ-
 კუნემდე, ვიდრე იმ დრომდე, რომდსაც ანერეთის სარდალ-სახლარუხუცესი ზურაბ
 წერეთელი უმტკიცებდა პოტიომკინს პეტრას, ამ დღეს კალაქის მნიშვნელობას.

ს. ჯანაშიას დასახლება პეტრა-ციხისძირის უდიდესი: ვი შესწავლეთ, რომ
 იგი ახალციხის ხეობაში მდებარეობს და, მაშასადამე, ციხეს კვიციანს თურქებს
 თავდასხმობას; იგი პეტრავა ნიოსელის (იკვლისხმება საქართველოსა და თურ-
 კებს შორის); იგი საბარო ადგილია; იგი უფლაზე ნაკლებ მაღაროიანი პენქტია
 (ს. ჯანაშია, შრომები I, გვ. 29—44).

ს. ჯანაშიამ კარგად შეაყვას ციხისძირის სტრატეგიული მნიშვნელობა. ის
 ამბობს: „ციხისძირის სტრატეგიული მნიშვნელობა ნეგნებულა იყო აგრეთვე
 ყველა შიშვენით ისტორიული ეპოქის შიგრ. დეოდალერ საჭროთელისიც ციხის-
 ძირი გამოყენებული ქონდა როგორც სიმაგრე, და მის სათავეთ მნიშვნელობას
 იმდროინდელი თვალსაზრისით მთლად გამოსაქვას (იხილ. ქართული სახელ-
 წოდება ქვაჯეთის ციხე) (ს. ჯანაშია, შრომები I, 39), გასაგებია, რომ ურო-
 დალერ ეპოქის ამ ციხეს, მისი დიდი, ხდარული შესახედობის გამო, უწოდებდ-
 ნებ ქვაჯეთის ციხეს, მაგრამ იქნებ ეს ძველიხდელი სახელია და მასში ჩამალ-
 ლია „ქვაჯეთის ციხე“ (ქვა—მრთი).—პეტრას შესახებ იხ. აგრეთვე ქვემოთ ჩვენი
 შემოწმება: გვ. 101—108, აგრეთვე გვ. 78—80.

¹ σακάνδρις Hal., sakandri Bas.

² Σαραπανίον Hal. — სკანდა და სარაპანის შესახებ ქვემოთ მხრად არის
 ლაპარაკი დაცემობით იმ ცნობებთან, რომლებიც ჰოპოტემა პრიკოპი გეს-
 როფლის თხზულებებში: (იხ. ქვემოთ გვ. გვ. 51 [კლახების მიწაწვალზე ორი სიმაგ-
 რე], 101, 187-188, 204). და უფლაქან. სადაც კი ამ ორ ციხეზე ლაპარაკი, იგუ-
 ლისხმება, რომ მანი ლახეთის ციხეებია:

ციხერიცა სახლებიდან რომ შედობარ, ეჭვად ლახებს მიწაწყალზე ორი
 სიმაგრე [სკანდა და სარაპანი], რომელთა დაცვა ძველით განევე ადგილობ-
 რევი შესაყოფებებს საჭრენავს შეადგენდა (BP I 12; ქვემოთ, გვ. 51).

ელაზთა სოფლები ხომ აქ გველა მდებარეობს მდინარის აქეთა ნაპირას და
 ქალაქებზე მათ ძველით განევე აქ აუწერებიათ, მათ შორის არის... სკანდა და
 სარაპანი — იბერიის საზღვრებისაკენ (BP II, 24; ქვემოთ გვ. 101).

ელაზთა ორი ციხეა ზედ იბერიის საზღვრებთან, სკანდა და სარაპანიცა
 (BG VIII, 13; ქვემოთ, გვ. 185).

მაშასადამე, სადაც არ უნდა იყოს, რომ VI საუკუნეში შორაპანი ლახების
 ციხე-სიმაგრე იყო, მათ შიგრ ძიველით განევე აგებული.

როგორია საქმის ვითარება წინა საუკუნეებში? სტრაბონის თქმით, იბერიის
 შესასვლელი ოთხი გზა არის: ერთი არის კოლხურ ციხე-სიმაგრე შორაპანზე—
μία μὲν διὰ Σαρματῶν ποταμῶν Καχικῶν (იხ. თ. ყაუხჩიი შვილი, სტრა-
 ბონის გეოგრაფია, თბ. 1957, გვ. 128).

ამიტომ დაუსაბუთებლად მიგვაჩნია ჩვენ იმის მტკიცება, რომ შორაპანი იბე-

σιος¹ τε και Δύσιρις², και ε! τ:
 ἑτερον ἦμιν ἐν Αλζοῖς ἐκπεπόνηται·
 εἶτα ἢ Ἰζάνων διαδέχεται· χώρα,
 ἡν πρῶτον ἐπ' ἡμῶν ἔπθ Ῥω-
 μαίων κατακτηθεῖσα, και πόλεις
 τε και αὐτῆ τὰς μὲν ἄρτ: γυνο-
 μένας δεχομένη τὰς δὲ θσον
 οὖπω γεννητομένας δεξιμένη· ἄλλα
 τε μετ' ἐκείνην ἔβηη καθεστᾶσ:
 Σουανί τε και Σκύμιοι και

დესი და ძველი სიმაგრეები. აქვე
 ზედის აგრეთვე ჩვენ მიერ სპარ-
 სელებისაგან უკან ჩამოროთმეული
 სიმაგრეები სკანდისი, სარაპანი-
 სი, მუქნიქისი და ლისიჩი და სხვა
 რამეც, რაც კი ლაზეთში შევი-
 ძინეთ. შემდეგ მოდის ჭანთა ევე-
 ყანა, მხოლოდ ახლა ჩვენი მეფო-
 ბის დროს რომანელთა მიერ და-
 ვერობილი³; მასაც აქვს უკვე ქა-

რიაში შედიოდა და არა კოლხეთ-ლაზეთში. ერთი იმის თქმა, რომ „შორაპნის
 აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია ძველ იბერიას ეკუთვნოდა“ (რაც სრულ
 კვანძობას წყევს) და მეორე იმის მტკიცება, რომ არაპატო შორაპნისა
 და სკანდის ციხეების აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია, რამეც თვით
 შორაპანი და სკანდისი იბერიის ტერიტორიაზე ეკუთვნოდა“
 (რაც, თითქოს, ი. ჯ. ვახუშტის რედაქციით 1923 წელს გამოხული რეკლამის
 ჩანს, ბოლო სწავლილებს არ შეეფერება).

ამ მტკიცების ავტორია გ. ცეტიქიძე ილს („ისტორიკი ხანის შორაპნის
 სტრუქტურის საკითხისათვის“; სპ. ისტორიული გეოგრაფიის კრებული II [1964],
 გვ. 71-116) ერთ-ერთ საბუთად იხივ მოჰყვს, რომ, ლეონტი მროველია წინა-
 ვით, „უარნავანში, რომელსაც კარბელთა საბელმწიფო შექმნა და გვიანა პოლი-
 ტიკურად და ადმინისტრაციულად მოაწესრიგა — სტრუქტურისაგან დაყო — ერთი
 გავსება: ნარგის (ე. ი. არბუქეთის) ერთობად, და ბისცა მცირედი მთითგან, რომელ
 არს ლიხი, ვადე ზღუდადმდე [ვგროსისა] რომს ზეპო: და ასანეც დარსაგზ
 აღაშენა თრის ციხესი, შორაპანი და დინია“ (იქვე, გვ. 77). თუ ლეონტი სრო-
 ველის ეს სიტყვები ისე უნდა გაეგოთ, რომ შორაპანი იბერიაში შედიოდა და
 არა ლაზეთში (კოლხეთში, ვგროსში), მაშინ რაღა გეგდება ასეე ლეონტი მრო-
 ველის ეწინის, რომლის მიხედვით დარსაგზმა ასაცა ქუჯის ქვეშა ვგროს
 წაღსა და რომს შუა, ზღუდაც მთამდე, რომელსა შინა არა ვგროსი და სუა-
 ნეთი და დასტკიცო იგი ვგროსად მუხა (გ. ცე. I [1955], 24). ამ შეანსკველი
 ცნობით (თუ მას ისე ვაგებთ, როგორც გ. ცეტიქიძელს ესმოდა) რომ ეს დასკვნა
 უნდა გამოეიტანათ, რომ იბერიაში შედიოდა მთელი ვგროსი და სკანდისი, მაგრამ
 ლეონტი მროველის ისტორიის არც პირველი ადგილი, რომელსაც ვერდნობა
 გ. ცეტიქიძე, და არც ზევს მიერ მოყვანილი მეორე ადგილი არ გვაძლევს
 საბუთს ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ იბერიის სამფლობელოებში შედიოდა
 სკანდა-შორაპნის ხანის დასავლეთით მდებარე ტერიტორია (დასეთისა). ლეონტი
 მროველის ამ ცნობათა მიხედვით საკვლევა საკითხი პოლიტიკური ურთიერთ-
 ბისა იბერიასა და ლახეთს შორის.

¹ μουσινας Hal. მუქნიქისი ჩვენი კონიექტურა.
² Δουσιριος Hal., Δουσιριος Bus. ლისიჩის შესახებ იხ. კვეთით გვ. 220-
³ კახების დანობრელება უნდა მომხდარაყო 527-535 წლებში. ოუსტინიანეს
 მიერ 527/9 წელს ინიშება სიტრა magister militum per Armeniam, ბოლო
 535 წელს კახეთი უკვე ბიზანტიელების კონშერდომია, რაც მტკიცება ოუსტი-

Ἄφίλοι καὶ Ἀβραγαί, καὶ ἔτερα
 νῦν θεοῦ θόντος φιλία τε καὶ
 ἡμέτερα.

არიახ სხვა ტომებიც: სუანები, სკვინები, აფსილები, აბაზები და სხვა, ღვთის შეწყვენით, ჩვენი მეგობარი ტომები.

A'. Ἄλλ' εἰς ταῦτα μὲν ἔ-
 περὶ τοὺς τόπους τούτους ἡμᾶς
 ἤνευχε λόγος. Ἐπαύμεν δὲ αὐτὸς
 ἐπὶ τοὺς ἰόντας καὶ τὴν ἔνωσαν
 τὴν ἀντών. Ἰσότης γὰρ νῦν
 ἀμφω τοὺς ἰόντας τοὺς τῆς
 τρισκαίδεκα πύλεσι περιεχομένους
 εἰς μίαν ἐπαρχίαν αὐτὸς συνα-
 γομεν, καὶ ἀποδίδομεν τῆς μὲν
 παλαιότητος τὴν ἔνωσαν, τῆς δὲ
 νεότητος τὴν ἐκωνυμίαν. Ἐλενό-
 ποντος γὰρ ἀπαρ καλέσθη...

(Z. a Lingenthal I 191-3).

ლაქად ქცეული ადგილები, მო-
 მავალშიც ექნება სხვები. ამ
 ქვეყნის შემდეგ დამკვიდრებული

მავრამ ამ ქვეყნებზე ლაპა-
 რაქნა შორს წაგვიყვანა. დავუ-
 ბრუნდეთ ისევ პონტოებს და
 მათი გაერთიანების საკითხს. ამ-
 გვარად. ორივე ამ პონტოს, რომ-
 ლებიც სსენებულ ცანეტ ქალაქს
 შეიცავენ, კვლავ ერთ ეპარქიად
 გაერთიანებთ და ვანიჭებთ მათ
 ძველს ერთიანობას და ახალს
 სახელწოდებას: ქელენობონტო
 ეწოდოს მის ბოლიანად.

ნიანეს ნოველით, რომელიც 535 წლით თარიღდება, აქ, სახელდობრ, ნი: ცნობილია:
 ლახების ჯგუფიანს «ოსდგეს კანთა ნიწა-წყალე, რომელიც ივენ დროს იქნა
 დაკრობილი რომელღების მიერ» (ც ა ბ ა რ ი ე - ლ ი ნ გ ვ ნ თ ა დ ი ს გ ა მ. I, 19).
 თუ რა დიდ სწავნელობას აღწევდა იუსტინიანე მთავრობა კანეთის დამოთხო-
 ლებას, უფრო ნათლად ჩანს 535 წლის სხვა ნოველით (N. O. I: იგივე გამო-
 ცემა 17-17). კანეთის შესახებ უფრო დაწვრილებით პროკოპი მოგვითხრობს
 ჭეშმარიტ De aedificiis III, 6 (იხ. აქვე ქვემოთ, გვ. 213-218).

კანეთის დამოთხოვლობასა და ამის შესახებ ნოველებს იუსტიანიანეს იხსენ-
 ნებდა აგათანა (V 2: HGM II № 2; იხ. გეორგიკა III, 185-186 და იქვე ლეონი
 განმარტება).

პროკოპი კესარიელი

ბიზანტიელ მწერალთა შორის, რომელთაც დაუცავთ ცნობები საქართველოს და მისი ნებობელი ქვეყნების (სომხეთის, ალანეთის, სპარსეთის და სხვ.) შესახებ და რომელთა თხზულებებიც ჩვენამდე მოღწეულია, პროკოპი კესარიელი უნდა ჩაითვალოს ყველაზე უფრო ნაყოფიერ და სანდო ისტორიკოსად.

წარმოშობით პროკოპი არის პალესტინის კესარიიდან, სადაც ის V საუკუნის ბოლოს ან VI-ის დასაწყისში (490 და 507 წლებს შორის) უნდა იყოს დაბადებული. ლექსიკოგრაფი სვიდა ასე აგვიწერს პროკოპის ცხოვრებასა და სამწერლო მოღვაწეობას:

Προκόπιος Ἰλιούστριος, Καίσαρς ἐκ Παλαιστίνης, ῥήτωρ καὶ σοφιστής, ἔγραψεν ἱστορίαν Ῥωμαϊκὴν ἕχουσαν τοὺς πολέμους Βελισσάριου πατρικίου, τὰ κατὰ Ῥώμην καὶ Λιβύην πραχθέντα. Ἰέχουσι ἐπὶ τῶν χρόνων Ἰουστινιανοῦ τοῦ βασιλέως, ἀπογραφαὴς χρηματίσας Βελισσάριου καὶ ἀκόλουθος κατὰ πάντας τοὺς σύμβατας πολέμους τε καὶ πράξεις τὰς ἐν αὐτοῦ συγγραφεύσας. Ἐγραψε καὶ ἑτέρον βιβλίον, τὸ καλοῦνται Ἀνέκδοτα, τῶν αἰσίων πράξεων, ὡς εἶναι ἀμφοτέρω βιβλίω θ'.

პროკოპი ბრწყინვალე, პალესტინის კესარიიდან, რიტორი და სოფისტი; აღწერა რომაული ისტორია, ესე იგი პატრიკიოს ველიზარის ომები, რომლებიც რომსა და ლიბიაში მოხდა. ცხოვრობდა იუსტინიანე მეფის დროს, ველიზარის მღვიმის (მონტეჯული) თანამდებობას ასრულებდა და მას ახლდა უკვე ომში და მისი საქმიანობაც აღწერა. დაწერა აგრეთვე სხვა წიგნიც, ეგზეტორიკული «ანეკდოტა», ამავე საქმეების შესახებ, ახე რომ ორივე თხზულება სულ ცხრა წიგნს შეადგენს.

სვიდას ლექსიკონის ეს ცნობები დასტურდება სხვა წყაროებითაც. პროკოპი ველიზარს ახლდა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ფრონტებზე, როგორც ლაზეთის ისე იტალიისა და აფრიკის ტერიტორიაზე წარმოებულ საომარი ოპერაციების დროს (527 – 541 წლებში). 542 წელს ის კონსტანტინეპოლშია (სადაც შესაძლებელია სარკივო მასალების საფუძველზე უკვე შეუდგა «ისტორიების» წერას), ხოლო ამის შემდეგ მისი ცხოვრების შესახებ არავითარი ცნობა არაა. ფიქრობენ, რომ 562 წლის თარიღით წყაროებში მოხსენებული ქალაქის პრეფექტი (Praefectus urbi), ეინშე პროკოპი, ჩვენი ისტორიკოსი უნდა იყოს¹.

¹ G. Moravcsik, Byzantino-Turcica, I^o (1958), pp. 489.

ჩვენამდე მოღწეულია პროკოპი კესარიელის სამი თხზულება.

1) Π ο λ ε μ ι κ ά. ეს არის პროკოპის ძირითადი ნაშრომი, შეს-
დგება 8 წიგნისაგან, დაწერილია 545—550 და 553 წლებში და
აგვიწერს საომარ ობერაციებს სამ ფრონტზე:

ა) ომი სპარსელებთან: De bello persico (წიგნები 1—II),

ბ) ომი ვანდალებთან: De bello vandamico, 1—II (საერთო სათ-
ვალავეთ წიგნები III—IV),

გ) ომი გუთებთან: De bello gothico. 1—III (საერთო სათვა-
ლავით წიგნები V—VII).

„ომების“ VIII წიგნი შეიცავს ცნობებს ყველა ფრონტის შესახებ.

როგორც ოფიციალური ისტორიკოსი, პროკოპი, რასაკვირვე-
ლია, იუსტინიანეს მთავრობის საგანგებო ხაზს ატარებს თავის
თხზულებებში, და მის მიერ მონათხრობის გაცხრილვა, ცხადია,
აუცილებელია ყოველ ვერძო შემთხვევაში. განსაკუთრებით ახასია-
თებს პროკოპის, როგორც ოფიციალურ ისტორიკოსს, მისი მეორე
ნაშრომი.

2) Π ε ρ ι κ τ ι σ μ ά τ ω ν (De aedificiis, «შენობათა შესახებ»),
ექვს წიგნად; დაწერილი უნდა იყოს 553—555 წლებში; არავითარი
ექვი არაა, რომ ეს შრომა იუსტინიანეს დავალებით არის დაწე-
რილი.

სულ სხვა ხასიათისაა პროკოპი კესარიელის მესამე ნაშრომი,
ე. წ. «საიდუმლო ისტორია».

3) Ἄ ν ε κ θ ῖ τ α. ჯერ კიდევ სვიდას მიხედვით იყო ცნობილი,
რომ „ომების“ წიგნის გარდა ამგვირვიე ამბებისათვის პროკოპის
«სხვა წიგნიც დეწერა, ეგრეთწოდებული ანეკდოტა». ამ ნაშრომში —
იმავე სვიდას მოწმობით — იუსტინიანეს და მისი მეუღლის, თეო-
დორას, და, საზოგადოდ, მთავრობის პოლიტიკის დაგებას ჰქონია
იდგილი. მაგრამ, თუ რას წარმოადგენდა ეს თხზულება თავისი შინა-
არსით, არავინ იცოდა. მხოლოდ 1623 წელს იხილდა ფარდა ამ
საიდუმლოებას, როდესაც ნ. ალემანიმ აღმოაჩინა იგი ვატიკა-
ნის ბიბლიოთეკაში. ამ თხზულებაში გამოხატული აზრები იმდენად
ეწინააღმდეგება პროკოპის მიერ სხვა ნაშრომებში გამოთქმულ
აზრებს, იმდენად მძაფრი არის აქ მთავრობის პოლიტიკის კრი-
ტიკა, — იმ მთავრობის, რომელსაც სხვაგან პროკოპი ქება-დიდებათ
იხსენიებს, — რომ დიდხანს მეცნიერთ შორის დავა იყო ამ თხზუ-
ლების ავტორკუთვნილობის საკითხის გარშემო. დღეს კი, ამ თხზუ-
ლების შესწავლის შემდეგ როგორც შინაარსის ისე ენის მხრით,

დამტკიცებულია, რომ იგი პროკოპის კალამს ეკუთვნის და დაწერილია მის მიერ 550 წლის მახლობელ ხანში, ე. ი. იმავე ხანში, როდესაც ის „ომების“ წიგნს ანთავრებდა. ირვევეა, მაშასადამე, რომ ოფიციალური ისტორიის პარალელურად პროკოპი წერდა არაოფიციალურ საიდუმლო ისტორიას, რომელიც მას არ გამოუქვეყნებია (*ἀνεκδότα*), ვინაიდან მისი გამოქვეყნება ავტორის მთავრობის რისხვას დაატეხდა თავს. ამის შესახებ პროკოპი თვითონ გვიამბობს:

ჩემთვის არ იყო შესაძლებელი ანეწერა ამბები, როგორც წესი და რიგია (*ὡς οὐκ ἔστιν ἔθος*), სანამ ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ ამ საქმეების ჩამდენნი. ვერც გამოვაპარებდი რამეს ჯანსუფებას სიმრავლეს, და, მათ მიერ გამგლავნებული. საკოდავა სიკვდილით დავიღუბებოდი: უმახლობლესს ნათესავებსაც კი ვერ ვენდობოდი.

წინანდელ ნაწერებშიც ბევრი რამ ისეთი ეთქვი, რისი მიზეზებიც იძულებული ვიყავი დამეშალა. აქამდე უთქმელად დარჩენილი და წინანდელ მოთხრობებში გამოტოვებული მიზეზებიც უნდა ავხსნა.

„ნაგრამ ამ ახალ, ძნელსა და დაუსლეველ საქმეზე რომ ვადავდივარ, იუსტინიანეს და თეოდორას ცხოვრების აღწერაზე, კანკალს მაწყვებინებს და უკან ვიხევ და ძალიან ბევრს ვფიქრობ იმაზე, რომ ვაი თუ, რასაც მე ახლა დავწერ, არც სანდოდ და არც შესაფერისად მოიჭერნოს იმათ, ვინც შემდეგ იქნებიან (ე. ი. მომავალ თაობებს), ვინაიდან, სხვათა შორის, დიდი დრო რომ გავა, მოსასმენად ძველ ამბად წარმოსდგება და მე ვწიწობ, რომ მითოლოგიის სახელს შევიძენ და ტრაგედიების გუნდთა მასწავლებლად (*τραγικὸν ἐπιμαχάριον*) ჩამრიცხავენ.

მიუხედავად ამისა, ვიქონიებ გამბედაობას და არ შეგუშინდები საქმის სიმძიმეს, რადგან ჩემი მოთხრობა არ არის მოკლებული მოწმეებს. რამეთუ ახლანდელი ადამიანები ძალიან სანდო მოწმეები არიან ამ საქმეებისა და მომავალშიც საიმედო თანამგზავრები იქნებიან ამ ამბების შესახებ გამოთქმული სიძარტლისა.

ეთუშკა იყო სხვა რამ, რაც მე, ამ მოთხრობის მოსწრაფეს, ხშირად დიდი ხნის განმავლობაში მაკავებდა. მე შეჩვენებოდა, რომ მომავალი თაობებისათვის ეს უსარგებლო იქნებოდა, რადგან მომავალი დროისათვის უფრო სასარგებლო იქნებოდა არ სკოდნოდათ ეს უბოროტესი საქმეები. ან ამის გავონებაზე ტირანებს არ დაბადებოდათ სურვილი მიბაძვისა. რამეთუ ძალაუფლების მქონეთა უმეტესი ნაწილისათვის, მათი უმეტეობის გასო, მუდამ ადვილია წინამორბედთა მიერ ჩადენილ ბოროტებათა მიბაძვა, და მუდამ

ადვილად და უზრუნველად ცხურობიან ძველთა მიერ ჩადენილ შეცოდებებს.

მაგრამ შემდეგ მე ამ ანბავთა ისტორიის დაწერა გადამაწყვეტინა შენდევნა მოსახრებაჲ: ნოვაგალი ტირანებისათვის ღმრთეობა იქნება, რომ ისინი თავიანთ შეცოდებათათვის ვერ აღცდენენ შურისძიებას, ისევე როგორც ან (ჩემ მიერ აღწერილ) ადალიანებს ერგოთ წვალება: შემდეგ, მათი საკმეობი, აღწერილი, და მათი ქცევა მუდამ ეცნებათ თვალწინ და იქნება თავი შეაკანებინოს უკანონო საქმეებისაგან...

ამიტომ ჯერ მინდა გიამბოთ, თუ რა უწმინდურობანი ჩაიდინა ველიზარიმ, ხოლო შემდეგ ნათლვეყოფ იუსტინიანეს და თეოდორას უწმინდურ საქმეებს (HARRY III, 1, 4-6).

დიდი განსხვავებაა იუსტინიანეს დახასიათებაში, რომელიც წარმოდგენილია „საიდუმლო ისტორიაში“, იმასთან შედარებით, რასაც ამბობს პროკოპი თავის სხვა ნაწერებში, მაგალითად:

ჩვენს დროში გაპოჩნდა იუსტინიანე მეფე, რომელმაც მიიღო სახელმწიფო უაღრესად შერყეული და სიდიდითაც უუარო გაზარდა იგი და ბევრად უფრო ბრწყინვალე ვახადა, მის შემდეგ რაც იქიდან გააძევა ბარბაროსები, რომლებიც ძველითგანვე მძლავრობდნენ მას, როგორც ეს ჩემ მიერ დაწერილებით არის ნათელყოფილი წიგნში «ომების შესახებ» (De aed. I, 1,6).

(იუსტინიანემ თავისი მოღვაწეობით) იმას მიაღწია, რომ სახელმწიფოში დაამკვიდრა ნეტარი ცხოვრება (De aed. I, 1,10).

*Οτι Κόλχοι οί και Λαζοί λεγόμενοι εἰσιν οἱ Ἀλαβῖνοι (Wuensch 165). IV 146. კოლხები, რომელთაც აგრეთვე ლაზები ეწოდებათ, ალაინები არიან.

De ostentis

თ. 25. თვესა ივლისსა. წინათ ამ თვეს კვინტილი ერქვა, ხოლო იულიოს კეისრის პატივსაცემად მისი სახელი ეწოდა: ამის შესახებ დაწვრილებით გვაქვს ნათქვამი ნაწარმოებში „თვეთა შესახებ“. თუ, მზე რომ კირჩხიბშია, მეხი გავარდება, ლეინის ღიდი მოსავალი იქნება და გვალვა.

Νόσσι τε φρικώδεις; και παρειακοί και κινθῶτων ἑγγύς ἐπί τε Βιθυνίας και Φρυγίας ἄλγες, Κολχιακής, Νουმიθίας, Καρχηδόνος; και Ἀφρικῆς ταις θηλείαις διαφερόντως; προσπεσόντων; (Wachsmuth 60). გავრცელებდა, განსაკუთრებით ქალებს შორის, საშინელი ხურეებითი და საბედისწერო ავადმყოფობანი ბითონიაში, მთელ ფრიგიასში, კოლხიკეში, ნუმიდიაში, კარქედონსა და აფრიკაში.

თ. 56. ამზე კირჩხიბშია. თუ ღელვა მოხდება სადმე დედამიწის ზურგზე, ზემო აზიაში სპარსელთა მეზობელი ადგილები შეირყევა, კირიანი ავადმყოფობანიც მოედება იქაურ დიდებულთა გვამებს, რათა ამ ქვეყნებში მოისპონ მშართველები. ისინი, რომელნიც მათ შემდეგ ძალაუფლებას მიიღებენ, ხალხისა და თვით წარჩინებულთა დადგენილებით მშობლებს შვილებს წაართმევენ და შორს გადაქარგავენ.

*Ἐπί δὲ τῆς κάτῳ Ἀσίᾳς Βιθυνία Φρυγία τε πᾶσα, και Ἐβρώπης μὲν ἢ Κολχιακή, ἦν ἦν προσαγορεύουσι Λαζαίην, Ἀβνή; δὲ ἢ μέγρη; Νουმიθίας Ἀφρικῆς ταις ἀντοῖς ἑμᾶκτηαι; κακοῖς (Wachsmuth 112). ხოლო ქვემო აზიაში ბითონიასა და მთელ ფრიგიას, ევროპაში კოლხიკეს, რომელსაც ახლა ლაზიკეს ეძახიან, ლიბიაში აფრიკას ვიდრე ნუმიდია მღე იგივე უბედურებანი ეწევა.

71. ...αρκίνο Βιθυνία, Φρυγία ῥῖο, Κολχιακή, Νουმიθία, Καρχηδόν, Αφρικῆ (Wachsmuth 159). თ. 71. ...კირჩხიბშია ბითონია, ორივე ფრიგია, კოლხიკე, ნუმიდია, კარქედონი, აფრიკა.

და მ ა ტ ე ბ ა

მასალაჲი კატრე იბერიის ბიოგრაფიისათვის

1. იოანე რუფუსი — „პეტრე იბერიის ცხოვრება“
2. იოანე რუფუსი — „პლეტროფორიები“

პეტრე იბერის „ბიოგრაფიები“

მეხუთე საუკუნის გამოჩენილი მოღვაწის პეტრე იბერის ცხოვრება, პეტრეს გარდაცვალების უმაღლესი აღწერეს მისმა მოწაფეებმა. ამ მოწაფეთა ნაშრომები, რომლებაც დაწერილია VI საუკუნის დასაწყისში და შუა წლებში, ჩვენამდე მოღწეულია მათი სირიული თარგმანის სახით და არა მათი ბერძნული ორიგინალბით. ამ „ცხოვრებათაგან“ ცნობილია;

1) იოანე რუფუსის მიერ ბერძნულად დაწერილი „პეტრე იბერის ცხოვრება“; მოღწეულია მისი სირიული თარგმანი¹.

2) იოანე რუფუსის „პლეროფორიები“, რომელთა უმეტესი ნაწილი აგებულია პეტრე იბერის მიერ გამოთქმულ შეხედულებებზე. მოღწეულია ამ წრომის სირიული თარგმანი.

3) ზაქარია რიტორის „საეკლესიო ისტორია“, რომლის რამდენიმე თავი მიძღვნილი აქვს პეტრე იბერის ცხოვრების აღწერას. ამისიც მხოლოდ სირიული თარგმანია მოღწეული.

ქართულად დაწერილი „ცხოვრება პეტრე ქართველისა“, რომლის ავტორი თავის თავს უწოდებს: „გლახაკი ზაქარია მოწაფე მისი“.

ევაგრე სქოლასტიკოსის „საეკლესიო ისტორიაშიც“ და მრავალ სხვა თხზულებაშიც მოიპოვება ცნობები პეტრე იბერის მოღვაწეობაზე.

*

იოანე რუფუსის „პეტრე იბერის ცხოვრება“ დაწერილია VI საუკუნის დასაწყისში. როგორც ითქვა, იგი დაწერილი იყო ბერძნულად, ხოლო ჩვენამდე მოღწეულია მისი სირიული თარგმანი. ამ თხზულების სირიული ტექსტი გამოსცა და გერმანული თარგმანი დაურთო რიხარდ რააბემ. ამ გამოცემის სრული სათაურია:

Petrus der Iberer. Ein Charakterbild zur Kirchen- und Sittengeschichte des fünften Jahrhunderts. Syrische Übersetzung einer um das Jahr 500 verfassten griechischen Biographie. Herausgegeben und übersetzt von Richard Raabe. Leipzig 1895. VII+182 (გერმანული თარგმანი), 1-146 (სირიული ტექსტი).

¹ არ არის მართებული გამოთქმა „პეტრე იბერიელის სირიულ ენაზე დაწერილ ბიოგრაფიაში“ ესა-და-ის სწავილო (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია; ტ. I, თბ. 1960, გვ. 481, შენ. 5).

ბერძნული დედნიდან სირიულ თარგმანში გადასულია ალაგ-ალაგ ბერძნული სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ჩვენ თავთავის ადგილას ფრჩხილებში მოვათავსეთ.

პეტრე იბერის ამ „ცხოვრების“ ავტორი დიდი ხნის განმავლობაში უცნობი იყო. დღეს მეცნიერებაში უკვე გარკვეულია, რომ მისი ავტორია იოანე რუფუსი¹. ეს გაარკვია ედ. შვარცმა, რომელმაც დაადგინა, რომ იოანე რუფუსმა „პეტრე იბერის ცხოვრება“ ბერძნულ ენაზე დაწერა 518 წ. და არა 500 წელს (როგორც რ. რააბე ფიქრობდა)*.

„პეტრე იბერის ცხოვრება“, როგორც წყარო საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესასწავლად, დაწვრილებით აქვს განხილული ივ. ჯავახიშვილს „ქართული სამართლის ისტორიის“ I ტომში (თბ. 1928, გვ. 175-181). განსვენებული აკადემიკოსი წერს: „თუმცა რ. რააბეს მიერ გამოცემულს ასურულს ცხოვრებას სამწუხაროდ უკვე თავდაპირველი სახე შეცვლილი აქვს, მაგრამ მაინც შიგ ძვირფასი საისტორიო ცნობები არის შემონახული. ცხოვრების პირველ ნაწილში მოთხრობილია და ჩამოთვლილი პეტრე ქართველის ჩამომავლობა და ნათესავობა, ხოლო რაკი იგი სამეფო საგვარეულოს წევრი იყო, ამიტომ იქ აღნუსხულია ქართველ, ივერთა მეფეთა სამი თავობა. სამწუხაროდ, ასურულ დედანში სახელები ცოტა არ იყოს დასახინჯებულია და ბოლოშიაც თვითველ სახელს ბერძნული დაბოლოება² (ოს) აქვს მიმატებული“ (გვ. 176).

*

ქვემოთ ჩვენ ვაქვეყნებთ იოანე რუფუსის „პეტრეს ცხოვრების“ ასურული ტექსტის ერთი ნაწილის ქართულ თარგმანს. თარგმანი, როგორც ამ წიგნის წინაპირობებში ვწერთ, შესრულებულია რ. რააბეს გერმანული თარგმანის მიხედვით. ფრჩხილებში ჩასმულმა შავი ციფრებით აღნიშნულია რ. რააბეს გერმანული თარგმანის გვერდები, ხოლო ბიბლიის ციტატები ამოღებული გვაქვს ბიბლიის ქართული გამოცემებიდან.

¹ ბიოგრაფიული ცნობები იოანე რუფუსის შესახებ იხ. ქვემოთ, „პლეროფორიების“ შესავალ ნარკვევში.

² Ed. Schwartz, Johannes Rufus, 1912; შ. ნ. უ. ც. ბ. ი. ძ. ქართულმა დილოსთაფის ისტორიამ, ტ. I (1956), გვ. 462.

* ეს იმით აიხსნება, რომ პირველდღეიანი ბერძნულ ენაზე იყო დაწერილი.

დავატება პირველი

[იოანე რუფუსი]

წმინდა პეტრე იბერის, ნეტარი ეპისკოპოსის და ჩვენი უფლის აღმსარებლის და ასკეტის ცხოვრება*

ჩვენი მოძღვრის მოგონება ნაბრძანები გვაქვს ჩვენ ღვთაებრივი მოციქულის პავლესაგან, რომელიც ამბობს (ებრ. 13,7): «მოიხსენებით წინამძღვარნი იგი თქუენნი, რომელნი გეტყოდეს თქუენ სიტყუათა მათ ღმრთისათა, და ჰხედვიდით გამოსლუვასა მას ცხოვრებისა ნათისასა და ჰბამევდით სარწმუნოებასა მათსა».

რანდენადაც ჩვენ ვასრულებთ სათნო და ღვთის-მოსაწონ მოვალეობას და მოცაქულის ბრძანებას ნევადევთ, ჩვენ უთუოდ მოგვეთხოვება გავაკეთოთ ეს უაღრესი რუდუნებით. ვინაიდან ჰესმარიტად დიდი დანხმარე საწუალებაა სიკეთის მისაღწევად იმ მოწაფეებისათვის, რომელნიც სკვეთშაც ჰბამავენ და ინათთან დანსგავსებას სიხარულით ისწრაფიან; ეს არის კეთილშობილებით აღსავსე გარდაქმნა იმათი, რომლებიც ღვთის შეწევნით ხელმძღვანელნი იყენენ. მაგრამ ჩვენ მარტო ხელმძღვანელს ვი არ მოვიგონებთ, არამედ კეთილ მწყემსს, მოსიყვარულე (ჟამბაძევიც) მამას, სათხო ეპისკოპოსს, ღვთის-მოშიშ აღმსარებელს და მრავლისმრავალჯერ მოწამეს, — მოვიგონებთ იმას, ვინც ყველასათვის ძვირფასად, როგორც მოლაპარაკისათვის ისე მსმენლისათვის, ასე რომ ჩვენ წეგვეფერის სრულის სიხარულით მოვიტანოთ ის, რაც ინაზე თქმულა და გვსენია, მის წმინდა ლოცვებზე დაჟრდნობით, და თუ (14) დამსაბურებით არა, კეთილი სურვილით მაინც ავაცდინოთ დანაშაული, რანდენადაც ეს ჩვენთვის შესაძლებელია.

თხრობას შესავალში ჩვენ წარმოვადგენთ მისი გვარის წარმოშობის საწუისებს, ვინაიდან ამაზეა ზედგამოჭრილი ანდაზა: ღმერთი თავის მოწმედებას მართალთა გვარში ეწევა [ἐν γένει τῶν ἀληθῶν]¹. — და: მართალთა გვარი დალოცვილი იქნება². — და აღნიშვნა: «რჩეული გვარი და მღვდელმსახურთა სამეფო».

* სქოლიოები ვკუთვნიან რ. რაბახეს გარდა რამდენიმე შენიშვნისა, რომლებიც ჩვენ მიერ (ხ. ყ.) არის შემოტანილი.

¹ უსალმ. 14,5.

² უსალმ. 112,2: «თესლი წრფელთა იკურთხოს».

ცხოვრებული პეტრეს სამშობლო იყო ცნობილი ქვეყანა იბერთა, იმ ჩრდილოელთა (ἀρχαίται), რომელნიც მზის აღმოსავლეთან ცხოვრობენ; ამ ქვეყანას მულამ დაეა ჰქონდა რომაელებთან და სპარსელებთან, ვინაიდან ეს ხალხები დანნარების მოთხოვნის საბაბით თვით ქვეყანას ითვისებდნენ.

ამ ქვეყნის ენაზე მას თავდაპირველად ერწვა ნაბარსუგოსი, ხოლო როდესაც მან ნონაზონის წინდა სამოსელი ჩაიცვა, ნაცვლად ამ სახელისა მას მიეკუთვნა სახელი პეტრე, პირველი მოციქულის სახელი: ამ მამებმა, რომელთაც მას ეს წმინდა სამოსელი ჩააცვეს, ჩემის აზრით, ღვთის ჩაგონებით დაარქვეს ეს სახელი, რათა იგი (პეტრე მოციქულს) შეეძობრებოდა ქცევაში, ჩვეულებებში და რწმენის სიხარულში, რაიც მას ღვთისაგან ნიენიჭა, რომელთა გულისთვისაც უფალმა მას უწოდა პეტრე, ესე იგი კლდე; ამიტომ უთხრა მან: შენ ხარ კლდე, და ამ კლდეზე მსურს ავაგო ჩემი ეკლესია, და ჯოჯოხეთის კარებმა იგი არ უნდა დასძლიონ. და მე მინდა ზეცათა სამყაროს გასაღები მოგცე, და რასაც შენ მიწაზე შეკრავ, ზეცაშიც შეკრული უნდა იყოს, ხოლო რასაც მიწაზე გახსნი, ზეცაშიც გახსნილი უნდა იყოს¹ (მთ. 16, 18, 19).

(15) ჩვენი მამისა და ეპისკოპოსის, ცხოვრებული პეტრეს მამა იყო ბოზმარიოსი, იბერთა მეფე, მისი მამის მამა იყო ბოზმარიოსი, მისი დედა ბაკურდუხტია, ხოლო მისი დედის დედა იყო წმინდა დუხტია; მისი პაპა დედის მხრით იყო დიდი ბაკურიოსი, დუხტიას მეუღლე, რომელიც ამ ქვეყნის მმართველთაგან პირველი ქრისტიანი მეფე იყო და მთელი ის ხალხი ღვთისმოშიშობაში მიიყვანა, — ესენი ყველანი, მის შემდეგ რაც იბერთა მეფეები და დედოფლები იყვნენ, თავიანთი კეთილსათნობის წყალობით ზეციურ სამყაროს ეზიარნენ.

მისი დიდება მამის მხრით იყო ოსდუხტია, ბოზმარიოსის მეუღლე და მისი მამის ბოზმარიოსის დედა. ხოლო ფარასმანიოსი იყო ოსდუხტიას, მამის მხრით მისი დიდედის, ძმა, რომელიც რომაელთა მეფეს არკადიუსს დიდ პატივში ჰყავდა, ჯარის სარდლის თანამდებობაც ეკავა და პირველი ადგილი ეპურა (ἄρχιεπίσκοπος).

¹ მთ. 16, 18-19: «და მეცა ვეტყუ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და მაგახ კლდესა ზედა ავაშენო ეკლესია ჩემი, და ბქენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდინ მას. და მივცენ შენ კლიტენი სასუფეველისა ცათამანი; და რომელი შეკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს ცათა შინა; და რომელი გაჰქსნა ქუეყანასა ზედა, ქსნილ იყოს იგი ცათა შინა».

აქვეთაჲ; ἀποφθέματα), სოლო, უკანასკნელ, არკადიუსის მეუღლის, ევდოქსიას შეყვარების გამო, იგი გაიქცა და დაიშალა, სასწრაფოდ თავის სამშობლოში წავიდა; როდესაც ის იბერებზე ბატონობდა და თან მიიყვანა თეთრი ჭუნეები, იბერთა მებობლები, იმათთვის, რომელნიც რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, მრავალი უბედურების მიზეზი შეიქმნა.

დიდ ბაკურიოსს, ცხოვებული პეტრეს შაპას დედის მხრით, ჰყავდა ძმა, ცხოვებული არსილიოსი¹ (არჩილი). მან ბაკურიოსთან და ბონმარიოსთან ერთად ღრმა მოხუცებულმა, თანახმად იბერთა მეფეთმონაცვლეობის წესისა, (16) იმეფა იბერიაში, დაასრულა თავისი ცხოვრება უმანკობაში და ღვთისმშობლობაში. ღვიძლი ძმები პეტრეს არ ჰყავდა. მას მხოლოდ ერთი და ჰყავდა, სახელად ბოშიროსპარია, რომელიც მამა-მისს შეეძინა ერთ ხასასთან. მოუხედავად ამისა, მამის სურვილისაგებ, პეტრე მას ღვიძლ დად თვლიდა. პეტრე აღზარდა, ბავშვობაში, ერთმა წმინდა და ცნობილმა ქალმა, სახელად ძუძომ², და ის ამასთან იყო დამალული, რათა მძევლად არ წაეყვანათ სპარსელებს, რომელნიც ამის გამო მშვირად გზავნიდნენ შიკრიკებს. მისი ქალიშვილი, სახელად ოტა, იყო ცხოვებული დედობილი, და იგი მას ძუძუს აწოვებდა. უკანასკნელის მეუღლე იყო ქურენიოსი (Khurenios), სოლო ღვიძლი ძმა ბარდალიოსი. მათი ვაჟები, ვატა და მურგაკესი, ცხოვებული მშობილები იყვნენ, მისივე ბნისანები.

ხოლო ნურაგინ გამოიჩინეს სულმოკლეობას (μαραψυχία) და ზედმეტად ნუ ჩათვლის ამ სახელებს ჩამოთვლას. ეს ჩვენ უსაფუძვლოდ კი არ ვახსენებთ, არამედ იმიტომ, რომ იმ ჰეშმარიტად მოსიყვარულე (φιλόστοργος) და ღვთისმოსავემა (φιλότης) მამამ ყველა ეს სახელები გააერთიანა წლის ერთ დღეს, შაბათს, სახელდობრ [დიდ]მარხვის ოთხშაბათს (Mittsabbath), და მათ მატარებელთა მოგონება დააწესა; ამით მან სამაგიერო ჯილდო უზლო მათ იმ მშვიდობისათვის, რომელიც მათ მიანიჭეს იმას, და რომელიც მან აირჩია, რათა ეს მიწიერი ცხოვრება უარეყო. იმიტომ ჩვენც, უკნინებმა, სამართლიანად მივიჩნიეთ იმათი ხსოვნა, რომლებიც იმან მოსავონარი დღესასწაულის ღირსად ჩათვალა და რომელთაგანაც ასეთი ყვაილი წარმოიშვა, ჩვენი მხრითაც სრულად შევიხარებთ. საუცხოო საქმეთა მეგობრები დიდ სარგებლობას ნახავენ ამ საქმეთა ამბავის მოსმენით.

დიდი ბაკურიოსი, რომელიც იბერთა მეფეებიდან პირველი ქრისტიანი (მეფე) იყო, და მისი მეუღლე დუხტია ღვთისმოსიშობის

¹ მოხე ხორენელი (III, 60) ასახელებს იბერთა მეფეს „არჩილს“.

² Zuzo.

ისეთ სიმაღლეზე ავიდნენ, ისეთ სათნოებად და ისეთ ქცევამდე ქრისტეს მიერ უფლისა, რომ ისინი, თუმცა მეფური მოდგმისანი იყვნენ თავიანთი მეფობის განმავლობაში მონაზონის ასკეტურ ცხოვრებას მისდევდნენ და ისე ცხოვრობდნენ. რამეთუ თანახმად მშვენიერი შეთანხმებისა¹, რომელიც მათ ერთმანეთში დადევს, (17) მათ შორს უჭირათ თავი ხორციელი კავშირისაგან: მათ სავსარისად მიიჩნიეს ის ბავშვები (τελειοποιεία), რომელიც მათ მიიხილებული ჰყავდათ. თავისი მხრით მორწმუნე ბაკურიოსი, რომელიც მარტვას, ლოცვასა და მოწულებას გაკეთებს ზედნიწევნით მისდევდა, კვირაში სამჯერ საკუთარი ხელით გვიდა ქალაქის ეკლესიას. ეს არაჩვეულებრივი ჭარბი (υπερβαλλόν) სიფარულით იყო აღსავსე დარბაზადში და თავისი ღირსებია დამცირებად არ თვლიდა, თავის სასახლეში ნაირნაირი საჭმლები დაემზადებინა: შენდევს ეს საჭმლები კალათებით მიჰქონდა დამით: თვითონ მის მიერ აგებულ დარბაზთა თავმჯდომარეში; და ვახუცე იქ იყო მოთავსებული, მეფე მათ საკუთარი ხელით ატყუებდა. სიღლი ცხოვრებულმა ღუბუბამ, ისეთივე გამარჯვლებით დაჯილდოვებულმა ნისმა მეუღლემ, მესურის საშკაულეობი უფლებებლყო და ჩაიყვა ბაღის სამოსელი, მამა, გაჰყიდა თავისი ტახტრევიანი, რომელსაც ჰქვია ქაჯაქვიანი², აგრეთვე უოველგვარი .ოქროს ნივთები (γυαλάς) და ნარგალიტები და დარიბებს დაურთა იქიდან აღებული თანა. და როდესაც ნაბათობით ის დიდად მარხულობდა და ჰევრს ლოცულობდა, მწირად წიუღია ნას ისეთი წყალობა ჩვენი უფლისაგან, რომ სავსარისი იყო მხოლოდ თავისი ხელი დაელო, რომ გახეყონ (ვიხივე ავადყოფი).

მისი მეუღლის, დიდი ბაკურიოსის, შესაბამე უნდა ვახანოთ შემდეგი შემთხვევა. თავის დასარჩენ სათნოებათა გვერდით, აღსარებლობის გვირგვინი დაიწნა მან ერთხელ, ანუ უკეთ რომ ვთქვა, თავისი სურვილის ნიხლევით წამებულის გვირგვინიც. როდესაც ის ერთხელ სპარსთა მეფესთან ერთად საღამებროდ ვაეიდა, რაზდენადაც მან საზავო კავშირი ჰქონდა მასთან შეკრული და ერთი მისი სარდალთაგანიც იყო, და დაინახა, რომ, როგორც კი მზე ამოვიდა, თვით მეფეც და ვეველა მისი სარდალი, ნეთაურები, სატრაპები და წარჩინებულებიც (μυσηαρχες) ერთბაშად ჩამოსტნენ ცხენიდან და მზეს მიმართეს ლოცვით, ის (ბაკურიოსი) თავის ცხენზე მჯდომარედ დარჩა. და როდესაც სხვა სატრაპებმა ეს მიუღეს მოახსენეს, და თვით ბაკურიოსიც წარსდგა მის

¹ 1 კორ. 7,5: «მუ განუშორებთ ერთმანეთს, გარნა თუ შევთქმით რაიმე».

² Vehiculum tectum et feminarum («ურეში გადაბრული და ქალებისათვის» — ლ. უ.).

წინაშე, შეეკითხა მას—მართალია თუ არა ის, რაც თქვესო. დანიე-ლის და მისი ჭაბუკი მეგობრის ამ ჭეშმარიტმა მიმბაძველმა მთელი ჯა-რის წინაშე გულახდილად წამოიძახა: მე ვარ ქრისტიანი და (18) მე არ შემფერის უარფყო ის, რომელიც ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი და ყოვლის შემოქმედია, და ლოცვით მივმართო მის გაჩენილს, რომელიც იმისთვის არის შექმნილი, რომ მე და უფელა აღამიანს გუგმსახუროს და გვინათოს,—ასე რომ მეფე, თუმცა განცვიფრებული იყო და მისი გულახდილობით დარცხვენილი, მიუბრუნდა თავისიანებს და ჩუმად უთხრა: ეს არის ბაკურიოსი და ჩვენ ის გვჭირდება. რა უნდა ეუფოთ მას?

და ეს არის ბაკურიოსის ვაჭკაცობათა ერთი ნაწილი.

მისი ღვიძლი ძმა არსილიოსი (ე. ი. არჩილი ხ. უ.), რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ, რომ ის მოხუცებული იყო და უნახულებ-რივ მეუბლა იბერიაში ბოზმარიოთან ერთად, პეტრეს მამასთან, რომელსაც—პეტრეს—ნაბარხუგიოცი ერქვა, და როდესაც ამ ქვეუ-ხის წარჩინებულმა მუდართ სთხოვეს შვილების გაჩენსა და სამეფო გვარის განგრძობის გულანთვის ექორწინა და მას ამ მიზნით მოჰგვა-რეს ერთი ქალი სამეფო გვარისა,—მიუხედავად ამისა მაინც ქალწუ-ლებრივი დარჩა ამ ქალის მიმართ. მაგრამ როდესაც ნან შეიტყო, რომ მას (ამ ქალს) რაღაც სამარცხვინო ჩაეღიხა, ხოლო ის, მისგან რბილად გაეცხული, უარყოფდა (თავის დანაშაულს), მან მაინც უცბად წაასწრო იმ ბოროტმოქმედს და ასე უთხრა: „(უმაღლოდ) ყილოსო-ფიის უმანკობას და ღიღ სირბილს!—მიჩქებია შენი სიცოცხლე და შენი სისხლი. აჰა, სამზავრო ფულიც და საგზალიც; გამშორდი ახლავე და დასტოვე ეს ქვეყანა, რათა რაღაც უბედურება არ შეგემთხ-ვეოდეს და შენი სისხლი არ მოშეთვალს“.

და როდესაც მან ამნაირად გაუშვა იგი, შენდევ ნინართა თავის ცოლს: „ამ შენი საქციელის განო მე შენ არ გაგეუბრები, მაგრამ უფრო მეტად გავამასხარავებ შენს სამარცხვინო საქმეს. მე მივენდობი ღვთის-ძეს, რომლის კანონი შენ შეურაცხეყავ, და მისი შეოხებით შენი სასირცხო ასო ჭიანჭველების ბუდე გახდება (პრეს:ν), და ასე გაიბრწინება შენი სხეული“. და მაშინვე აღსრულდა იმ უმანკო კაცის წვევლა: რადგან ქალის ქვედა-სხეული ჭიანჭველების გამო დაღაა, მისი სიცო-ცხლეც და მისი სხეულიც ტყვილებისაგან მოსპობის გზას დაადგა. ისიც იმნაირად, რომ ის ცარიელ ძვლებად და ტყავად იქცა. მაგრამ იმ სამართლიანი (მსაჯულის) რუღუნებამ კვლავ განათავისუფლა (ის ქალი) წყევლისაგან: ღვთაებრივი მათრახით გაშოლტილმა, როგორც კი აღიარა (19) თავისი დანაშაულებრივი საქციელი, ნამღვილი სინანული

იგრძნო. ის მწარედ იბრავდა, და იმ ზომამდე მივიდა მისი სინანული და გულის აყრა, რომ იგი საჯაროდ დახარდა ეკლესიის კარიბჭესთან, ყველა გამვლელის წინაშე თავის ცოდვას აღიარებდა და ყველას ემუდარებოდა, ყუბებით გაეთელათ ის, და თავისთავს უწოდებდა ნამუსახდელ მებძავსა და შეშრუშეს, ღმერთის მტერს და აღამიანთა სირცხვილს. ამიტომაც იწვევდა ის ყველა აღამიანში პატეებს, ცრემლებსა და თანაგრძობობას. და რადგან მთელი ხალხი [კაძენ] საერთო მარხვას მისდევდა და ეკლესიისაგანაც უგულითადესი ვედრება იყო, რუღუნებით, ცრემლებით და ოხვრით ამ ქალის გულისთვის, ის განიკურნა წვადლებისაგან. და ამიტომ ის სათხოიანი გარდაქმნისა და ასკეტური ცხოვრების მემკვიდრით ისეთი წმინდა შეიქმნა, რომ ის ყოველი კაციათვის ვახლა ნიშნად და საბუთი მოწყალეობისა და სისიყვისა. იგივეთ არჩილმა ეს თავისი ფაქტური ქვეყის წყალობით იმზომამდე მოიბოგა წყალობა და საამო მანდობა ღეთისადნი, რომ ის თავის ლოცვათა გზით სასწაულებს ახდენდა (Zeichen verrichtete), როგორც ჩვენი ცხოვრებულნი მამა გვარწმუნებდა და ნუნცადარად ამტკიცებდა. ხოლო როდესაც ის იბერიაში ქატიონობდა და ცხონებული პეტრეს შესახებ შეიტყო, რომ მან ამ ქვეყანას პირი შეაბრუნა, წმინდა ქალაქში ცხოვრობს და იქ მონაზონის ასკეტურ ცხოვრებაში დახელოვნობს (ღეთის შემწეობით ასე გავარდნა ხმა¹ და ცნობას მოიტანს), გუგზავენა მას შემდეგი მიწერილობა: „ვითარცა წერილ არს? ნეტარ არს კაცი, რომელსაც თესლი სიონში აქვს და სახლის შეიღები იერუსალიმში—როგორც ჩვენ გვუყავხარ, ამიტომ ვითოვ, ჩემო შვილო, ილოცო ჩემთვის, რათა შენი ლოცვების წყალობით ვპოვო მოწყალეობა“. და რადგან ბევრ წარჩინებულს ამა ქვეყნისას, ამ უზრუნველებს და სიამოვნებათა მამებართ, ჩვეულებად ქტონდათ მიეწეით თავისთან მამრიბნი და ნუტრიბნი, ანა სოფლის ეს ნაძირალები (თუ არარაობანი—ხ. უ.), რათა ემღერათ სიამოვნების და წარმავალი განცხრომის მოსავერეღად, მან დაიჭირა, როგორც ეს ქმნა დაეთა მეთემ, წმინდა გალობათა მონღერაღნი, რომელნიც კურის ჭამის დროს და ყოველ დროს ღეთის წმინდა სიტყვებს გალობდნენ, ასე რომ მისი სასახლე არაფრით არ განსხვავდებოდა ეკლესიისაგან.

ხოლო ოს დუხტია, ცხოვრებული პეტრეს დიდება (20) მამის მხრით, იმზომამდე იყო წმინდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ, როდესაც

¹ შდრ. ევსევის „სიკვდილითი ისტორია“ VI, 19: *τῆς ἁγίας διακονίας.*

² არა ბიბლიაში.

კი რომელიმე ბურჯს (კოშკს) ააგებდნენ და მიწისძვრის გამო ყოველთვის ინგრეოდა, ნგრევა მაშინვე შეწყუდებოდა, როგორც კი მის გეგმს მიიტანდნენ და იქ დაკრძალავდნენ, როგორც ერთ-ერთ წმინდანისას.

ცხოვნებული ძუძო კი, რომელმაც ცხოვნებული (პეტრე) აღზარდა. ისეთი წმინდანი იყო, რომ, როდესაც პეტრეს ბავშვობისას მასთან ეძინა, ბევრჯერ ცრემლებით დაუსველებია ის: ღამით დგებოდა ხოლმე და ქართულად (in iberischer Sprache) შემდეგს ამბობდა: „უფალო იესო, ჩემო ღმერთო და ჩემის სიცოცხლის შემქმნელო, შემობრალე მე!“ და როდესაც ერთხელ მიწა იძვრა და ყველაფერი დაიმსხვრა, ცხოვნებული (ძუძო) თავის სახლის გარშემო დარბოდა, რომელსაც ათი კონქი ჰქონდა. ხელი ნობეია თითოეულ სვეტს და გაბედულად შესძახა: „უფალო, შეხედე, როგორ გემსახურე შეხ, და დამზოვე მეც და ჩემი შვილებიც!“ და მისმა თხოვნამ იმდენი ქმნა, რომ მის სახლს არავითარი ზიანი არ განუცდია, თუმცა ამ მიწისძვრამ ბევრი სახლი დაამხო. მაგრამ იმ ქალაქში იყო ერთი კაცი, წარჩინებულთაგან, ხარბი; მან ბევრის წინააღმდეგ ჩაიღინა უსამართლობა. და თუმცა (ძუძოს) იგი ბევრჯერ გაუციცხავს, მაგრამ მამც თავის სიხარბეს არ სტოვებდა. მაგრამ ძუძოს ლოცვით უცბად ზეციდან ცეცხლი დაეცა და მოსპო მთელი მისი უანები, სადაც უკვე ასალები იყო ჭირნახული.

ხოლო მისმა ქალიშვილმა, სახელად ოტამ, რომელიც აგრეთვე ცხოვნებული (პეტრეს) დედობილი იყო, მთელი თავისი დღეები გაატარა წმინდანობაში, მარხულობაში და ლოცვაში.

ხოლო ჩვენი წმინდა მამის დედა ბაკურ დუხტია ქვრივად დარჩა თავისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ და მისდევდა განუწყვეტლივ მარხვასა და ლოცვას; არასგზით არ ისურვა მეორე ქმარს გაჰყოლოდა. მაგრამ რადგან მას ვერ აეტანა ქალაქში ცხოვრება. არამედ ამჯობინებდა თავის სოფლებში ასკეტურ ცხოვრებას შესდგომოდა, მან ყოველ გზაჯვარედინზე უცბოთა თავშესაფარი (Ξενοδοχείον) და საავადმყოფო ააშენა. როდესაც ცხოვნებულმა (პეტრემ) შეიტყო მისგან, რომ მასთან მისვლასა და მონახულობას აპირებდა, ის გაიქცა კვიპროსზე, რომ მას არ შეხვედროდა პირდაპირ. და ისიც, თავისი მხრით, აღარ მივიდა, ეს რომ შეიტყო. (21) მას აქეთ რაც მან მონაზონის კაბა ჩაიცვა, სრულიად აღარ სურდა ოდესმე რომელიმე თავისიანისთვის წერილი მიეწერა ან მათგან მიეღო. ეს მას თვითონ რამდენჯერმე უთქვამს ჩვენთვის.

რადგან ასეთი წმინდა ფესვიდან და ასეთი წმინდა მშობლებიდან აღმოცენდა, როგორც ვარდი, ცხოვნებული წმინდა პეტრე, ის მართებულადაც გახდა, შესაბამისად მისი წარმომშობლებისა და მისი

აღმზრდელებისა—თანხმად საღმრთო წერილისა¹, რჩეული იარაღი, რომელიც პატრესაცემი და გაწმინდანებული იყო, თავისი პატრონისთვისაც საჭირო და უოველგვარი კარგი საქმისათვის განზადებული, რათა ეტარებინა ქრისტეს სახელი და ედიდებინა და ექადაგა აღამიანთა წინაშე, სიკაბუჯიდან დაწყებული ვიდრე სულის უკანასკნელ ამოსვლამდე, მართლმადიდებელი სარწმუნოება; ამავე დროს დარჩენილიყო მოციქულთა მოწაფედ და ჰუმბაროტ მიმბაძველად, მუდამყამ ყოფილიყო ქრისტეს ჯვრის მტვირთველი და აღსავსე სულიწმიდით. თავისი ძალის მეოხებით მან ბევრი შესძინა ქრისტეს და სახარების მორჩილებას; იგი თვითონ იყო ნიმუში ყოველი კეთილისა და ვაჟაკური ცხოვრებისა, თანხმად მოციქულის მოწოდებისა²: სიტყვით, ქცევით, სიყვარულით, რწმენით, უმანკობით, და იყო როგორც მართალი რწმენის შუქურა სვეტი. და თავისი წმინდა ლოცვების შემწეობით ის შეიქმნა მთელი დედამიწისათვის კვლად, როგორც ერთხელ ხოე, როდესაც კიდობახი უკანასკნელი დამსჯელი წარღვნის დროს აქეთ-იქით ტრიალებდა.

ხოლო ჩვენი სუსტი და ღარიბი სიტყვებით შეუძლებელია შევხედოთ და დანწერილებით აღვწეროთ მისი შრავალმზრთი და ღვთაებადამყუნებული სათნოებანი და სახარებული ჩვევანი, რომელნიც მისი ასაკის ყოველ საფეხურზე ბრწყინვალედ იყენებ განოვლენილნი და ღვთის წყალობით კიდევ უფრო იზრდებოდნენ, მისი (ასაკის) ზრდასთან ერთად,—ასეთი წამოწეების შესრულება (ჩემ ძალდონეს აღემატება). რამეთუ მე მეშინია, რომ თუ შევცურე მის სრულყოფათა უსასრულო და მიუღწეველ სიღრმეში (ჭაბაძე), რადგან გავარჯობებული არა ვარ და არც, საერთოდ, ცურვა ვიცი, მის თანდაყოლილ სიკეთეთა ტალღების მორევი გადაწყლამავს და დავიხრჩობი, და ჩემი კნინობის და სისუსტის გამო ჩინებული საემე დაზიანდება. შემდგომში მე არაფერს ვიტყვი თითოეულ მის ჩვევაზე და ნიჭზე, (22) რომლებიც ღვთის შეწევნით გამოჩნდნენ სხვადასხვა დროს, სხვადასხვანაირად და სხვადასხვა საქმეში: ასკეტობასა და ნაზარეველობაში (Nazirertum) და—მოციქულის მსგავსად რომ ვთქვათ³—წვალებასა და ვაჭირებაში, შევიწროებასა და დევნულებაში, დაეიდარაბაში, მარხულობასა და დამისთევაში, ბრძოლებსა და გვემულებებში, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე გაბრძოლებაში არა მხოლოდ ცოდვასთან, არა მარტო ხორ-

¹ სავსე მოც. 9,18; 2. ტიმოთე 2,21.

² 1. ტიმოთე 4,12.

³ 2 კორ. 8,4—10, ეფეს. 8,12; რომ. 15,19.

ცისა და სისხლის (დუღილის) წინააღმდეგ, არამედ ძალმომრეობათა (*ἀρχαί*) და მტარვალობათა (*ἐξουσίαι*) წინააღმდეგ, ამა ბნელეთის თვითმპყრობელთა (*αἰμακαρχύματα*) წინააღმდეგ, ბოროტ სულთა წინააღმდეგ, მრავალნაირ მოსალოდნელ შემთხვევაში (ან: მრავალნაირ გამოვლინებაში)¹; სასწაულთა, საკვირველებათა და განკურნებათა ძალაში, წმინდა სულის ძალოვნებაში, სამართლიანობის იარაღის საშუალებით მარჯვნივ და მარცხნივ, პატივსა და სირცხვილში, მამრალეზობასა და ქება-დიდებაში—ის ხომ იყო როგორც უცნობი და იყო ცნობილი, ის მხოლოდ თავისი ღმერთისათვის იყო ცნობილი, როცა საჭირო იყო, რომ ის შეცნობილი ყოფილიყო; ის მკვდარი იყო ხორციელად, მაგრამ უოველ დროისათვის ცხოველი იყო და ცეცხლებრი იყო სულით; ის აყო ღარიბი, მაგრამ ბევრს მდიდრად ხდიდა, რანდენადაც სულებასა და სხეულებასაც კვებავდა უველას თავისი შესაფერი საკვებით; ის იყო ის, რომელსაც არაფერი აქვს, და მიუხედავად ამისა, ყველაფერი ჰქონდა, არა მხოლოდ ის ჰქონდა, რაც მიწაზეა, არამედ ის განმეულობაც ჰქონდა, რაც ზეცაშია; რამეთუ ის ფლობდა ვანძებს, რომლებიც იქ მოიპოვება, სადაც უოველი დროისათვის იყო მისი გული, აზრი და ქცევა—ეს და უველაფერი ის, რაც ამასთან კავშირშია, რაც შეწყვებითა ქრისტესითა, რომელიც მასში ბინადრობდა, მრავალ აღამიანთა წასაქეზებლად და სახსნელად იყო მის მიერ გაკეთებული უხეშთაესი სახით, უველაფერი ეს გამოვტოვე, რადგან მე არ ძალმიძს ზედმიწევნით და ჰეშმარიტების შესაფერისად გაამბოთ და თხრობის წესით ავიწეროთ, და, ვისაც სურს უველაფერი ეს იცოდეს, ვურჩევ შეიტყოს უველა იმათი ნათქვამი, რომელნიც იმთავითვე წმინდანნი იყვნენ, რაც მათ ბევრჯერ თვითონ გაუკონიათ, ამათ, რაც წმინდა წიგნებშია ჩაწერილი, ვურჩევ ჩვენ მიგვსდიონ და იქიდან მოპოვებული ცოდნით და გამოცდილებით აგვაგონონ. ხომ უველგან არის ეს ცნობილი, და ამის შესახებ ხომ არავინ კითხულობს, ის ღვთის შემწეობით იქადაგება. და ვერავინ ვერ შესძლებდა მოთხრობილის მიმართ ურწმუნო ყოფილიყო, არამედ (23) მსმენელმა უნდა უფრო მეტად ირწმუნოს, რომ ეს (ე. ი. მოთხრობილი) სინამდვილეს ჩამორჩება. რამეთუ რამდენი დრო და რამდენი ლაპარაკი იქნებოდა საკმარისი, დაწერილებით გვეამბა ის, რაც მის საშუალებით და მასთან ერთად გააკეთა ქრისტეს წყალობამ ხსნისათვის, როგორც მე უკვე ვთქვი (შესავალში), და მიბამვისათვის გააკეთა იმათთვის, რომელთაც სურთ სიკეთეში შეჯიბრება; მეორე მხრით, მრავ-

¹ 2. კორ, 8,4: *ἐν ἁπομοίῃ πικλῆ* (ამოთმინებითა მრავლითა).

ვალი ღვაწლი დასლო აღსამართავად, ასაგებად და განსამტკიცებლად მართლმადიდებელი რწმენისა და კათოლიკე ეკლესიისა, რომლის არტიკულად [ეპისკოპოზად] და მწუქმსად მან იგი დააყენა!

მაშასადამე, ნუთუ არაფერ არ უნდა თქვას, როგორც ამას შერეობან ბრალისდადების მოსურნენი (ჟანკარაჟი); თავისთავად მიიღო მან ასეთი პატივი და იგი მოიტაცა! არაფერთარ შემთხვევაში, არამედ მან მიიღო ის, რადგან მას მოუწოდა იმ სლოგანზე, რომელიც ზემოთ არის, ღვთაებრივი და საოცრების-ბაღალი მოწოდებით, რასაც მე ვერ გამოვტოვებ, მიუხედავად იმისა რომ ვმზარობ, არამედ, რამდენდაც შეიძლება მოკლედ წოვითხრობთ: მართალია, ამით მე ცოტა უკან ვიხვე და თხრობის დასაწყისს ვუბრუნდები. როგორც მანამთავარი ისააკი, ისიც დაპირებისამებრ ჩაისახა და დაიბადა. სოლო თუ როგორ და რანაირად, ეს გვინდა მოკლედ ვიამბოთ, რადგან კარგი შემთხვევა მეძლევა ანიმათისა (მე ანაჟი).

როდესაც მისი მამა ბოზმარიოსი აგარაკიდან (პარაჯა:თ) ბრუნდებოდა, რომ ქალაქში მოსულიყო, ნიაღვა ერთ მღინარეს, გზაზე რომ ჩამოლიოდა; იგი ამ ღროს ძლიერი ნაკადით მოვლინებოდა და გადასულას (მე:მე) აბრკოლებდა. და როდესაც ის იძულებული იყო თავის ნაპირზე დაყოვნებულიყო და ღელავდა, დაიხახა მან ერთი კაცი, რომელმაც მას ასეთი სიტყვებით მიმართა: „ბოზმარიოსო, აჰა, ამ მღინარეზე შენ გადახვალ. მაშ, ადევ და გადადი; შინ წადი და შეეყავ შენ ცოლსა; ის დაორსულდება და ვიშობს ძეს, რომელიც თავიანისცემული იქმება ღმერთის წინაშე და აღამიანთა წინაშე“.

მის შემდეგ რაც ის ასეთი ღვთაებრივი წყალობის შემწეობით ჩაისახა და დაიბადა, და აღიზარდა, იგი თორმეტი წლის ასაკში გაიზნა მძევლად ღვთისმოშიშ და ქრისტიან (24) თეოდოსი მცირესთან, რომელთა მეფესთან. ამან რამდენჯერმე გაგზავნა შიკრიკები (იბერიისი) და ბოზმარიოსმა, მისმა მამამ, იბერთა ქვეყნის მაშინდელმა მბრძანებელმა, გაგზავნა იგი, ვინაიდან ის ქრისტიანს რომელთა შეგობრობას უფრო მაღლა აფასებდა, ვიდრე უღვთო სპარსელების დახმარებას. იგი გაიზნა დიდის ზეიმით და დიდის პატივით. და როდესაც ის მოვიდა ცხოვრებულ თეოდოსისთან, მან იგი სიყვარულით მიიღო და აღზარდა და შეიყვარა, როგორც საკუთარი შვილი; (მე:შემა) სრული ღვთისმოშიშობა და ქრისტიანადმი სიყვარული დაიხახა მეფეში და დედოფალ ედოქსიაში, მის მეუღლეში, რომელიც იმნაირივე რწმენით სულდგულობდა, და უველა კაცებსა და ქალებში, რომელნიც მათ ემსახურებოდნენ, განსაკუთრებით კი იმ საჭურისებში, რომელთაც კუბიკულარიები ეწოდებათ: რამეთუ სასახლეში მთელი

ჯალაბობა ცხოვრობდა როგორც მონასტერში¹, დროს ატარებდა ლოცვასა და მარხულობაში, ღამით და ღღისით მღვდელმსახურებაში და სხვა მოღვაწეობაში, რაც კი ღმერთს ესიამოვნება. (ყველაფერ ამის შემხედვარე ყმაწვილი) აინთო ვნებით (ე. ი. რწმენით). მას სახლიდანვე ჰქონდა მოტანილი, თავისი შშობლებიდან, სიყვარული ღმერთისადმი, როგორც ცეცხლის ნაპერწკალი, და ამას ის კიდევ უფრო ზრდიდა დადის მზრუნველობით დღითი-ღღე, აღფრთოვანებით და ასკეტობით, მანამღე, სანამ მან აქცია თავისი ზეციური სიყვითის დიდ აღად და სრულყოფილ სახმრად: შიგნით თავის სსეულზე ის ატარებდა ბაღისის სანოსელს (ე. ი. ძაძას), ხოლო გარეგნულად, რათა დაემალა თავისი სათნოება, იცემალა ბრწყინვალე და ბრჭუვალა ტანისამოსს. მისი საჭმელი იყო ის, რომელიც ჰქონდა დანიელსა და მის მეგობრებს², და ამასაც ცოტას სჭანდა, ისიც მხოლოდ სამ ან ოთხ ღღეში ერთხელ, ხახდახან მხოლოდ ერთხელ მთელი კვირის განმავლობაში. სხეულის დასათრგუნავად და თავის უწესრიგო სიამოვნებათა დასაძლევად მას უყვარდა გვემულება. საწოლ აღგილად ახალგაზრდა და ჩვილ მეფეს ჰქონდა მიწა [იატაქი]. და როდესაც ასე იქცეოდა და სუფთად იცავდა ხორცსაც და სულსაც დალაქაეებისაგან და ასაკშიც უკვე იმატა, იგი გახდა (25) ტაძარი ღღეთისა³ და აღსაესე სულიწმინდითა. და ეს ყველაფერი იმზომამღე, რომ, ღღეთებრივი წყალობის შემწეობით, ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო, რომ ბეერი სასწაული, განკურნება და მძლეობა მოახდინა თვით სასახლეში. და მსმენელებში რომ სრულიად არ გამოვიწვიო უკმაყოფილება, მიხდა ყველაფერ სხვას თავი გავანებო და ერთი რამ გიამბოთ, რაც სრულიად საკმარისია, რომ ყველაფერი ხათელი გახდეს. სასეღღობრ, მას ჰქონდა ნეშტი წმინდა მოწამეთა, რომეღღნიც თავიანთი ეროვნებით სპარსელები იყვნენ და სინამღღელიღღეში ამ ხანებში მოწამებრივი სიკვდილით მოკვდნენ; მათ სახელებს ჯერ კიდევ ცბონებულის გაღმოცენით და მასთან კავშირით ვასახელებთ; მათი მოსაგონარი წირვა ჩვენ დავაწესეთ და მათ წამებათა წიგნებს ვკითხულობთ. ეს ნეშტი მას დიდი მოწინებით იმ ოთასში (αἰωνῶν, cubiculum) ჰქონდა, სადაც ის თავის სათხო ღვაწლს

¹ სოკრატეს „სხეულისთ ისტორია“ VII, 22: οὐκ ἀλλοτρίως δὲ ἀσκη-
τηρῶν κατέσκηπε τὸν βασιλεῖα (სასახლე გადააქცია მან სხვა არაფრად თუ
არა მონასტრად). სიტყვას ἀσκητηρεῖν-ს „მონასტრის“ მნიშვნელობით
იღნობს ძველი ქართული მწერლობაც: *კატან ობ ტრმის ოსკეთერეთ...* მასვე
მონასტერსა შინა ქალწულთასა (დალაქტიონ და ეპისტ. თავი 13). — ხ. უ.

² ღან. 1, 12.

³ *λεριμῶν (ლერიონ თინ მინ)* — ხ. უ.

ეწეოდა, ერთ ყუთში. და მას იქ ეძინა, მათ წინ, მიწაზე და ასრულებდა ღეთის-მსახურებას სანთლებით და საკმეველებით, ჰიმნებითა და ლოცვებით. და როდესაც ის მათ ყოველგვარ პატივსა და სიამაფეს ანიჭებდა, ბევრჯერ დაუნახავს აშკარად, როგორ მასთან ერთად გალობდნენ, ათევდნენ და ლოცულობდნენ (ეს ნეშტები). აი, ერთხელ, როდესაც მოახლოვდა სულიწმინდის მოფენის დღესასწაული, როდესაც, თანახმად წესისა, სენატორებს მოეთხოვებათ, ინახულონ ვეფე და ერთმანეთსაც ეწეონ, იგი ჩაიკეტა მოწამეთა ოთახში და საკუთარი ხელებით იმ საშლოცველოს მორთვას შეუდგა: კედლები და ჭერი გაწმინდა, იატაკი გამოგავა და მორეცხა. ამასთან დაკავშირებით მან ყველა ჭრაქი (candela = lucerna olearia)¹ გარეცხა, გაამშრალა კარგად და ისე ჩამოჰკიდა. თავის მზარეულს (χαλκῆρις) შეუთვალა ჭრაქებისათვის ზეთი მომიტანეო. მაგრამ რადგან ის უკმაყოფილოა იმის გამო, რომ (ქეტრე) საერთო საქმეში სიამოვნებას არ ხედავდა, და მას სურდა, რომ იგი ისეთივე ყოფილიყო როგორც დასარჩენი დიდებულები, მაგრამ უფრო მეტად იმიტომ, რომ ის თვით ეშმაკისაგან იყო წაქეზებული, გაჯავრებული მიუბრუნდა და უთხრა: „ოჰ, ძლიერო იმედებო, რომელთაც მასზე ამყარებენ მისი ქვეყანა და ჩვენიც ის რომაელებთან იქმნა გამოგზავნილი მათ (ე. ი. ქართველების) მიერ პატივისა და მეფური ბრწყინვალეობისათვის, მას კი სურს მონაზონი გახდეს და ჩვენ ყველანი, რომელნიც მასთან ვართ დაკავშირებული, (26) უნდა უბედურები გავცხადოს!“ და მან უარი შეუთვალა, ზეთი არ გაუგზავნა. მაგრამ როდესაც წმინდა ბიჭმა და ფილოსოფოსმა მოისმინა ბოროტი მტრის ქმედობის შესახებ, მან გამოამქლავნა სახარებისეპური უეჭველობა, სიმშვიდე და მომთმენობა უკვე ასეთ (ქატრა) ასაკში და თავისი უკმაყოფილება ლოცვით შეცვალა. იგი იწეოდა რწმენისა და სულიერი ცეცხლისაგან და ამ წმინდანებისადმი ლოცვით პიმართვის შემდეგ, როდესაც ღამისთვის საღამო დადგა, ყველა ჭრაქი, ნაცვლად ზეთისა, წყლით ააუსო და ისე მოუკიდა და გამოდგა. და ეს ჭრაქები მთელი დღესასწაულის განმავლობაში, შვიდი დღის პანძილზე, ერთო განუწყვეტლივ, ღამით და დღისით².

ეს რომ მეფემ და ყველა მისიანებმა და სენატმა გაიკეს, ყველაში კანცვიფრება გამოიწვია, ისე რომ ბევრს მოთხოვნილება დაებადა პიებაძათ მისი ქცევისათვის და მისი ასუეტური ცხოვრებისათვის. და

¹ Du Cange.

² შტრ. ევსევი, საეკლ. ისტ. VI, 9: აქ მოთხრობილია, რომ წყალი ვადავია ზეთის თვისებაში (εις ἁλίου ποσότητος).

მასთან შეგროვდა აუარებელი რაოდენობა ისეთებისა, რომელნიც მას ეღარებოდნენ ასკეტობაში და აღზნებაში. და, აი, ღრთხელ, როდესაც ის მათ შორის იდგა და მათ ესაუბრებოდა ისეთ რამეებზე, რაც მათ ხსნას ემსახურებოდა, უცხად დაინახა მათ შორის ჩვენი უფალი ნაზარეველის [მონაზონის] სამოსელი. და ის დაეარდა, ეთაფანა და მის თეხებს ხელები ნოხვია: იგი არავის დაუნახავს, როდესაც მან ტირილით და ცრემლებით წამოიძახა: „ჩემო უფალო და ჩემო ღმერთო!“ ხოლო მას ეგონა, რომ სხვებიც ხელაფლენ მას. ესენი კი ვერ ჰხელაფლენ მას, არამედ მარტო ის ხელაფლა, ასე რომ ყველანი, ვინც იქ იყვნენ, დიდს განცვიფრებაში, შიშსა და კანკალში იყვნენ, მის შემდეგ რაც იმათ იცნეს ის ღვთაებრივი სახე, რომელიც მან დაინახა, და კიდევ უფრო გაამრავლეს თავიანთი ღვთაებრივი აღზნება და თავიანთი სიყვარული. ამიტომ ბევრმა მათგანმა უარყო ეს ქვეყანა და ჩაიკვა მონაზონის სამოსელი, როდესაც იგი ბერად აღიკვეცა, და მან გვითხრა მათე სახელები: მათ შორის იყვნენ ღვთის-მოსავი მონაზონი თეოდოტე და მისი ძმები, პროკლე და სოფრონიოსი, თვალსაჩინო თანამდებობის პირები, ხურონი და სამეფო ქონების მმართველები. ეს მცირეოდენი ცხოვებულის ნიჭთა სიმრავლიდან, მისი ბავშვობის დროინდელი და იმდროინდელი, როდესაც ის სასახლეში ცხოვრობდა, გაიშვით მე გაკვირით.

(27) ხოლო როდესაც ის ასაკში შევიდა და სულიერ ტრფობას უმატა, მუდამ და ყოველდღიურად ზრდიდა ღვთაებრივი ცეცხლის ძალას და განიზრახა¹ [იერუსალიმისაკენ] წასვლა, სიტყვისამებრ დავითისა, წმინდა გალობათა მომღერალისა, ერთი სინათლე გასცვალა მეორეზე, რომელიც იყო უფრო უზეშთაესი და უნათლესი; დაბეჯითებით უნდოდა გამღვარყო სოფლისაგან და მისი არარაობისაგან და დაეჩქარებინა იმ უპირველეს სათნობამდე, მეუღობნობამდე მისვლა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მან ბევრჯერ სკადა გაქცევა, ვერ შესძლო ამის მოუყანა სისრულეში, რადგან მიუხეზდნენ ეშმაკი და დემონები (მოროტი სულეზი). და მისი სახლეულნი—მე ვგულისხმობ მის მონებს, ის მეშუბეები (მეფაფრეი), რომლებიც მას გარს ეხვივნენ, სიძულვილისათვის ისეთ განრისხებამდე მივიდნენ მის წინააღმდეგ, რომ რამდენჯერმე საიდუმლოდ სცადეს მისი მოკვლა. და რომ უფლის ცვა-ფარვას—მხოლოდ და მხოლოდ—არ დაებრკოლებინა ისინი, უპყველად სისრულეში მოიყვანდნენ თავიანთ თავხედურ განზრახვას.

¹ მს. 83 (84): *ἀναβῆναι ἐν τῇ ἁγδίᾳ αὐτοῦ ἐκπέσει*—აღსვლა უკლსა თუსსა დაიდვა.

მაგრამ მართო ეს არ იყო, რომ მას გზაში ეღვა (დაბრკოლებად); თვით ღვთისმოსაში მუფე თეოდოსი იმის ზრუნვაში იყო, რომ ის შეენახა როგორც მძევალი, და თუ ვინიცობაა ის ხალხი მას უკან მოსთხოვდა და ის მას ვერ დაუბრუნებდა (იხევე საღს) როგორც ჩაიბარა, ამას შეეძლო ისინი მტრებად და მოწინააღმდეგეებად ექცია, ნაცვლად მეგობრებისა და დამხმარეებისა; ამიტომ მან უხმო მას, დატუქსა და ძლიერი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა, რათა საიდუმლოდ არ გაპარულიყო.

მაგრამ არაფერია იმაზე უფრო ძლიერი, ვიდრე ქრისტეს ძალა, და არაფერია იმაზე უფრო მხურვალე, ვიდრე იმათი სიყვარული, რომელთაც ის გულწრფელად უყვართ. იმან, ვისაც იგი ბეშვობიდანვე როგორც სამუელი უყვარდა და ვინც მწეწსაღდა როგორც ისრაელი და იოსები, მიჰყავდა და იცავდა მას, როგორც ცხოფარს, რადგან ის (მც) ¹ თავის სატებარ მოწოდებას შესახებ მონაზონის სამოსელისა ახორციელებდა ძლიერი ხელის და აღმართული მკლავის შემწობით ², სასწაულებისა და საკვირველებათა მეოხებით — როგორც მან ერთხელ ისრაელი გამოსტაცა ეგვიპტელთა ტირანისა და შეიფანა აღთქმულ ქვეყანაში, სადაც რძე და თაული ჩამოდიოდა: დამხმარეებად, მძლოლებად, მცველებად და თანამგზავრებად მან მას გააყოლა წმინდა მოწამენი, რომლებმაც ისინი ძალიან გაასარეს. ყოველთვის, როდესაც (28) ამა სოფლიდან გაქცევის სურვილს: აღინთებოდა, აბრკოლებდნენ მან ღემონები და აღამიანები, იმათი დამაშვები, რომლებიც ფხიზლად და უურადლებით უთვალთვალდებდნენ ყოველგვარ მას ნაბიჯს, მის გაღაწყვეტილებებს და აზრებს. ხოლო როდესაც მან ჰპოვა იგი, რომელიც მას ღმერთმა ნიაცა, ნეტარი იოანე საბურისი ³, რომელიც მისი აზრების და მისი მისწრაფებების მოზიარე იყო და რომელიც მის სწრაფვას საუკუნო ცხოვრებისაკენ იზიარებდა და ამისევე მიმავალ გზაზე მისი დამხმარე იყო, წარმოშობით ღაზიკის ქვეყნიდან, შემკული ღვთისმოსაობით და მორჩილობით, ზნეობით, რწმენით და თავმდაბლობით, — წაიფანა ის თან, მას შეუერთდა სიყვარულის კაცშირით, როგორც პავლე და ბარნაბა (შეერთდნენ), და ჰყავდა მრჩეველად და თანამგზავრად ცხოვრების სარბიელზე. და რადგან მან იცოდა, რომ ღემონების (მოროტი სულემის) მოქმედების წყალობით იყო,

¹ საუურადლება, რომ მც ნახმარია ჩვენებით ნაცვალახელად — ს. ვ.

² შღრ. მეორესჯულ. 11, 2.

³ შენიშვნა არშიაზე: ამ იოანემ ცხოვრებულ პეტრე ნათლობის (ქურჭლიდან) ამოიფანა, ვ. ი. იოანე იყო პეტრეს ნათლია.

რომ მათი აზრები დაფარული არ რჩებოდა, არამედ ისინი ტუობი-ლობდნენ (ამ აზრებს) და ამხელდნენ, მიიყვანა მან იოანე იმ ლუსკუ-მასთან, რომელშიც წმინდა მოწამეთა ნეშტები იყო შენახული. და როდესაც ისინი ორივენი ამ ნეშტზე თავდამხობილი იყვნენ, ერთმანეთს შეუთანხმდნენ, თუ როდის და როგორ გატყუალოყენენ. და, მაშ, არავინ იცოდა და არც არავის შეეძლო შეეტყო, არც დემონებს და არც ადამიანებს, სანამ მათ თავიანთი განზრახვა სისრულეში არ მოიყვანეს. თვით წმინდა მოწამეებმაც კი, შუა ღამეში (νύξ θαλασπία), ისეთ სადარაჯო ადგილებზე გაიყვანეს ისინი, იმხელა და იმნაირ (τοιαύτη αχ: τοιαύτη) მეფურ ქალაქში, რომ მათი გული დიდი სიმხნითა და ძალით აივსო. რამეთუ მათ იხილეს ისინი, როგორც მე არაერთხელ მსმენია, ვინაიდან ცხონებულს უაზნია თავისი მეგობრებისთვის, რომელთაც ჭედნიერება ხვდათ აგრეთვე ასეთი ამბებიც სკოდნოდათ (ჰოი საკვირველებავ!)—თუ როგორ უძლოდნენ მათ წინ ღრუბელი ან ცეცხლოვანი (29) სვეტი სიბნელეში. ისინი ხოტბას ასხამდნენ და გალობდნენ ერთგვარი კეთილმოყვებით (ἐν ἁγαπῆνι τῶν) შესაფერისი და ტკბილი მელოდიით შეთხზულ ღვთაებრივ ჰიმნს, რომლის სიტყვებსაც მე გადმოგცემთ. ეს სიტყვები შემდეგია:

„ეძიე ჭრისტე და იხილე შუქი შუქისაგან, და მიუღწეველი დიდებულება. და მათ, რომელნიც მას ეძიებენ, ის დააჯილდოვებს“.

ცხონებული მოიგონებდა ხოლმე თვით ჰიმნის მელოდიასაც. და წმინდა მოწამეებსაც ესმოდათ, მათ წინ რომ მიდიოდნენ და მათ რომ წინ უძლოდნენ, როგორ გალობდნენ არა საჯაროდ (ე. ი. არა ხმა-შაღლა), სანამ ისინი ნაფსადგურს მიაღწევდნენ. და როდესაც მიხვდნენ, რომ აღარაფერი იყო მათთვის საშიში, მოძებნეს სანდო გზით (vertreuousvoll) ხომალდი და, როდესაც მათ მოწამეთა დახმარებით და შემწეობით ეს იპოვეს, მაშინვე ჩასხდნენ. ხოლო რადგან მათ ეშინოდათ, ვაი თუ დაგვიჭირონ, თუ დაგვედევნებინონ, ან თუ ამ ადგილას, რომელსაც „ვიწრობა“ (Στενή) ჰქვია, გვიცნობონ (მართლაც, ქალაქის კარიბჭეს და ნავთსადგურებს სამი დღის განმავლობაში, მათი წასვლის შემდეგ, სდარაჯობდნენ და მათ დაეძებდნენ), მათ ჩაიცვეს სხვა, მათხოვრისა და მონების შესაფერისი ტანისამოსი. და შეწყენითა ღვთისათა, რომელიც მათთან ერთად ვიდოდა და იმათ მიუძლოდა, მათთვის შესაძლებელი გახდა გამოსხლტომოდნენ იმათ მიერ გამოცნობას, რომელნიც ვიწრობაში (Στενή) ჩამსხდარიყვნენ და მათ დაეძებდნენ. და, აი, მათ დასტოვეს იქ ნავი და ფენით წავიდნენ. (აზიის) ხმელეთით (γῆ ἡρακλῆα) ორივემ თავიანთი მგზავრობა მოაწყვეს წმინდა მოწამეებთან ერთად, რომელნიც მათი მცველები და

მძლოლები იყვნენ: როგორც დიდი მოსე¹, ღვთის უფოს ქერუბიმებით, ისინიც ოქროს უფით ატარებდნენ მათ სათაყვანო ნეშტებს. ნაკრამ გარდა ამისა მათ თან ჰქონდათ მხოლოდ კიდევ იოანეს სახარების პატარა წიგნი, რომელშიაც ჩატანებული იყო წმინდა (30) და სათაყვანებელი განმკურნებელი ჯვარის ხის-ტარის ერთი ნაწილი, რომლის შეწეწობით ისინი დაკული იყვნენ და რომლის მეშვეობითაც ჩვენსა უფალმა მრავალი სასწაული და არა ნაკლები ძლეულებანი აჩვენა: მათი გამხნეებისა და ნუგეშისცემისათვის მან ჩაუდგა ნაზი ძალა.

ჯვარის იმ ნაწილს მგზავრობას ღროს განუწუვიტლივ მთელი კვირის განმავლობაში ზეთი სდოდა, ისიც იმდენი, რომ ისინი თავიანთი ხელებით იღებდნენ ამ ზეთს და იცხებდნენ სახესა და სხეულზე, და მაინც კიდევ ზეთი ბლომად იღვრებოდა. და ეს, მაშასადამე, არის ის სასიხარულო ზეთი, რომელზედაც წინასწარმეტყველი ამბობს², სულიწმინდის წვალობის შედეგი და მისი ძალის გამომვლავნება არისო, რომელიც (სულიწმინდა) ხარობს და ზეიმობს ჯვარის (მიმზიდველი) ხლის გამო: ის წმინდანები მოწოდებული იყვნენ ეს ჯვარი ეტვირთათ და ჯვარცმული ღმერთისათვის ენსაჰურათ სიხარულით; ეს კი მათ ახარულს კიდევ უფრო ზრდიდა ასეთ საკვირველებათა გზით³ და მას იცავდა (ე. ი. უნარბუნებდა ამ სიხარულს). სწორედ ანახ აღნიშნა პათი მოსვლა წმინდა მოწამეთა მეშვეობით. როდესაც ისინი გზად პილიოდნენ ყანებზე, ქალაქებზე ან სოფლებზე და ამ ადგილების მცხოვრებთათვის და იმათთვისაც, ვინც მათთან ერთად ხეტიალობდნენ, არულიად უცნობი იყვნენ, მათ ხედებოდათ კარიბჭისა და შესავალთა წინ მთელი გროვა ბავშვებისა, კაცებისა და ქალებისა რტოებითა და ხანთლებით, რამდენადაც ისინი მოწამეთა დასახვედრად გამოსულიყვნენ; ისინი კვლავს გარეთ ჩამსხდარიყვნენ და მოსულებს ეციხებოდნენ: „სად არიან ისინი და ვინ არიან ისინი, რომელთაც თან მოაქეთ წმინდა მოწამეთა ნეშტები? - ისინი სახელდობრ, უამბობდნენ, რომ გუშინდელ დღეს ხალხმა იმათზე ცნობა მოიტანა და მოითხოვესო: გაგვიშვით, შევხედეთ მათო! და, ამრიგად, ისინი მიდიოდნენ თუმც დიდად განცვიფრებულნი, რომ უფალი იმათზე ზრუნავდა, მაგრამ დიდი მზარდი სიხარულით და გულის სიმავრით, ადვილად და იოლად, მხნედ და სიხარულით, ვინაიდან მათ იცავდა ასეთი ხელი.

¹ ევხევს „საეკლ. ისტორია“ 1, 2: ὁ μέγας Μωσῆς.

² ესაია 61,3: ἄλειψα εὐφροσύνην (საცხებელი შუებისა).

³ როგორც მაგალითად, „ზეთის მდინარება“.

მაგრამ ერთი ნათვანი, რომელთაც *πρόξενος*¹ ეწოდებოდათ, კაცი დიდი თანამდებობისა, დაეწია მათ გზაზე და, რადგან გამოქცეულ მონებად მიიღო და იფიქრა ჩემ სანსახურში ნივლებ (31) და ქვეშევრდომებად გავიხდიო, უბრძანა მათ, გამოშვევითო: შიშითა და მუქარით ააღელვა ისინი. მაგრამ ისინი მიჰყუნენ მას კვალ-და-კვალ. სხვა რა უნდა ექნათ მათ, რომელნიც როგორც უცხო მონები და ტყვეები მიჰყავდათ. თავიანთი თვალები ალაპურეს უფლისავენ და თავიანთ გულში შესძახეს თავის ნიშნულელებს, წმინდა მოწამეებს! და ამით მიმართეს იმავე დამით დიდი საყვედურებათ იმ კაცს და სრულის დაღუპვით დაემუქრნენ მასაც და მთელ მის ოჯახს, თუ ის ყმაწვილებს შწვილობით არ გაუშვებდა, როგორც ღვთის კაცებს, რომელნიც მასთან (ე. ი. დებრთთან) მიიღებოდნენ და მისკენ ნიმიქართოდნენ. როდესაც იმათ დაითანხმეს ეს კაცი, პატივით განეთავისუფლებინა ისინი, ის მაწინვე დილითვე შავილა—ის შაშა და კანკალში იყო, — პირით დაემართა მათ წინაშე და ბოდიშს ისდიდა. და მათ დაბეჯითობით სთხოვდა, ჩემს ადგილებში დარჩითო: დაპირდა, რომ მათ მონასტერს აუშენებდა, მის შესანახავად საკმარის შემოსავალს დაუწესებდა და მათ უზრუნველყოფდა ყოველგვარი შეღავათებით. რამეთუ ეს იყო ან ადგილებში მდიდარი კაცი. მაგრამ რადგან ისინი მან ვერ დაიყოლია, გაისტუმრა ისინი მრავალი პატივითა და სამუქრებით, როგორც ბატონები და მეობნი; ეს ქნა იმან, ვინც ცოტა ხნის წინ აპირებდა მათი ბატონი გამსდარიყო.

როდესაც საკვირველება მოხდა და ისინი ასეთი პატივით იქნენ განთავისუფლებული, და კიდევ უფრო გაამრავლეს გულითადი სიყვარული ჩვენი უფლისადმი და მინდობა წმინდა მოწამეთადმი, და ყოველ გზასა და ადგილას ასეთ ზრუნვას, ასეთ მფარველობას და ასეთ ხელმძღვანელობას კბოულობდნენ, ისე რომ მათზე მართლდებოდა მოსეს სიტყვები²: როგორც არწივი, რომელიც იცავს თავის ბუდეს და

¹ *πρόξενος*: assessor, რომელიც გადასახადებს ანაწილებს ან ადებს.

² მთორე სჯულ. 82, 11. 12. 10^ა, 10^ბ, 13^ა. ქართულ ბიბლიაში ასე სწერია:

11. ფითარკა ორბმან რაჲ დაჟარნის ბუდენი თუნნი, და მართვეთა თუნთათუნ სურთა, განუენა ფრთენი თუნნი, და შეკრიბნა ივინი; და აღიხენა ივინი ბჭუთა ზელა თუნთა.

12. აუფალი მხოლოჲ უძლიდა მათ, და არავინ იყო მათდა სხუაჲ დმერთი.

10^ბ. აგარე მოადგა მათ, და განსწავლნა ივინი, და დაიკუნა ივინი ფითარკა ბჭუთა თუღისაჲ.

10^ა. უნაკულო უენა (= *αὐτοκτετον*) იგი უღაბნოხა მას ზელა.

13. ადმოიფიანნა ივინი ძალსა მას ზელა ქუეუანისასაჲ.

რომელსაც უუვარს თავისი ბარტყები, თავის ფრთებსა შლის, ფრთებ ქვეშ იფარავს მათ და თავისი ფრთების ძალით ატარებს მათ: უფალსაც მარტო მიჰყავდა ისინი, და არაფერ უცხო ღმერთი არ ყოფილა მათთან; ის შემოხვეოდა მათ, უვლიდა მათ, იცავდა მათ როგორც თავის თვალისჩინს, აქმაყოფილებდა (LXX: ἀνάρχησεν) გზაზე, აჰყავდა ზევით და ათავსებდა წმინდა ქვეყნის ძლიერებაში¹ — და ისინი სიხარულსა და ნეტარებაში, თითქოს მცირე გზა ყოფილიყო, მგზავრობდნენ ახალი რომიდან იერუსალიმამდე, (32) იმ დროს როდესაც უოველ საათში ერთ უცხოელს მეორეში რევდნენ და უცნობებს — უცნობებში, და ამას შერებოდნენ სიუვარულის შედეგად, რომელიც მათში ერთი და რომელიც უოველ საათში მათ, ხეტიალით დასუსტებულებს, იღუმალ ანუგეშებდა (Σχλῆψε παρὰμαθιῶν αὐτῶν).

ხოლო როდესაც ისინი წმინდა ქალაქის იერუსალიმის მახლობლად იყვნენ, რომელიც მათ უუვარდათ, და პირისპირ მდებარე, ხუთი სტადიონით დაშორებულ მაღლობიდან დაინახეს, როგორც მზის ამოსვლის ბრწყინვალეობა, მაღალი სახურავი წმინდა და სათაყვანებელი ეკლესიებისა, მაცხოვრებელი და სათაყვანებელი ჯვარის ეკლესიისა, წმინდა ალდგომის ეკლესიისა, შემდეგ აგრეთვე მის პირდაპირ მთაზე მდებარე სათაყვანებელი ამაღლების ეკლესიისა, ხმამაღლა შესძახეს, რითაც წინასწარმეტყველის იმ სიტყვას იმეორებდნენ: „აჰა, ესე არს სიონი, ქალაქი ჩვენი ხსნისა; შენი თვალები დაინახავენ იერუსალიმს“¹ — და თავიანთი ძალღონის კვალობაზე ქება და მაღლობა აღმართეს ქრისტესადმი, რომელიც მათ უუვარდათ და რომელმაც ისინი გომოარჩია და გამოიყვანა, რომელმაც მათ უწინამძღვრა და იხსნა; და მის შემდეგ რაც ისინი პირით დაემხვნენ, მათში ანთებული სიუვარულის სიჭარბის გამო არ შეწყვიტეს იმ მაღლობზე ლოცვა და მუხლიჩოქით ცოცვა, ხშირად ტუჩებითა და თვალებით იმ წმინდა ნიადაგის მთხვევა, სანამ წმინდა კედლების შიგნით არ აღმოჩნდნენ, და თვით სათაყვანებელი ჯვარის (მე ვგულისხმობ წმინდა გოლგოთას) და წმინდა ალდგომის ეკლესიის საფუძველს არ მოხვიეს ხელი: ისინი ერთსა და იმავე დროს ხარობდნენ და ტირილდნენ, აქებდნენ და აღილებდნენ და ზეიმობდნენ როგორც ადამიანები, რომელნიც უკვე შეხვდნენ იესოს, რომელიც მათ უუვარდათ და რომელთანაც ახლა ზეცაში ბინადრობენ. და მოკლედ რომ მოვჭრა სიტყვა, დანარჩენს უველაფერს გამოვტოვებ და კიდევ შემდეგს მოვიყვან:

¹ ესაია 33,20: ააჰა სიონი ქალაქი მაცხოვარებისა ჩვენისა; თუალთა შენთა იხილნენ იერუსალიმს.

ღმერთს რომელმაც იმათ უპატრონა და იხსნა, მოჰყავდა ისინი, რადგან ისინი უცხონი იყვნენ და ამ წმინდა ადგილებში გამოუცდელნი, კეთილ უცხო მასპინძლებთან, მასწავლებლებთან და მათი წმინდა მოწოდების ხელისშემწყობებთან, იმთავითვე გაუმზადა რა მათ კეთილმესტუმრე მეგობარი ქალი, მე ვგულისხმობ (33) ნეტარ გელანიას, იმ რომაელ ქალს, რომელიც თავის მეუღლესთან, პინიანუსთან, და თავის დედასთან, ალბინასთან ერთად [ცხოვრობდა იქ]¹; იმათ რომის სენატორებს შორის პირველი ადგილი ეკავათ და მაღალი წარმომობისა იყვნენ, ჰქონდათ სიმდიდრე, პატივი და ყოველგვარი ბრწყინვალება, ასე რომ ისინი თვით სამეფო გვარულობის მონაწილენიც კი იყვნენ, მაგრამ, რადგან მათ ქრისტე ჰქმნარიტი სიყვარულით უყვარდათ და მას უფრო მეტად, ვიდრე ყველა სხვას, თაყვანსა სცემდნენ და ისინი იმ სიმდიდრეს იგროვებდნენ, რომელიც ურყევია და ხანგრძლივად რჩება, ნაცვლად იმისა, რომელიც წარმავალია, მიეთრევა, იღუპება და აღუპავს,—აი, ყველაფერი ეს შეიზიზღეს, იმას (ე. ი. სამუდამო სიმდიდრეს) მიემხრნენ და სრულიად უარყვეს ეს სოფელი, გაუნაწილეს რა თავისი ქონების უდიდესი ნაწილი, რამდენადაც ეს ადვილად გასაკეთებელი იყო, ღარიბებსა და ხელმოკლეებს უფლებან რომის სახელმწიფოში, აგრეთვე წმინდა სახლებში [ეკლესიებში] და მონასტრებში. ხოლო უველაფერი დანარჩენი დასტოვეს და არარად მიიჩნიეს², შემოირტყეს ჩვენი უფლის ჯვარი და მის თაყვანისსაცემად წმინდა ქალაქში წაყიდნენ. როდესაც ისინი მივიდნენ ამ ქალაქში და იქ კარგად დაბინავდნენ, ააგეს მათ ორი დიდი, ბევრი ადამიანის დამტყევი მონასტერი წმინდა ზეთისხილის მთაზე, წმინდა ამალლების ეკლესიის მახლობლად: ერთი კაცებისა და ერთიც დედათა მონასტერი და ორივესთვის გაიდეს თანხები ღვთის სადიდებლად და საქებად და მრავალი სულის საოხად და სახსენებლად, იმათი სულების, ვინც ხსნისათვის მისულიყო იქ. და ცხოვრობდნენ ამათში წუნარად, ეწეოდნენ მშვენიერ ბრძოლას ყოველგვარ ასკეტობასა და სიწუნარეში, თავშეკავებაში³ და თავმდაბლობაში: თვით სამოსელშიც ღარიბულად ასახუდნენ თავიანთ თავს. მათი სამოსელი შესდგებოდა დაწნული ბზისაგან—დაბალი და საწულობელი სამოსელი. ისინი სინდისიერად იცავდნენ (φυλάσσειν) ქრისტესთან ერთად ჯვარცმულობის დაწესებულ უღელს და საკუთარი ხელით შესრულებული

¹ დედანში გამოტოვებულია შემასწავლელი.

² უილიამ. ვ. მ. «შემარაცხიის იგი ნაგებად».

³ ნახარველობაში.

შუშაობით შოულობდნენ ყოველდღიურ სარჩოს სუსტი საეუღლს შესანასად: პინიანუსს საკუთარი მხრებით შორიდან, უდაბხოდან, მოკტიონდა შეშა და, ისე რომ არ რცხვენოდა, სავაჭრო მოედანზე ჰყიდდა. (34) ხოლო ნეტარი [მელანია] მატყლის დამუშავებაში იყო გართული და ამით ჰფარავდა თავისი სარჩოს მცირე საჭირილებას, ხოლო რაც რჩებოდა ხელმოკლეებს უნაწილებდა¹.

როდესაც მან (მელანია?) წმინდა ემაწილეების პეტრეს და იოანეს იერუსალიმში მისვლა შეიტყო (მაშინ მათ ჯერ კიდევ მათი ქვეყნის ენათა მიხედვით [nach den Sprachen ihrer Ländler] ერქვათ ნახარნუგოსი და მითრიდატე) და გამოიკითხა, თუ ვინ იყვნენ ესინი და საიდან მოსულიყვნენ, დიდის სიხარულით შეინიშნა ისინი. რამეთუ მას კარვად ანსოვდა, რომ, როდესაც ის ოდესღაც კონსტანტინეს ქალაქში მავიდა², იქ ნახა ნეტარი პეტრე, როცა მას, როგორც ახალგაზრდა ემაწილს შეუკრად ხრდიდნებ. და მაშინ მას ძალიან შეუვარდა ის, რადგან ის ხელავდა, რომ მასში დაბინაებულა ახალგაზრდობიდანვე წყალობა ქრისტესი. ვინაიდან, როგორც მე უკვე ვთქვი, სიჭაბუკიდანვე ღვთიერ-მოყვარული იყო. ხოლო იმის საბაბი, თუ რატომ მივიდა ცხოვრებული მელანია ნელის სასახლეში, იყო შემდეგი: როდესაც ღვთისმშობი თეოდოსი მელესთან მივიდა ერთი წარმინებულის კაცი რომიდან, რომელიც გამოუხავნილი იყო ნეფე ეალენტინიანეს მიერ³, რომ დაენიშნათ იგი ცხოვრებული თეოდოსის ქალიშვილები⁴ — ეს (წარჩინებული) ცხოვრებული მელანიას გვარის-ნათესავი იყო და ჯერ არ ზიარებულოყო ქრისტინათა წყალობას, და ძალიან უნდოდა ცხოვრებული მელანია ენახა და პირღებოდა, რომ ქრისტინაი გახლებოდა, თუ მას შეხვდებოდა და მისგან მოისმენდა ცხოვრების სატყუას, ქრისტესმოყვარე მეფემ გაგზავნა, როგორც უკვე ვთქვი, და თხოვა ცხოვრებულ მელანიას ერთი სულის საცხოვრებლად სამეფო სასახლეში მოხულოყო. როდესაც ის მივიდა და მასში დაბინაებულა ღვთიერბივი წყალობის შემწობით ის აქცია მორწმუნედ და სრულყოფილ ქრისტინად, ბევრი სხვაც აღძრა (? გააქრისტინა?) და ღვთიერბივი, მისი მსგავსი ქცევისადმი აღანთო, ცხოვრებული პეტრეს მოახლოვა, მისთვის (ე ი.

¹ Stadler-ით („წმიდანთა ღვწსკომი“) მელანია 382 წელს დაიბადა. მის ნამას ერქვა Publicola. დიდხანს იყო აღრიცხვი (Tagaste-ში, 417 წელს წავიდა იერუსალიმში, სადაც ვარდიცევილა 439 წელს.

² 424 წელს.

³ უნდა იყოს: „ვალენტინიანეს საქმეზე“. იგი 419 წელს დაიბადა და ჯერ კიდევ მეფე არ იყო. ის გაქვულა 425 წელს.

⁴ Licinia Eudocia (იხ. Du Cange, Hist. Byz. I. 70).

მელანიასათვის) მივბაძა, კიდევ უფრო ნეტად ზუენერგა, (35) და ვეღავ წმინდა ქალაქში დაბრუნდა და ისევ შეუდგა ძველებურ ასკეტურ ცხოვრებას.

მაგრამ ვინაიდან კიდევ ერთი სხვა მელანია იყო იერუსალიმში წარჩინებულ რომაელთაგან, რომელმაც აგრეთვე ეს სოფელი უარყო და (მონაზონის) კაბა ჩაიცვა, ანიტომ თავის აღვალზეა ცნობა, რომ ეს უფრო აღრინდელია, ხოლო ის, რომელმაც წმინდანება (პეტრე და თანე) შეიხიზნა, უფრო გვიანია.

ხოლო ამ ორივეზე უფრო აღრე იყო კიდევ სხვა, თავისი წარმოშობით და სიმდიდრით განთქმული, ძალიან საპატრიო და ღუთის-მოშიში ქალი, სახელად პომენია (ან Poemenia), რომელმაც უყვარდა წმინდა და სათაყვანებელ აღვილებში ცხოვრება: მის ქცევასა და სიუყვარულს ჰბაძავდნენ ხსენებული (მელანები); მან ააშენა აგრეთვე წმინდა ამაღლების ეკლესია და შენობებით შემოზღუდა და დაამხო კერპი, სახელად ვარიზიმი (Giarizim), მთაზე რომ იყო, სამარიაში; ის ჯერ კიდევ იდგა იმ დროს და მას იმ მხარის მცხოვრებლები თავიანთს სცემდნენ.

ზემოხსენებული უფრო გვიანი (უფრო ახალგაზრდა) მელანია ნანასადამე, პინიანუსს მუდღე და აღბინას ქალიშვილი, იყო ის, რომელმაც ის წმინდანები სიხარულით მიიღო, როგორც საყვარელი ვაჟიშვილები. როდესაც იმნათ მასთან იპოვეს საღარი, ისანი, იმ მანათა-მონასტერში იყვნენ ასკეტური ცხოვრების ნიმუშად მაჩვენებნი. ამავე დროს ისინი შემოსა მონაზონის სამოსელით წმინდა ხელებმა, (სახელდობრ) წმინდა და სახელგანთქმულმა გერონტიოსმა, რომელიც წმინდა ზეთისხილას ნიაზე იყო ბუცესად და მონასტრას წინამძღვრად¹. რამეთუ ეს გერონტიოსიც, რომლის სახელიც ფართოდაა განთქმული და რომელიც წარმოშობით იერუსალიმელი იყო, თავის დროზე, როდესაც ის ყმაწვილი იყო, წმინდა მელანია და მისმა ქმარმა შეიფარეს და მოუარეს მას. და როდესაც ის მათთან გაიზარდა წმინდად და ღუთისნიერად, ის იმის ღირსადაც ჩასთვალეს, რომ მონაზონის წმინდა სამოსელს ზიარებოდა, ნიით უმეტეს რომ ის თავისი ქცევით და თავისი აზრებით ამას შეეყურებოდა. ამრიგად, მათ ორივემ წაიუყვანეს ის, მიიყვანეს ჩვენი მაცხოვრის წმინდა საულაეთან, წმინდა კლდეზე დადევს რაც შესამოსად საჭირო იყო და ჩააცვეს მას თითქოს (36) ჩვენი უფლის ხელებით, მას შემდეგ რაც ილოცეს, რათა მას წმინდა სამოსელთან ერთად მინიჭებოდა სამი რამ: ზღმნარითი რწმუნა, სწმინდე და ცრემ-

¹ „გერონტიოსი... 45 წლის ვანაველობაში სთავისი ევგა ნეტარი მელანიას მონასტრის“ (Acta SS. Boll. II 886.)

ლები. სამივე ეს ნიჭი მას მიეცა და განსაკუთრებით ნიჭი ცრემლებისა იმ ზომამდე, რომ, როდესაც ის წმინდა ზეთისხილის მთის ხუცესად და ამავე დროს მონასტრის წინამძღვრად იყო და იქ მოთავსებულ საკრებულოებში (in den Congregationen) იყო დანიშნული, ბევრჯელ კვირის ერთ დღეში სამი მღვდელმსახურება შეუსრულებია, განსაკუთრებით წმინდა კვირა-დღეს—(ე. ი. აღდგომა-დღეს) წმინდა მთაზე ერთი, იმ მამათა-მონასტერში ერთი და მესამეც იმ დედათა-მონასტერში. ხოლო დანარჩენ დღეებში ის ცხოვრებული მელანხიასთვის ასრულებდა ყოველდღე კერძო მღვდელმსახურებას, როგორც ეს იყო წესად რომის ეკლესიაში. და უოველ ამ შეკრებილობაზე (ე. ი. მღვდელმსახურების დროს) შეუწყვეტლივ ღვრიდა ცრემლებს, წმინდა წირვის დაწყებიდან ვიდრე გათავებამდე, გულის ტკივილით და გულის სიმების ჩაწყვეტამდე, ისე რომ წირვაზე დამსწრეთაგან ვერავინ ვერ იკავებდა თავს, რომ კენესას და ოხერას არ მისცემოდა და ცრემლები არ დაეღვარა, როგორც მას; რადგან ის ასეთი წყალობის ღირსი გახდა, ამიტომ ბოლოც სრულიად სამართლიანად გამოჩნდა იმაში, რომ სწორედ ამ წყალობის ღირსი შეიქმნა. სახელდობრ: ის ხომ მოესწრო ქალკედონის სინოდის დაცემისა და გადახვევის (παράβασε, παρὰ νόμῳ) დროებს და ამ ხანებში მან აჩვენა მოწამებრივი გულადობა ბორკილებში, პატიმრობაში და მსაჯულთა წინაშე ღვომაში და აღმსარებლობის გვირგვინი დაიწნა; ასეთ ვითარებაში მან ჰპოვა სიკედილი. და თუმცა მას მშართველები და მრავალი წარჩინებული პირები სთხოვდნენ, რომ, რათა ამ შევიწროებული მდგომარეობიდან განთავისუფლებულიყო, მხოლოდ ის დაპირება მოეცა, რომ უარისმყოფელ იუვენალს მოელაპარაკებოდა, თუმც მასთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონოდა, მაგრამ მან ეს გადაჭრით უარყო ასეთი სიტყვებით: „ღმერთი იყოს იმის მოწმე, თუ მე მოლაღატე იუდას სახე მენახოს!“.

ამ უკაცის ხელებმა მისცეს ჩვენს მამებს პეტრეს და იოანეს (მონაზონის) შესამოსელი და მან დაარქვა მათ ეს სახელები ნაცვლად იმ სახელებისა, რომლებიც მათ თავიანთ ქვეყანაში ჰქონდათ.

(37) სადაც ისინი მშვიდობით ცხოვრობდნენ და ასკეტური ფაქვაცობის მაგალითს იძლეოდნენ (ταπειν, ἡμεταπειν), იმ მამათა-მონასტერში, რომელშიც, როგორც უკვე ვთქვი, გერონტიოსი იყო წინამძღვრად, — აი, იქ დადგეს მათ აგრეთვე ამ წმინდა მოწამეთა, მათი კეთილი მძღოლების და ხელმძღვანელების პატიოსანი ნეშტები, იმ სახელგანთქმულ ორმოც სებასტოფელ მოწამეთა ნეშტებთან ერთად¹, რომელთა

¹ ესენი ეწამნენ არმენიაში, ლიჭინიოსის, კონსტანტინეს თანაკებისის, დროს.

დაკრძალვა ჩაატარა ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსმა, მართალმა და ნეტარმა კირილემ. როდესაც, სახელდობრ, მას (კირილეს) სთხოვა მორწმუნე და მართლმადიდებელმა დედოფალმა ევდოკიამ სახელგანთქმული და უოვლად ქებული სტეფანეს, მოწამეთა შორის პირველისა და დიაკონთა შორის პირველის, პატიოსანი ნეშტის დასაკრძალვად ჩამოსულიყო და შეესრულებინა იმ მშვენიერი ტაძრის კურთხევა (ἐκχυσία), რომელიც მან (ევდოკიამ) ქალაქის ჩრდილო კარბჭის გარეთ ააგო, მან სიამოვნებით მიიღო ეს მიწვევა და, როდესაც ის მთელი ეკვეშტის უამრავი ეპისკოპოსების თანხლებით ჩავიდა და სპატიო წესით ჩაატარა მოწამეთა შორის უპირველესის ნეშტის დაკრძალვა იაბრის [მაისის] თვის მე-15 დღეს¹, მაშინვე იმავე თვის მე-18 დღეს განახორციელა მან, წმინდა შელანიას თხოვნით, სპარსელ მოწამეთა და მათთან ერთად ორმოც მოწამეთა დაკრძალვა ზეთისხეღის მთაზე მომცრო ტაძარში, რომელიც აგრეთვე თვით დედოფალმა ევდოკიამ აღადგენინა ბრწყინვალედ. როგორც ამას გვაუწყებს იქვე კედელზე ამოჭრილი წარწერა.

მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენს ამოცანას!

როდესაც, ამგვარად, ჩვენი საერთო მამა და მისი თანამებრძოლი იოანე წმინდა შესამოსელს ეღირსნენ, ის უკვე ოც წელს იყო მიღწეული და იქ ცხოვრობდა სიწყნარეში; თავისი სამოსელის შესაფერის ქცევას იჩენდა და ძალიან თავ(38)დაპყრით და ასკეტურად ცხოვრობდა: ძნელად მოსათვინიერებელ, დაცემისაკენ მიქცეულსა და სულის წინააღმდეგ განწყობილ სხეულს და შეამბოხე ნებას, იმ მტერს ღვთისას, რომელსაც არ შეუძლია დაექვემდებაროს ღვთის კანონს, სიმშობისა და წყურვილის საშუალებით, მიწაზე წოლისა და ღამისთევის და მთელი ამ მკაცრი ცხოვრების მეშვეობით თრგუნავდა და იმორჩილებდა; თავისი ასკეტობა მან იმ ზომამდე განავითარა, რომ დათრგუნა ჭაბუკური აღზნებების ბოხოქრობა, ჩააქრო ენებათა-ღელვის აღი და ასლა ადვილად აღწევდა იმას, რომ სულიერი სიმშვიდე ჰქონოდა, მეცნიერულ ქვრეტას (მეაქსია) მისცემოდა და თავისი სხეულის მბრძანებელი ყოფილიყო, უფრო მეტიც: ორივე [სხეულიც და სულიც] თანხმობაში მოუყვანა; ის თავისი ძლიერი ძალა და სხეულის სილამაზე მან ცარიელ ტუფესა და ძვალში ჩაკეტა, ისე რომ, წინათ რომ ჯანმრთელი იყო და თავისი სხეულის მოუყვანილობით (ტანადომით) გამოირჩეოდა, უკვე მოიღუნა, მოიხარა ბევრი გატანჯვისა და გაუთავებელი ასკეტობის გამო.

¹ ევდოკია 444 წელს მივიდა პალესტინაში, კირილეს სწორედ ამ წელს გარდაიცვალა. ასე რომ კურთხევა 444 წელს უნდა მომხდარიყო.

რა მრავალნაირი ბრძოლა, რამდენი ომი გადაიტანა მან და რამდენი განსაცდელი, როდესაც განუწყვეტლივ ებრძოდა ეშმაკსა და მის დემონებს, ბოროტ სულებს, ღამით და დღისით, არა ნარტო სიხმარში და მოჩივრებებში (ფაჯუჯაჯა) არამედ, როგორც იტყვიან, ხელ-და-ხელ და პირადად: გამოდგებით დაეხეტებოდა პირველი მორბედის იოანეს უდაბნოში, რომელიც (იოანე) იყო ასეთი სასარებრივი ქცევის დამფუძნებელი და მასწავლებელი; ნუ ვგულისხმობ იმას, რომელიც იორდანისკენ მიიჩქაროდა (მჩქარა) და იქ ატარებდა თავის ცხოვრებას, ჰქონდა რა ურთიერთობა მხოლოდ ღმერთთან, და თავის ვაჟაკურ ბრძოლას უფრო მდგრად ეწეოდა სიმაჟაცით.—ბოლოს, თუ როგორ დახმარებასა და ნუგეშს ეღიბა. ღმერთისაგან, ყველაფერ ამის აღწერა ჩვენს სუსტ სიტყვასაც აღემატება და არც ღრო მოგვეცემს ამის ნებას. მე ყველაფერ სხვას გამოვტოვებ და უფლებამოსილად ჩავთვლი ჩემ თავს გიამბოთ ის, რაც განსაკუთრებით ღირსია მოხსენიებისა და მოთხრობისა, რაც მას თავშივე შეეშთხვა, როდესაც მან (მონაზონის) შესამოსელი ჩაიცვა; ეს საჭიროა როგორც წარსულის დასამტკიცებლად, ისე მსმენელთა სასარგებლოდ.

როდესაც მან, სახელდობრ, დაინახა, რომ ხეტარანა პასარიონმა, (39) ღარიბთა და უცხოთა დედმა მეგობარმა, თავის დუთისაგან ხელმეწეობილ ვაჟაკობათა და კეთილ საქმეთა გარდა, ქალაქის აღმოსავლეთი კარიბჭის გარეთ ღარიბთა სახლი ააგო იმათ მოსავლელად და სანუგეშებლად, რომელთა სხეულს საცოდავად შეპაროდა სისუსტე, ხოლო წმინდა სიონის კედლების შიგნით აღმართა დიდი და მშვენიერი მონასტერი, რათა იმათთვის მოეჩყო მღვდელმსახურება და გალობა, რომელნიც მუდამ და განუწყვეტლივ უფალს აღიდებენ, იმანაც (ე. ი. პეტრემ!) მოისურვა ამ სიკეთისათვის მიებაძა. როდესაც მან წამოიწყო უფლის დახმარებით სახლის¹ აგება და იქ წმინდა მონაზვნების დიდი რაოდენობის მოთავსება, რომელნიც უფალს ქებას ასხამენ, სანამ ამ წამოწყებას შეუდგებოდა, რალაც მძიმე ავადმყოფობა შეეუარა. და როდესაც ის ამ ავადმყოფობას მძიმედ დაუწვა, დაინახა, რომ ეშმაკი დაუბირისპირდა მას, აშვარად იცინოდა, ჰკიცხავდა მას და ეუბნებოდა: „შეხედე, რა გიყო იმან, ვინც შენ გიყვარს! შეხედე, რა მდგომარეობაში ჩაგაყენა იმან, რომელსაც შენ მიეკედლე და ვისი გულისთვისაც ყველაფერი გასწირე! ახლა თქვი ერთი სიტყვა მის წინააღმდეგ და იქნები თავისუფალი!“ მან კი შეუბერა (ἐπαύειν), შეუბღვირა—მას ხომ ბევრჯერ გამოუცდია მისი უსირცხვილობა—და

¹ კედლის.

უთხრა: „ჩემს იესოზე ლაპარაკობ შენ, უწინდურად და თავხედოდ ძაღლო, ღვთის-მებრძოლო და ცილისმწამებელო! შენს საქმიანობას მირჩევ მე ჩავიდინო! ქრისტეს ძალამ უნდა გაგანადგუროს შენ!“ როგორც კი ქრისტეს სახელი გაიგონა, ის ბოროტი გაქრა როგორც კომლი და გაუჩინარდა.

და, აი, პეტრემ დაიწყო ტირილი და ცხარე ცრემლებით და ოხვრით ეძახდა უფალს, რომელიც მაშინვე გამოეცხადა მას თანახმად იგავისა: „იმ დროს, როდესაც შენ ლაპარაკობ, ის ამბობს: შეხედე, მე ახლოს ვარ“. და უთხრა მას: „რა მოგივიდა და რატომ ხარ შფოთში, შენ სულმდაბალო? განა არ იცი, რომ ჩემ ზეღშია სიცოცხლეც და სიკვდილიც და რომ ასევე ჩემს ზეღთაა, რომ შენ იცოცხლო, ვიდრე რომ მოკვდე? თუ იმიტომ ხარ დამწუხრებული, რომ შენ გგონია, რომ შენ არ შესრულე შენი აღთქმა და დაპირებული ტაძარი არ აპიგე, როგორც შენ ეს გინდოდა, მაშინ აღაპყარ შენი თვალები და იხილე!“ და მან ზეცისკენ რომ იიხედა, დაინახა მშვენიერი და საუცხოო ეკლესია, (40) შუნითა და დიდებულებით სავსე, და მასში ერთ წუებად და არა სროვად, დაახლოებით ორმოცდაათი კაცი თავისუფლად იდგა, მსახურებდა და გალობდა. და მოესმა ხმა, რომელიმაც მას მიმართა: „აჰა, ეკლესია, რომლის აგებას შეჰპირდი! აჰა აგრეთვე მგალობელნი! ნუღარ ხარ დამწუხრებული!“ ამ სიტყვების შემდეგ უფალი გაშორდა მას. ის კი, მვედრებელი და უაღრესად გახარებული კვლავ კიდევ უფრო მეტად აღივსო ძალით, სიხარულით და რწმენით. და ამიტომ, რადგან მან ამ ჩვენებით მიადწია გათვითცნობიერებას, გასცა განკარგულება, რომ ძმები, რომელნიც მასთან იყვნენ, ჩამწკრივებულიყვნენ საგალობლად. და მისი ლოცვების წუალობით ეს წესი დღევანდლამდე დარჩა და ძმები მას იცავენ.

ჩვენ, მაინც, უნდა მივმართოთ მოთხრობის გაგრძელებას და შეძლებისდაგვარად მოკლედ ვიღვაწებო, სიტყვა განვაგრძოთ იქიდან, სადაც შევჩერდით. რამეთუ გვასსოვს ჩვენი დაპირება, ღვთის დახმარებით გაიმბოთ, თუ როგორ დასტოვა მან იერუსალიმი და მივიდა და დაბინადდა ზღვის ნაპირას მდებარე ადგილას, ქალაქ ღაზაში (το παραμύχτιστον Γάζης), და როგორ ეკურთხა ის მღვდლად და, ბოლოს, მთავარმღვდლადაც [ეპისკოპოსად] ღვთაებრივი წუალობის არჩევანით.

წმინდა ქალაქი იერუსალიმი, დიდი მეფის ქალაქი, რომელშიც განხორციელდა მთელი ღვდამიწის ხსნის საიდუმლოება ღმერთისა და

¹ ესაია 58,9: „მერზე იტყოლიდა: შენ გრქვას აჰა აჰა ვარ.“

ჩვენი მაცხოვრის ქრისტეს მოვლინების შემწობით, მის შემდეგ რაც, დიდი ხნის წინ, იუდეელთა გამიჯვნის შემდეგ ქრისტეს წინააღმდეგ, შესაბამისად ვფელა წინასწარმეტყველთა წინასწართქმისა და თვით ქრისტეს მიერ მსჯავრდადებისა, რომაელთა მიერ მიწასთან იქნა გასწორებული, უკანასკნელ ხანებში ხელახლა იქნა აგებული და ფართოდ იქმნა დასასლელი ქრისტესმოყვარე და მორწმუნე მეფის, ვფელა ქრისტიანი მეფის მამისა და პატრიარქის კონსტანტინეს დროს, რომელიც ჭეშმარიტად რჩეული [და] ახალი დავითი იყო, და მისი ღვთისმოსიში დედის, ნეტარი ულენეს დროს, რომელიც რუღუნებაში მას ემსგავსებოდა და ჭეშმარიტად მისი ნამდვილი დედა იყო. რამეთუ, რადგან ეს ღვთისმოყვარე დედოფალა თავის მსურველ და ღვთისმოსიში რწმენაში და ღვთაებრივ რუღუნებაში განმტკიცებული იყო და თავისი ვაჟის სახით ჰყავდა მშველელი და თანამოსწრათე ამხანაგი, (41) არ ყოყნანობდა, რომ პირადად მოეელო ქრისტეს წმინდა ადგილები. და პირველ ყოვლისა მან, როდესაც ღვთის დახმარებით წარმოებული ვფლევას შედეგად იხოვა სათაყვანებელი ჯვარის მაცხოვრებელი ხე, დაღვა ის მთელი დედმეწის ზურგისათვის სულის და სხეულის ხალოცავად და სახსნელად, რის გულისთვისაც ის აღმართულ იქმნა. და ამის შემდეგ მან აღუშართა ჩვენი უფალს დიდი და ღვთის-მოსაწონი სახლები და მშვენიერი ტაძრები ღვთაებრივ საფლავზე ჩვენი უფლისა და გოლგოთას სათაყვანებელი თხემის (αρχον) წმინდა ადგილას, რომელიც წარმოადგენს ჭეშმარიტად უწმინდეს და ნამდვილ საკურთხეველს: ის საიღუმლოდ იქმნა უწყებელი, დიდი ხნის წინ, წინასწარმეტყველ მოსეს მიერ და წინდაწინვე მინიშნებული; აგებულ იქმნა გაუთლელი¹ და დაუნუშაფებელი ქვებისაგან, დამზადებულ იქმნა ბუნებისაგან. მართლაც, სხვა რომელი საკურთხეველი არის ამნაირად ჭეშმარიტი საკურთხეველი განუყოფელი ქრისტესი, რომელიც ვერ იტანს ვათლას და დანაწილებას, თუ არა ეს, რომელზედაც ღვთის ჭეშმარიტი კრავი იქმნა დაკლული და მსხვერპლად შეწარული, რომელიც სოფლისთვის ცოდვას ტვირთულობს?

ხოლო ვინაიდან ჩვენი სიტყვა აქანდე მოვიდა და ჩვენ მოვიგონეთ სათაყვანებელი ჯვარი, შესაფერისად მიმანია გადმოგკეთ ერთი საიღუმლოება და დიდი და შემზარავი სასწაული, რომელიც მოხდა ცხოვრებულის წინაშე მისი (ე. ი. ჯვარის!) ღვთაებრივი ძალის დასამტკიც-

¹ გამოსლ. 20,25: «უკუეთუ საკურთხეველი ქვათაგან მიმენო მე, არა აღაშენო იგი თლილითა»; მეთრე სჯ. 27,5: «უშენო მუნ საკურთხეველი უფალსა ღმერთსა მენსა, საკურთხეველი ქვათაგან, რომელ არა შეხებულ იფოს მას ზედა რკინა».

ცებლად, ღმერთის სადიდებლად, ქრისტიანთა იმედის სრულად დასა-
დასტურებლად და ჩვენი რწმენის გასამაგრებლად და განსამტკიცებ-
ლად; გაცნობით სასწაული, რომელიც ცხონებულმა, ჩვენმა ჭეშმარი-
ტად ერთგულმა მამამ, რომელიც ამის მოწმე და მხილველი იყო,
თვითონ რამდენჯერმე გვიამბო ბევრის თანადასწრებით თანახმად
წინასწარმეტყველისა, რომელიც ამბობს¹: „აუწუეთ ხალხებს მისი ღიდი
საქმეები და უამბეთ ყველა მისი სასწაული, იამაყეთ მისი წმინდა სახე-
ლის გამო; მოიგონებდეთ მის საკვირველ საქმეებს, რომელნიც მან
ქმნა!“.

როდესაც ის, სახელდობრ, პატარა ბიჭი იყო და სასახლეში იზრ-
დებოდა ცხონებულ მეფე თეოდოსისთან, მან შესძლო და შეიძინა ჯვა-
რის ერთი ნაწილი ხუცებისაგან, რომელნიც, ჩვეულების თანახმად,
რომ მეფისათვის პატივი ეცათ, იერუსალიმიდან მოვიდნენ და მას
[ნაკურთხი] საჩუქრები (ἐπιούχαι) მოუტანეს. მას მან (42) ცოტა სანთელი
წაუსვა, შეახვია სუფთა ტილოში და შეინახა ის ზრუნვით და ღიდის
პატივით. მან იგი ჩასდო ერთ ოქროს ჭურჭელში (καμάχηρον cubi-
culum) და ყოველ კვირა-დღეს, განსაკუთრებით კი ღიდ დღესასწაუ-
ლებზე, გამოიღებდა მას, დაილოცებოდა, აკოცებდა მას და ისევ თავის
ადგილას დასდებდა. და აი ერთხელ, როდესაც მან ეს გააკეთა ერთ-
ერთ ასეთ დღეს და პირქვე დაემხო, აკოცა მას და დაილოცა, დაუძახა
ერთ-ერთ იმ მესაწოლეთაგანს [cubicularii], რომლებიც მის გარშემო
იყვნენ. დაუძახა იმას, რომელიც უფრო მორწმუნე და მასთან უფრო
მეგობრულად იყო, ვიდრე დანარჩენები, რომლებიც მას ჰყავდა, და
რომელიც იმ დროს მარტო იყო მასთან, და მოსთხოვა მას ელოცა
და დაელოცა, მაგრამ, როდესაც ის მიუახლოვდა და მივიდა, რომ
თავისი სახე იმ წმინდა ნაწილზე დაედო და დაელოცა, ის [ჯვარის
ნაწილი], რომელიც სანთლით დაფარული და ჩვარში იყო გახვეული,
როგორც ზემოთ ვთქვი, უცბად თეთრ მტრედად გადაიქცა. ის (მტრედი)
წმინდანის ხელებიდან აფრინდა, სახლში აქეთ-იქით ეცა და გასასვ-
ლელს ეძებდა. ეს რომ მოხდა, ცხონებულმა განცვიფრებისაგან იყვირა.
და ის ხტოდა და სახლში გარშემო დარბოდა, ცდილობდა მტრედი
დაეჭირა, მაგრამ მტრედმა გასასვლელი იპოვა ფანჯარაში და გაქრა,
და ის ნაწილი სანთლითურთ და მჩვრითურთ უკვე აღარ ჩანდა შემ-
დეგ. ხოლო ამის მიზეზი იყო, როგორც ცხონებულმა ჩვენებით
შეიტყო, იმ ჭაბუკის უღირსობა. ეს, სახელდობრ, იმიტომ მოხდა, რომ
ის არ იყო თავისუფალი უწმინდურობისაგან.

¹ მს. 105 (104), 1-5: «მიუთხრობდით წარმართთა შორის საქმეთა მისთა...
მოიქსენებით საკრველგებანი მისნი, რომელ ქმნა».

ცხოვებული კიდევ სხვას, ამის მსგავს სასწაულს გვითხრობდა. შესახებ გოლგოთის ძაღვისა და მასში დამარხული ღვთაებრივი მოწულებისა. როდესაც ერთხელ ცხოვებულ იოანე საჭურისს სახეზე ერთი მძიმე იარა, სირსველი, გაუჩნდა და მთელი სახე დაუჭამა, ორთავენი საგონებელში ჩავარდნენ და, რადგან ამის გამო ისინი დიდ ტკივილს განიცდიდნენ, ზოლო ცხოვებულ იოანეს რცხვენოდა ხალხში გამოჩენაც კი, რადგან ეს მწუხარება მძიმე ტვირთით აწვა მათ და გულის უღრღნიდა, მორწმუნე პეტრემ, როდესაც ის გონს მოვიდა¹ და გზნება და ღვთაებ(43)რივი ცეცხლი აენთო, ღამით წაიყვანა ცხოვებული იოანე და ისინი ორივენი წავიდნენ წმინდა ალღომის ეკლესიისაკენ. და მის შემდეგ რაც ისინი ავიდნენ წმინდა გოლგოთის ადგილას ჩრდილოეთის მხრით, რამდენადაც ეს ადგილი წუნარი და მიმალული იყო, მუხლები მოიყარეს მათ და ცხარე ცრემლებითა და ოხვრით შევედრნენ ჩვენს უფალს. და როდესაც მათ ლოცვა დაასრულეს, ადგნენ და მიუახლოვდნენ წმინდა გოლგოთის სათაყვანებელ კლდეს სალოცავად, დაინახა ცხოვებულმა იოანემ რაღაც ხელის მსგავსი, რაც იქიდან გამოვიდა, მის პირისახეს მიუახლოვდა და მთელი მისი სახე მოწმინდა. და გათენებისას გამოირკვა, რომ სახე სრულიად სუფთა იყო, აღარავითარი დანასახი ან უწმინდურობა იმ ავადმყოფობისაგან აღარ ჩანდა.

აი, ეს (გიაგმეთ) ჯვარის ღვთაებრივი ძაღვის საბუთად და ჩვენი იმედის განსამტკიცებლად!

მაგრამ მე მინდა დაეურთო ამ ჩემს თხრობას აგრეთვე სხვა, ჩემის აზრით, ამის მსგავსი სასწაული, რომელიც იმავე ცხოვებული იოანეს მიმართ მოხდა სხვა დროს, დაეურთო ნათელსაყოფად მათი ურთიერთი სიყვარულისა, მათი რწმენისა ღვთისადმი და გულწრფელობისა მის მიმართ.

სახელდობრ, ერთხელ, როდესაც ცხოვებული იოანე ერთი მძიმე სენით დაავადდა, ისე რომ მასზე ხელიც კი აიღეს, და მამა პეტრე, ძალიან მოტყეხილი, განუწყვეტლივ ევედრებოდა უფალს მისი ჯანმრთელობის შესახებ, მას მოესმა ხმა, რომელმაც უთხრა: „გამხნევი, აჭა, მე მივიანიჭებ მას ჯანმრთელობას შენი თხოვნის გამო და მის სიცოცხლეს კიდევ დაეუმატებ ზემეტ თორმეტ წელს—რაც აგრეთვე მართლად შესრულდა. მაშინ მოხდა საკვირველება: როდესაც ის გამოკვთდა და შეუღბა ძაღლონის შემატებას, მის სხეულს, ფეხის ფრჩხილებიდან

¹ παρ' εαυτῶ γενέσθαι. ღრმა მწუხარებამ ამის წინ წაართვა მას სულიერ-ხიშვილე.

დაწყებული ვიდრე კისრამდე ქერცლის აძვრა დაეწყო. და როდესაც ყველანი შეშეთოდნენ, რომ შეიძლება კანის აძვრობა გაგრძელდეს და პირისახესაც შეეხოსო, მამა პეტრე შეევედრა კვლავ მონღომებით და ილოცა, რომ კისრის ზევით ქერცლის აცლა არ გაგრძელებულიყო. მაგრამ როდესაც მორჩა, მისი სხეული და მისი ხორცი ახალდაბადებული ბავშვისას ჰგავდნენ¹. ხოლო მისი ხმა იმდენად გაუგებარი იყო, (44) რომ მას არ შეეძლო ლაპარაკი გარკვევით და გასაგებად. მაგრამ ერთხელ, როდესაც მამა პეტრემ, ვითარცა ღვთაებრივი შთაგონებით, დაიყოლია ის მათთვის წმინდა მსხვერპლი მოეწყო (ე. ი. წირვა დაეყენებინა!): რამეთუ ისინი ორთავენი [უკვე] მღვდლობის პატივში აყვანილი იყვნენ, ცხონებული პეტრე [კიდევაც] ეპისკოპოსის პატივში², ხოლო როდესაც ეს გადაჭრით უარზე იყო, როგორც უნო და ისეთი, რომელიც ამისათვის თითქოს გამოუსადეგარი იყო, ცხონებული პეტრე მაინც არ ეშვებოდა, თუ დარწმუნებით და თუ რჩევით, და ეუბნებოდა: „არ არის საჭირო ხმამაღლა ილაპარაკო, არამედ შინაგანად გულში წარმართე ლოცვები! რამეთუ ღმერთს მაშინაც ესმის, როდესაც ჩვენ ვღუმვართ“. რადგან ის იძულებული გახდა, დაემორჩილა. მოვიდა წმინდა საკურთხეველის წინ და გარკვევით და გასაგებად მიმართა ხალხს: „მშვიდობა თქვენ თანა!“ და ასე დაისრულა მთელი წმინდა წირვა [oblatio]. და მის შემდეგ რაც მან ხელახლა მიიღო თავისი ძველებური ხმა ღმერთისაგან, თითქოს ის სრულიადაც არ ყოფილიყო ავად, მომავალშიც ასევე კარგად მოლაპარაკე დარჩა სამუდამოდ.

ერთხელ ამ ცხონებულმა იოანემ ჩვენება ნახა და მთელი სამი დღე ამ მოჩვენებაში გაატარა, ისე რომ არავისთან არ ულაპარაკნია. მაგრამ მან იხილა ჩვენი უფლის საშინელი და საუფლო მეორედ მოსვლა: ერთბაშად გაიხსნა ცა და მოისმა საყვირები³, ღელამიწის შერყევა, ცვალება, ესე იგი ელემენტების შეცვლა⁴, ყველაფერი საესე იყო შუქითა და შიშით დამსხვრევის წინაშე, და (სავსე იყო) რყევით და არევ-დარევით, წინ მიდიოდნენ ანგელოზები და ზეცური რაზმების პირველი წყებები, ანგელოზები, მთავარანგელოზები, ძალები (მცაითა)⁵,

¹ შდრ. 2 (4) მუფთა 5,14: «და მოიქცეს კორცნი მისნი ვითარცა ურმისა მცირისა».

² სიტუვა-სიტუვით: არქიელის პატივში (Oberpriestertum).

³ 1 კორ. 15,52: «რამეთუ საყვირისა დაეცხა».

⁴ 2 პეტრ. 3,12: «ცანი მსურვალენი დაიქსნენ, და წესნი დაიწუნენ და დასდნენ».

⁵ ეფეს. 3,10: «მთავრობათა მათ და კელმწიფებათა ზეცისათა».

მძლავრობანი (αυτοκρατορική)¹, დიდებულებანი (ἐπίσημοι)², წუებანი წმინდა მოციქულებისა, წინასწარმეტყველთა, მოწამეთა, მართალთა, ქერუბიმთა, სერაფიმთა და ყველა მათ შემდეგ სათაყვანებელი და განმკურნებელი ნიშანი³ უფლის გვარისა და თვით უფალიც, მაცხოვარი და მესია, რომელიც მოდიოდა დიდებულ მამასთან ერთად გამოუთქმელი ძლიერებით, (დაინახა) მომზადებული საყდრები⁴ და ღვთაებრივი და საზარელი სამსჯავრო, რომლებიც დიდი ხნის წინათ წინასწარ გვაუწყეს ჩვენ ბევრჯერ წმინდა წინასწარმეტყველებმა და მსაჯულებმა და თვით მაცხოვარმა. (45) მაგრამ მან დაინახა, რომ მხოლოდ ერთი საკურთხეველი იდგა მიწაზე, რომელიც სრულიად იმნაირი იყო, როგორცაა ის, რომელიც ახლაც ჩვენთან არის დაცული და რომელზედაც ისინი ორივენი სწირავდნენ. და ამ საკურთხეველის გარშემო აუარებელი წმინდა მონაზონი იდგა და ყველა მათგანს ეჭირა თავისი კვერთხი. და აჰა! უცხად გაისმა საყვირთა ხმები და ელემენტების აჯანყება როგორც ღრუბლებისა, რომლებიც დაფრინავდნენ და იმ საკურთხეველიდან მოწყვეტდნენ იქ მდგარ წმინდანებს და ჩვენი უფლისკენ (მიაქანებდნენ) მის შემდეგ რაც მან სამი დღე ასეთ მოჩვენებაში გაატარა და ბევრი სხვა საიდუმლოებაც ნახა, რომელთაც კაცის ენა ვერ გამოთქვამს, ამის შემდეგ, როდესაც ის გონს მოვიდა, დაახლოებით ოცდაათი დღის განმავლობაში გაბრუებული იყო და არავისთან არ სურდა ლაპარაკი, უფრო მეტიც: სრულიად არ შეეძლო. რამეთუ ის მთლიანად იქ იყო [ცაში] თავისი ფიქრებით წასული და არ ეგონა, თუ კიდევ დედამიწაზე ცხოვრობდა. მისი სახე კი იყო როგორც სახე ანგელოზისა, და მთელი მისი გამომეტყველება იყო სულ სხვა, ვიდრე ადამიანის გამომეტყველება..

მომდევნო მოჩვენება მოხდა უკანასკნელად, დიდი ხნის შემდეგ. მაგრამ რახან საკურთხეველი ვახსენე, ვერ გავრუმდები იმ სასწაულზე, რომელიც მის მიმართ მოხდა მისი კურთხევის დროს, როგორც ეს ჩვენთვის ბევრჯერ უამბნია თვითონ ცხონებულ პეტრეს. როდესაც, სახელდობრ, უფრო გვიან, ქალკედონური აჯანყების ხანებში, ისინი გაიქცნენ და ალექსანდრიაში ცხოვრობდნენ, მათ გაამზადებინეს იქ ეს წმინდა საკურთხეველი. და მისი კურთხევის დროს ცხონებულმა აშკარად დაინახა, რომ წმინდა მახარობელი მარკოზი იდგა და მას აკურ-

¹ ეფეს. 1,21: «უზესთავს უოველთა მთავრობათა და კელმწიფებათა, და ძალთა, და უფლებათა» (ἐξουσιᾶς καὶ δυνατεῶς καὶ αυτοκρατορίας).

² იუდ. 8: «დიდებათა ჰგომობენ».

³ მთ. 24,30: «მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისა».

⁴ ლკ. 22,30 (მთ. 19,18): «დასხდეთ ათორმეტთა საყდართა და სჯიდეთ...».

თხებდა. ამიტომაც (ლეთის) წყალობამ განახორციელა მისი მეოხებით ასეთი საკვირველებანი და მრავალი მძლავრსაქმენი და განკურნებანი, რომელთა რიცხვის ჩამოთვლაც კი ჩვენ არ ძალგვიძს, და მათი რიგ-რიგობით მოთხრობისთვის კი არც ძალა შეგვწყევს და არც დრო გვაქვს. მაგრამ ეს ჩვენება, როგორც უკვე ვთქვი, ბოლოს გამოჩნდა, როდესაც ისინი ალექსანდრიაში ცხოვრობდნენ და მართლმორწმუნეობისათვის იღვწებოდნენ.

მაგრამ ჩვენი დაპირების შესასრულებლად გვინდა დაფუბრუნდეთ იმას, სადაც ჩვენი თხრობა შევწყვიტეთ, და გაიმზოთ იმ მიზნებზე, რომლებმაც ისინი მიიყვანა იმ მონასტერში ღაზასა და მაჟუმას შუა, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, როდესაც ისინი ძალით წაიყვანეს, რათა მღვდლობას მიეღწიათ.

წმინდა ქალაქი იერუსალიმი, როდესაც ის ასე [როგორც მე ზემოთ გაიმზეთ] ქრისტიანი მეფის კონსტანტინეს მეოხებით აღორძინებას (46) იწყებდა, როგორც მცხოვრებლებით იყო ღარიბი, ისე დასაწყისში ჯერ კიდევ უკვლავდნენ იღვა, რადგან წინანდელი კვლევი რომაელების მიერ იყო დანგრეული; მოკლედ რომ ვთქვათ: იქ სახლებიც ცოტა იყო, და მცხოვრებლებიც. მაგრამ რადგან არქიელებსა (Erzpriester) და ეპისკოპოზებს, რომლებიც შემდეგ იერუსალიმში იყვნენ, უნდოდათ, რომ ქალაქში ეცხოვრა ბევრ მცხოვრებს და ბევრი შენობაც უოფილიყო აგებული, ღება დართეს ყველას, ვინც კი მოისურვებდა და ვისაც კი შეეძლო, ქალაქის რომელშიც უნდოდა ნაწილში მუქთად, უფულოდ, მიეღო მიწა, რომელიც მას მოეწონებოდა, და იქ აეგო (თავისთვის) ბინა. და, აი, ცხონებულმა პეტრემაც აირჩია ასაშენებლად ერთი ადგილი სიონის ეკლესიის ზემოთ [ჩრდილოეთით], ეგრეთწოდებულ „ღაგეთის კოშკთან“ და იქ ააგო მონასტერი, რომელსაც ღღესაც **იბერთა მონასტერი** ჰქვია და მარცხენა მხარეზე მდებარეობს, თუ მიღებარ წმინდა სიონის ეკლესიისკენ იმ კოშკის მეორე კარიბჭიდან. იქ ცხოვრობდა ის მშვიდად იოანესთან, თავისი მშვიდობის თანაამხანაგთან ერთად. იქ ერთი სასწაული მოხდა, როდესაც ისინი აღნიშნულ ადგილს აშენებდნენ, და მე მას არ გამოვტოვებ. სახელდობრ:

ერთ-ერთი წარჩინებული სამღვდლო პირი იყო მათი მეზობელი, რომელმაც სწორედ იქვე აირჩია ადგილი და შენობა ააგო. მაგრამ როდესაც, როგორც ეს ჩვეულებრივ მოსდით მეზობლებს, საზღვრის გამო დაფა აუტყდათ, თვითონ ცხონებული პეტრე წყნარად იყო თავის საკანში. იოანე საჭურისი კი, რომელიც გარეთ მუშებთან იმყოფებოდა, მას წყნარად და თავმდაბლად არწმუნებდა, როგორც ეს მას

ჩვეულებად ჰქონდა: თავმდაბლობაში ის მოსეს ჰგავდა. მან კი, რომელიც უსამართლოდ იქცეოდა, თითქოს მის წინააღმდეგ იმას მძიმე უსამართლობა ჩაედინოს, ვინაიდან ის საერთოდ მის წინააღმდეგ ლაპარაკობდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაარტყა ლოყაში ცხონებულ (იოანეს), როგორც კაი[ა]ფას მსახურის მიმბაძველმა. თუმცა იოანე სილაგარტყმული იყო და მწარე ტკივილს გრძნობდა, მან სრულიად არაფერი უპასუხა იმას, დასტოვა მუშები და ის გაცოფებული, და შევიდა მამა პეტრესთან და ტირილით აჩვენა თავისი ლოყა, რომელიც ხელით ეჭირა. რამეთუ იმ გარტყმამ ტკივილი გამოიწვია. მაშინ ორივემ მუხლი მოიყარეს და მადლობა შესწირეს ჩვენს უფალს, რომელმაც მათ აღიარა მონაწილეობა მათ სილისგარტყმაში. იმ კაცს არაფერი უთხრეს მუშებმაც, დასტოვეს თავიანთი სამუშაო და წავიდნენ, დასტოვეს ის ადგილი. მეორე დღეს დილით ის უსირცხვილო მკვდარი ნახეს და დაასაფლავეს, (47) თუმცა ამის წინ მას არაფერი ტკიოდა, ასე რომ იერუსალიმის უველა მცხოვრებმა შეიცნო, რომ მართლმსაჯულმა ღმერთმა, რომელიც მათ ყოველთვის შველოდა, დიდხანს არ დააყოვნა შესახებ ამ წმინდანების წინააღმდეგ ჩადენილი უსამართლობისა.

რადგან ისინი ორივენი მარტონი დარჩნენ იმ ადგილას და კიდევ ჰქონდათ ფული, რომელიც მათ გადარჩათ იმ ფულიდან, რომელიც მათ წამოეღოთ [კონსტანტინეპოლიდან] წამოსვლის დროს, თუმცა მეტწილს ამ თანხისას წმინდა მონაზონებსა და ღარიბებს ურიგებდნენ უველგან, გადაწვეიტეს დარჩენილი თანხით ერთი კარგი საქმე გაეკეთებინათ და შეეხიზნათ მლოცავეები და ღარიბები, რომლებიც ყოველი მხრიდან მოდიოდნენ წმინდა ადგილების მოსალოცავად, და ერჩინათ ისინი. როდესაც მათ საკმარისი რაოდენობით მოიტანეს სურსათი, შეიფარეს უცხონი (ἐξοι) აბრაამის მსგავსად (ე. ი. სტუმართმოყვარეობით): თვითონაც ხომ იყვნენ მომლოცველნი და უცხონი (παροιχοι) და ასეთი სამსახურის გაწევაში არავითარი გამოცდილება არ ჰქონდათ, ასე რომ ბევრჯერ უფიქროს, რომ მათ დღეში ათი სუფრაც კი გაუშლიათ, განსაკუთრებით დიდ დღესასწაულებზე. და ასეთი საჭმე რომ იკისრეს, ისინი იყვნენ მარტონი (μάρτυς)¹, რომლებიც მათ [უცხოებს] ემსახურებოდნენ, იმ დროს როდესაც თვითონ საჭმელს არ იკარებდნენ. რამეთუ ბუნების სისუსტეს სძლია სულის სიხალისემ და სიყვარულმა ქრისტესადმი, რომლის მიერაც ისინი გამაგრებული იყვნენ და საკვირველად ნუგეშდებულნი. ასე, ერთხელ, როდესაც უცხოთა მთელი გროვა შეიკრიბა მათთან, მათ სანოვაგე შემოაკლდათ.

¹ μάρτυς ἀποστόλου „მარტონი ემსახურებოდნენ“, ე. ი. მათ არავინ არ ეხმარებოდა.

და რადგან დრო აღარ ითმენდა, ისინი დიდ მწუხარებაში ჩავარდნენ და ჩუმად თავიანთ გულში შეჭყვიერეს ღმერთს: ისინი გაწითლდნენ მომლოცველების ზედახორა რომ გაიმართა. მაგრამ როდესაც ისინი საუკუნაოში შევიდნენ, რომ დაეხედათ სურსათიდან ზომ არაფერია კიდევ დარჩენილიო, ნახეს ჭურჭლები ყველა სავესე. სახელდობრ, თითოეულ ჭურჭელში იყო ის სურსათი, რისთვისაც ის ჭურჭელი იყო განკუთვნილი.

მაგრამ ასე დიდხანს რომ უცხოთა ასეთ მიღებაში იყვნენ გართული, ბოლოს ურჩია მათ წმინდა ზენონმა, მეუღაბნოემ და წინასწარმეტყველმა, ყველგან ცნობილი დიდი სილვანეს¹ მოწაფემ, კვლავ მონასტერს დაბრუნებოდნენ და (48) უფრო მორჩილებისა და დათმენის მეშვეობით ეღვაწათ და უთხრა: „მის შემდეგ რაც თქვენ უცხოთა შეფარებით [საკმაოლ] იღვაწეთ, წადით ახლა და ემსახურეთ მონაზონთა ცხოვრებას, და მონასტერში შეუდგეთ სწავლებას. რამეთუ ეს უფრო სასარგებლოა იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ ჭაბუკურ ასაკშია“.

როდესაც ისინი შევიდნენ ერთ-ერთ წმინდა მონასტერში, თავი ეჭირათ სრულიად მორჩილად, თავმდაბლად და თავშეკავებით, ისე რომ ეშმაკმა, რადგან მას ფერ აეტანა მათი ჭეშმარიტად ასკეტური ცხოვრება, ეშმაკურად დაუარა თავი და რომ ისინი მათი ასკეტობისა და სახარულობისაგან გამოეთიშა, მრავალნიერ განსაცდელს იგონებდა მათთვის. ერთ დღეს კიდევაც, როდესაც მამა პეტრე ძმებთან იღვა გუნდში² და გალობდა, წინ დაუყენა და უჩვენა ძალიან ლამაზი ტიტველი ქალი. რადგან მარტო მან დაინახა ის მოჩვენება (φανταზია) და უკვე ხილვაც მიიჩნია უწმინდურობად, დამალა თავისი სახე და იქით-აქეთ ატრიალებდა მას. ხოლო როდესაც ძმები გაკვირვებული იყვნენ და არ იცოდნენ, თუ რა იყო ამის მიზეზი, მან ხმამაღლა დაიძახა: „უფალო იესო, მომაშორე თვალებიდან ეს საძულველი და უწმინდური სახე, ეს საზარელი მოჩვენება, და განმთავისუფლე!“ როგორც ვი ბოროტმა სულმა გაიგონა ჩვენი მაცხოვრის სახელი, უმაღლვე გაუჩინარდა.

მას შემდეგ რაც წმინდა ზენონის რჩევით იმათ ერთ ხანს მონასტერში დაჰყვეს, ისინი მისივე დასტურით კვლავ დაბრუნდნენ თავიანთ სახლში და ცხოვრობდნენ მშვიდობით წმინდა ქალაქში, ხოლო

¹ იგლისხმება აბატი სილვანე, რომელიც IV საუკუნის ბოლოს ბინადრობდა გერართან. შდრ. სოზომენე H. E. VI, მ. IX, 17.

² სიტუა-სიტუვით „ხროვაში“.

უცხოებს აღარ იხიზნავდნენ, რამეთუ მთელი თანხა უკვე დახარჯული იყო: ის კარგად იქმნა გამოყენებული. მაგრამ ისინი სასტიკი ასკეტობით და მკაცრი ცხოვრებით თავიანთ თავს თრგუნავდნენ.

მაგრამ მათი იქ ცხოვრება (XVII ს.) დიდ ხანს არ გაგრძელდებოდა. დედოფალმა ევლოკიამ¹ (49) მორწმუნე მეფის თეოდოსი უმცროსის მეუღლემ, მოიწონა რა მან ჩვენ მიერ ზემოთ მოხსენებულ მელანიას მოღვაწეობა, მოისურვა აგრეთვე წმინდა ქალაქში მშვიდობით ცხოვრება, რათა ახლოს ყოფილიყო და პირადად თავუხანი ეცადილებული მეფის, ქრისტეს, ჩვენ სახსენლად განცდილ ვნებათათვის. მეფური ფუფუნებით გამოემართა, მოიარა უველა ქალაქები და მოვიდა წმინდა ქალაქში, როგორც ეს მისი ნატვრა იყო, და ელირსა თავუხანისცემას. მაგრამ როდესაც მან შეიტყო, რომ მამა პეტრე იქ ცხოვრობდა, აღფრთოვანებით მოისურვა იგი ენახა როგორც მის აღმზრდელს, რომელიც მისთვის სასახლეში ნაზად მოსიყვარულე (φιλίστιος) ღელა იყო. მაგრამ დასაწყისში მან ითხოვა, რომ მისთვის თავისი სენაკის დატოვება არ აეძლებინათ (სიტყვა-სიტყვით: რათა იგი განეთავისუფლებინათ თავისი სენაკის მითოვებისაგან), რადგან ამას ის განსაკუთრებულად თვლიდა². მაგრამ რადგან დედოფალი დაბეჯითებით მოითხოვდა, და ასე თქვა: „თუ მას ჩემთან მოსვლა არ სურს, ყოველ მიზეზს გარეშე მე შივალ მასთან, იქიდან სიონის წმინდა ეკლესიისაკენ გადასასვლელს გავაკეთებო“ — ამიტომ ის (პეტრე) იმის შიშით, რომ მაინც მოსვენებას არ მომცემსო, და ხალხის შურის ასაცილებლად, ერთხელ გამოვიდა სენაკიდან და მასთან ისაუბრა. და რადგან დედოფალი უსურადლებით ეცნობოდა მის დიდ სისადავეს, თავმდაბლობას, და აგრეთვე მის სიბრძნეს, ასეთი რამ მოისმინა პეტრემ მისგან: „ბედნიერი ხარ შენ, ჩემო შვილო, რადგან შენ სიკეთე აგირჩევია შენთვის! მომიგონებდე მე შენს წმინდა ლოცვებში“. მან კი თავი აიღო და უთხრა მას: „რა სიწირფულე შეიძლება (50) ჰქონდეს ცოდვის ლოცვისთვის?“ (ესე იგი: რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ცოდვილის ლოცვას?). დედოფალმა კი მიუგო: „შენი ცოდვები ჩემს ვისერზე იყოსო“. და, ამგვარად, თავის სენაკში დაბრუნების შემდეგ ის მოსვენებული იყო. მაგრამ როდესაც ის კვლავ მოითხოვდა ამას და დაბეჯითებით მასთან მისვლას ნდომილობდა, სასწრაფოდ გაემართა ზემოთ მოხსენებულ წმინდა ზენონთან, წინასწარმეტყველთან, და

¹ აქ რააბეს მოქუავის ვრცელი ამონაწერი ევლოკიაზე Du Cange-ის Hist. Byz.-დან (I, 70).

² რააბე ფიქრობს, რომ აქ რაღაც გამოტოვებული უნდა იყოს.

გაუმხილა მას თავისი (მოწოლილი—ხ. ყ.) ფიქრები¹, როგორც ეს მას სჩვეოდა. რამეთუ უოველთვის მას ეთათბირებოდა ის. მან ასეთი განაჩენი მიიღო მისგან: „იხსენ, იხსენ თავი!“

ამრიგად, მისი რჩევით დასტოვა მან წმინდა ქალაქი იერუსალიმი, გადასცა მონასტერი ზოგიერთებს, რომლებსაც აგრეთვე სოფელი უარეუოთ, და წავიდა და დაბინავდა ღაზასა და პატარა ქალაქ მაიუმას² შორის მდებარე ახალშენში (Congregation), რომელიც იმ დროს სავესე იყო წმინდა და ჯვარისმტვირთველ მონაზონებით. მის ამ აღვილას გამგზავრების წარმართვა იყო საქმე ღვთაებრივი მზრუნველობისა, ყოვლად ბრძენი ღმერთისა და მზრუნველისა ჩვენ სულზე, რომელმაც ის წინდაწინვე დანიშნა ზღვის ნაპირას მდებარე უადრესად ქრისტიანულ ქალაქის მთავარმღვდლად და ეპისკოპოზად, რომელიც მას განსაკუთრებით განდგომის ხანაში შეეფერებოდა, რომელ ხანასაც ასეთი კაცი ესაჭიროებოდა, მშველელი ღვთისმოსიშობაში და ამავე დროს მართლმადიდებელი რწმენის (51) მქადაგებელი და დარაჯი, გამოგზავნილი³ ჩვენი სულის საოხად, რომლისაც დიდი სიწრფელე ახასიათებდა ჩვენი უფლის მიმართ, რათა უფალი ხალხის ცოდვების შემწყალებელი ყოფილიყო, ვითარცა წერილ არს⁴, და რომელსაც შეეძლო ჩვენი სისუსტისთვის ეთმინა⁵, იმიტომ რომ ის ყოველთვის ჩვენთვის ლოცულობს⁶.

როდესაც ის ამ ახალშენში (Congregation) ცხოვრობდა, ის გამულმებით დადიოდა თავის თანამესენაკე იოანესთან ერთად წმინდა ზენონთან, რომელიც ცხოვრობდა იმ დროს სოფელ კეფარსეარტაში⁷, თხუთმეტი მილის დაშორებით ღაზადან; მას ეთათბირებოდა ყველა თავისი აზრების გარშემო და კვლავ უფრო ცეცხლებრ მოდიოდა პირდაპირი მიმართულებით ღვთისაკენ მიმავალ სათნოების გზაზე⁸. მას (ზენონს) ძალიან უყვარდა იგი (პეტრე). და პეტრეც მის სიკეთეს ეზი-

¹ რაავე ფიქრობს: 1) შეიძლება ევლოიასთან ურთიერთობა დაარღვევდა მის სიმშვიდეს, და 2) როგორც მონაზონი იქნება გაურბოდა ქალთან შეხვედრასო.

² მაიუმის შესახებ ვრცელი შენიშვნა აქვს რააბეს—ხ. ყ.

³ ებრ. 3,1: «მოციქული იგი მღვდელმთავარი აღსარებისა ჩვენისა».

⁴ ებრ. 8,12: «ცოდვანი მათნი არღარა მოვიცენენ მერმე».

⁵ ებრ. 4,15(?): «რომელიმცა ვერ შემძლებელ იყო შეწყალებად უძღურებათა ჩვენთა».

⁶ ებრ. 5,7: «ვედრებასა და ლოცვასა შემძლებელისა».

⁷ «ქერის სოფელი»—«პლეროფორიებშიც» (თავი 8) სწერია: «ნეტარი ამა ზენონი, გლახაკი და წინასწარმეტყველი, [რომელიც ცხოვრობდა კეფარსეარტაში» (F. Nam, გვ. 20).

⁸ სიტყვა-სიტყვით: *κατεστρεψε τὴν ἐπιπέδον τῆς ἡγίας ἀρετῆς ὁδόν*.

არებოდა ხოლმე. ცხონებული გვიამბობდა ამის შესახებ: „როდესაც მე ერთხელ მასთან მივედი, წმინდა ზენონი სალოცავად დამღვარიყო. მომიბრუნდა მე და მითხრა: ლოცვა თქვი! და რადგან მე ჩემი მხრით ვდუმდი, კვლავ მომიბრუნდა და მითხრა: ლოცვა თქვი! და ეს ქმნა მან სამეგრეო იმავენიარად. მე გაკვირვებული ვიყავი და მის მიმართ აღელვებული, და ფუთხარი: მომიტყევე, პატივცემულო მამა. განა შენ არ იცი, რომ მე უბრალო კაცი ვარ და ცოდვილი? მაშინ მითხრა: ჰო, ჰო! მომიტყევე! ამის შემდეგ მან [თვითონ] დააყენა ლოცვა და დაჯდა“.

და შეიძლია დღის შემდეგ მოხდა მის [პეტრე იბერის] ხელთდასხმა! ხოლო თუ რანაირად მოხდა ეს, ამას ღუმილით ვერ ჩავატარებთ.

როდესაც ის ჯერ კიდევ წმინდა ქალაქში ცხოვრობდა, და იუჯენალი, რომელიც მაშინ ამ (ქალაქის) ეპისკოპოზი იყო, ბევრჯერ უცადა ის ეკურთხებინა, მაგრამ ვერ შესძლო ამის შესრულება, რადგან ღმერთი მას [პეტრეს] იმისაგან იცავდა. სახელდობრ, შემდეგნაირად: როდესაც წმინდა სიონის-ეკლესიაში მიდიოდა ღვთისმსახურება, გაბედა იუვენალიმა რამდენიმე უოჩალი კაცი გაეგზავნა, რათა იგი (პეტრე) მისი იქვე ასლოს მყოფი სენაკიდან გამოეყვანა. როდესაც მათ განიზრახეს მისგა, მას (პეტრეს) ეჩვენა ანგელოზი და უთხრა: აჰა, მოდიან ისინი, რათა შენ წაგიყვანონ საკურთხებლად. მაგრამ აღქვი, გაიქციე! და ასე რომ გაიპარა, მან თავი შეინახა (52) ზღმიწევნით. ხოლო ახლა რომ მაიუმის მახლობლად ცხოვრობდა, იმ ადგილის ეპისკოპოზი იყო მაშინ პაქლე, იუვენალის ძმისშვილი. ხოლო პავლემ ცხონებულ პეტრეს მისი იქ უოუნის დასაწყისში, როდესაც მან სთხოვა ნუ მაკურთხებო, აცნობა მას პასუხი და შეპირდა შეგისრულებო. მიუხედავად ამისა, როდესაც სახელგანთქმული გამარჯვების მომხვეჭი მოწამის ბექტორის¹ მოსაკონარი დღე იყო და ამ დღეს მრავალი ეპისკოპოზის სინოდი შედგა, მან (პავლემ) საიდუმლოდ გაიხმო ერთი ამ ეპისკოპოზთაგანი და დაიფოლია, რომ ეკურთხებინა (პეტრე). მან დამხმარედ აიყვანა ცხონებული ირენიონი, კრების ის თავმჯდომარე, რომელსაც ამ წმინდანებთან ურთიერთობა ჰქონდა და მათი მეზობელი და პატივსაცემი კაცი იყო, ერთბაშად თავს დაესხა მისი მეშვეობით ორივეს მოულოდნელად და აკურთხა ისინი დიდის ძალდატანებით და წინააღმდეგობის გაწევით (მათი მხრით) მღვდლებად. მაშინ შეიციო პეტრემ, რამდენადაც მოიგონა, წმინდა ზენონის წინასწარგამჭვრეტი ცოდნა და წინასწარმეტყველური ნიჭი.

¹ ამ სახელის მქონე ერთ აფრიკელ მოწამეს იხსენიებს ქიერონიმე.

მაგრამ მის შემდეგაც კი, რაც მან ხელთდასხმა მიიღო, შვიდი წლის განმავლობაში¹ ჯიუტობდა და მღვდელმსახურებას არ ასრულებდა (ე. ი. არ წირავდა), სანამ ეპისკოპოსის პატივიც არ მიიღო ქალკედონში მომხდარ ღალატისა და განდგომის ხანაში. რამეთუ როდესაც ყველგან გამოცხადდა ყველა ამ განმდგარ ეპისკოპოზთა წერილობითი უარყოფა, ლეონის უღვთო წერილის მოწონება და ნესტორის სამარცხვინო მოძღვრების განახლება—რომ დიოსკურე, ეგვიპტის ეპისკოპოზთა მეთაური და ჰეშმარიტებისათვის მებრძოლი და ღვთის მოშიშობისათვის მოდავე, გაძევებული იყო, ფინაიდან მან არ ინდომა უღვთოებას დასთანხმებოდა, თეოდორიტი და იბასი² კი, რომელთა გაკიცხვა (αχθαρῆσθαι) უკვე ამ [ეპისკოპოზების] მიერ მოხდა³ და რომლებიც ანათემას იქმნენ მიცემული, რადგან მათ დაუმტკიცდათ მისი [ნესტორის] უღვთოება, კვლავ იქმნენ მიღებული ყოველგვარი მსჯავრის და სამართლის გარეშე, და რომ (53) ფლავიანე, რომელიც კონსტანტინოპოლის ეპისკოპოზად იყო და რომლის გაკიცხვა იმავე საფუძველზე მოხდა, მისი გარდაცვალების შემდეგ ისევ [კონსტანტინოპოლში] იქმნა უკან მოტანილი, იუვენალი კი, რომელსაც იერუსალიმის მთავარი მღვდელი⁴ ეწოდებოდა, მის შემდეგ რაც იგი დაეთანხმა კანონის გადალახვას და მას ხელი მოაწერა და ამჯობინა მოლაღატე იუდას ხვედრი, დიდის ზვიმით უკან დაბრუნდაო, თუმცა თავისი გამგზავრების წინ კრებაზე უარყო ეგრეთ წოდებული ლეონის τῆμα-ი, სასაცილოდ აიგლო მისი უღვთოება და ყველა პალესტინელ სამღვდლო პირებსა და მონაზონებს დაუმოწმა, რომ მისი აზრების შინაარსი ებრაულია და სიმონ მოგვის აზრების ღირსეული (მომხრე), და რომ ის, ვინც მას ეთანხმება, ღირსია შერყენებული იყოსო—როდესაც ეს ცნობილი გახდა პალესტინაში სამღვდლო პირებისათვის და წმინდა მონაზონებისათვის, ისინი, ღვთაებრივი აღზნებით ხელმძღვანებულნი, მანამდე⁵ გამოვიდნენ ქუჩებში, რათა იმ იუვენალისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ, და დაჭინებით სთხოვდნენ მას, გაიხსენე შენი სიტყვები, განიშორე უღვთოება და იბრძოლე ჰეშმარიტებისათვისო.

ხოლო როდესაც მან არ დაუთმო, ისინი შეიკრიბნენ მაშინვე წმინდა ქალაქში, ჰყავდათ რა თავიანთ წრეში უფალი იესო ქრისტე, რომე-

¹ ამის მიხედვით ის მღვდლად ეკურთხა 445 წელს.

² Jhiba=მოცემული.

³ ეფესოს კრებაზე 449 წელს.

⁴ არქიელი (?)—ხ. ყ.

⁵ ე. ი. სანამ ეპისკოპოზი შემოვიდოდა ქალაქში.

ლიც თუმცა უარყვეს უღვთოებმა, მაგრამ მაინც ეხმარება თავის ჰუმ-
მარიტებას და თავის მართლმორწმუნე ეკლესიას, რომელიც მან იხსნა
საკუთარი სისხლით. და მის მწყალობლობით ჩაგონებულნი და მგზნე-
ბარე მართლმადიდებელ ეპისკოპოზთა, ისევე როგორც წმინდა რომა-
ნოზის, მონაზონთა აბატის მონაწილეობით, გამოარჩიეს ცხოვებულნი
თეოდოსი წმინდა წყებიდან (ე. ი. მონაზონთა რიცხვიდან), კაცი,
რომელიც ყმაწვილობიდანვე ეტრფოდა მონაზვნურ ცხოვრებას და
აღჭურვილი იყო უფლისმომშობის ყველა ნიჭით და თვით უღვთო
სინოღზე გამოირჩეოდა მრავალი ბრძოლით (ἐπιθεΐξασα ἀγώνας)
მართლმადიდებელი სარწმუნოებისათვის, და იგი დააყენეს წმინდა
ქალაქ იერუსალიმის მთავარმღვდლად და მწყემსად¹. (54) როდესაც
ამან ღვთისაგან მიიღო მღვდლობა, მგზნებარე წარმართა ყოველ-
გვარი ზრუნვა და ყოველგვარი სიბეჯითე იმისკენ, რომ მის ქვემდ-
ბარე ეკლესიებში სუფთად დაეცვა სამოციქულო რწმენა. მან გამო-
არჩია წმინდა მონაზონებისა და ჯვარისმტვირთველთა წყებიდან წმინდა
კაცები, რომელთაც განსაკუთრებით ყველაფერ იმაში, რაც ეხება სახა-
რებულ ქცევასა² და რწმენას, უმწიკვლობის საბუთი აჩვენეს, და მან
ესენი აკურთხა ეპისკოპოზებად და აღმსარებლებად (ἡμάρτυρας, ἑπίσκο-
ποι), ყოველ ქალაქს უგზავნიდა ის იმას, რომელიც მას შეეფერებოდა,
მის შემდგ რაც ყოველი ქალაქის ხალხი დადგენილებას (ἑπιφύλαξ)
გამოიტანდა და მას აირჩევდა. ამიტომ მათ ლეზულობდნენ სიხარუ-
ლით და ზეიმით. რამეთუ, როდესაც ის კურთხევას დაასრულებდა,
პატრიარქი ხმამაღლა იტყოდა და უდასტურებდა იმათ, ვინც ხელთ-
დასხმულნი იყვნენ: „გაკურთხებ თქვენ მართლმადიდებელი რწმენის
მორწმუნებად და მქალაგებლებად“. რამეთუ დრო ისეთი იყო, რომ ასეთ
ეპისკოპოზებს საჭიროებდა!

მაშინ ღაზაში შემავალი მაიუმის (Μαΐουμας Γάγγης) მცხოვ-
რებნი, რომელნიც ღვთაებრივი ძალის მიერ იყვნენ წაქეზებული და
რომელთაც კარგა ხანია იცოდნენ ცხოვებული პეტრეს შესახებ, რომ
ის მათთან ცხოვრობდა და საუცხოობის ყოველგვარი ნიშანი აჩვენა, —
აი ეს მცხოვრებნი, მთელი ხალხი გაემართა მაშინვე იქითკენ, სადაც
ის (პეტრე) მშვიდად ცხოვრობდა, და ძალით მოიყვანეს, თუმცა ის
ძალიან ეწინააღმდეგებოდა მათ, კარებს უკეტავდა და ურდულს ადებდა,
როდესაც ხელავდა, რომ ისინი მოსულიყვნენ მასთან როგორც უაჩალთა
ურდოები. მაგრამ ხალხმა ძალით [და ამავე დროს] სიყვარულით

¹ ზაქარიას მიხედვით იუვენალი კეისართან დაბრუნდა და ჯარის მუშევრობით
იქმნა თავის ტახტზე აღდგენილი.

² ეესევი h. e. VII, 32: πολιτεία εὐαγγελική.

წაიყვანა ის და დასვა ტახტრევანზე და ისე წაიღო. და წარჩინებული უმაღლესი მოქალაქეების დიდმა სიმრავლემ, სამღვდლოებამ და დიდძალმა ხალხმა, რომელიც მათ კბაძავდა და მიეკედლა, წაიყვანეს ის წმინდა ქალაქში, რათა მათ იქ სამღვდლოების მთავარქურუმებისგან მიეღოთ თავიანთი მწყემსი და ეპისკოპოზი. გზად რომ მიდიოდნენ და უკვე საღამო ახლოვდებოდა, მიაღვნენ ისინი სოფელს, სახელად სოქა¹. თვითონ ისინი გაჩერდნენ იქვე ახლოს (55) მდებარე სასტუმროში

(*παυθιαειον, قنات*), წმინდანი კი იმათთან ერთად, ვინც მას საუარაულოდ ჰყავდნენ მიყენებული, მიიყვანეს თვითონ სოფლის ერთ სახლში, რომელიც მაღლა მდებარეობდა. შუალამე რომ იყო, და მას მისი ფიქრები ტანჯავდნენ და აწუხებდნენ, ვინაიდან, როგორც მე წინათაც ვთქვი, ის ყოველთვის გაურბოდა (ზედმეტ) დატვირთვას² და მღვდლობის პატივისათვის თავის თავს უღირსად თვლიდა, გადაწყვიტა, რომ უკიდურეს შემთხვევაში უფრო მისაღები იყო მისთვის სიკვდილი, ვიდრე ასეთი ტვირთი ეკისრა. და ერთ უქამო ღამის საათში (σφα ἄσπιδος = ἄσπιδος), როდესაც ყველა ღრმა ძილში იყო, რადგან დამქანცველი მგზავრობის გამო დაღლილი იყვნენ, სთხოვა მან თავის ყარაულემს ნებართვა, სხეულის საჭიროების დასაკმაყოფილებლად წასულიყო სახურავის ქვეშ ბანის წინ მდებარე ადგილას. და როდესაც მათ ნება დართეს და ის მარტო გავიდა, დააპირა სასწრაფოდ გადავარდნილიყო ამ მაღლობიდან ქვეშ მდებარე კლდიან ადგილზე, იმ ვარაუდით, რომ ორში ერთი მოხდებოდა: ან ის, რომ სრულიად დაიძვრენდა თავს, ან ის, რომ, თუ დასახიჩრდებოდა და ამის გამო უვარგისი გახდებოდა, თავის მეთაურთა ძალაუფლებისაგან განთავისუფლდებოდა. მაგრამ ის რომ ამ განზრახვის შესრულებას აპირებდა, მოესმა მას ხმა, რომელმაც უთხრა: „პეტრე, პეტრე, თუ შენ ამას იქმ, ჩემთან აღარავითარი მონაწილეობა არ გექნება“; ასე დაუბრკოლდა მას თავისი განზრახვა, და ის იერუსალიმში მიიყვანეს. და იქ დიდი აურზაური ატეხა მან, თავის თავს ბრალდებებს უყენებდა, ძალიან ბევრი საბუთები მოჰყავდა იმის დასამტკიცებლად, რომ ის მღვდლობისათვის უღირსია და მოწმედ მოჰყავდა ის, ვისაც მისი კურთხევა ჰქონდა განზრახული³.

¹ ალბათ Socho, რომელიც მდებარეობდა ელვეთერუპოლისსა და იერუსალიმს შუა.

² დავალებებით, რომლებიც მას მჭვრეტელობითი ცხოვრებისაგან აშორებდნენ.

³ ზაქარიას მიხედვით (III, 4) პეტრეს უთქვამს—ერეტიკოსი ვარო. როდესაც თეოდოსიმ ეს არ თვებულა, მან თქვა: ერეტიკოსი, მართალია, არა ვარ, მაგრამ

ხოლო თუმცა ის თვით ღვთაებრივი წყალობის განკარგულებით ჩადგა (56) [საეპისკოპოზო თანამდებობაზე] და ხელთდასხმაც მიიღო, მაგრამ მაინც არ უნდოდა წირვის დაყენება, არამედ ჩაიკეტა მღვდლის ოთახში და, თუმცა ყველანი და თვით პატრიარქიც მას ემუდარებოდნენ და განუწუვეტლივ თხოვდნენ, მანამდე არ იკისრა წირვის დაყენება, სანამ მას კვლავ ღვთაებრივი ხმა არ დაემუქრა და არ უბრძანა.

და, როდესაც ღვთისმსახურების კრება იყო ეგრეთწოდებულ სილოაჰ-ის ეკლესიაში, ის გამოვიდა სასწრაფოდ თავისი ნებით [თავის სამალავიდან], იმ დროს როდესაც ყველას უკვირდა, გაოცებული იყვნენ. და ისინი შეიკრიბნენ არქიეპისკოპოზთან და დანარჩენ ეპისკოპოზებთან ერთად, ყველანი სიხარულით, ზემოთ და განცვიფრებით მიეგებნენ მას და აღიღეს ღმერთი. რამეთუ ისინი დიდად იყვნენ ჩაფიქრებული და საგონებელში ჩავარდნილი, ვაი თუ მისმა უარის იქმამ ბევრს მისცეს საბაბი გაჯავრებისათვისო:

ხოლო როდესაც ის მაიუმის წმინდა ეკლესიაში ჩავიდა, ყველას იანხლებით, ავიდა და დაჯდა ტახტზე აბ-ის (აგვისტოს) თვის მეშვიდე დღეს; ეს იყო ყველა მათთვის დიდი, წმინდა და ზეციური დღესასწაული და სიცოცხლე სულებისთვის. და ხალხი რომ აწყდებოდა და იითოეული ნატრულობდა მის წმინდა ხელებიდან ზიარებოდა [წმინდა ერობის] მაცხოვრებელ საიდუმლოს, კვლავ დაბრკოლება შეხვდა დიდ სორცხობის გამო, თვითონ შეეწირა თუ არა (მსხვერპლი)¹, არამედ უნდოდა ხუცებისათვის² და დანარჩენი სამღვდლო პირებისათვის ნება სეცა წმინდა მღვდელმსახურება შეესრულებინათ, თვითონ კი მანამდე არ მოინდომა დამდგარიყო საკურთხევის წინ და ზიარება განეხორციელებინა, სანამ ხალხი უკმაყოფილო არ გახდა და არ აღივზნა, და რადგან ეგონა, რომ ის გაქცევაზე ფიქრობდა, მივარდა და დაემუქრა, რომ მასაც და ეკლესიასაც გადასწავდა, თუ ის მათ წირვას არ დაუყენებდა, და, ამრიგად, ის იძულებული იყო წმინდა საკურთხევის წინ წამდგარიყო...

მაშინ ცხონებული პეტრე გახდა ყველა მართლმადიდებელთა ბურჯი და ნუგეში: ის ეგვიპტეში (59) დაეხეტებოდა და ღვთის სურვილით ალექსანდრიელთა ქალაქში მივიდა და იქ დაიმალა, იმ მოჯანუე პრო-

ცოდვილი კი ვარო. მაგრამ თეოდოსიმ, რომელიც ამ კაცს იცნობდა, იგი აკურთხა მღვდლად ლაზის მცხოვრებთათვის.

¹ ე. ი. ეწირა (?)

² და არა „ეპისკოპოზებისთვის“, როგორც ეს შეცდომით სწერია.

ტერიუსის დღეებში. და როდესაც ვერც ერთი იმათგანი, რომელნიც ჭეშმარიტების მტკიცე დამცველნი იყვნენ, ვერ ბედავდა გამოჩენას, ვერც სამღვდლო პირი და ვერც მონაზონი, ის (ე. ი. პეტრე), რომელიც იმალებოდა და ღვთისმსახურებას ასრულებდა და ყველას, ვინც ამას მოისურვებდა, გამოსაკვებად ფულს აძლევდა, ნებას არ აძლევდა, რომ სულით დაცემულიყვნენ, არც რამე დაეკლოთ მგზნებარებისათვის და რწმენისათვის.

ხოლო თვითონ ღირსი გახდა შემდეგი სახის საზარელი მოჩვენება (θραυμα τίσυβε) ენახა: როდესაც ქალაქში იმ ადგილას, რომელსაც „თეატრონი“¹ ჰქვია, მთელი ხალხი სანახაობას უყურებდა, მორწმუნე ხალხმა, აღგზნებისაგან აღტაცებულმა და ღვთაებრივი ძალის მიერ წაქეზებულმა, უცბად დაიწყო უვირილო: „ღიოსკურე ქალაქში! მართლმადიდებელ ქალაქში! აღმსარებელი თავის ტახტზე (დაჯდეს)! პროტერიუსის ნეშტი დაიწვას! გააძევე იუდა, გარეთ გაათრე იუდა“!. უთვალავი სხვა წამოძახილებიც გადმონათხიეს, რომ ღიოსკურე, ღვთისმოშიშობის მებაირალტრე, უსამართლო გაძევებიდან უნდა დაბრუნდეს და თავისი ტახტი დაიკავოს, რათა უაჩალი მგელი და ღვთისმებრძოლი, ახალი კაიაფა, ჩამოგდებულ იქნეს და სრულიად გაძევებულ იქნეს წმინდა ეკლესიებიდან.

მაგრამ მმართველებმა იზრუნეს იმაზე, რომ მაშინდელ ხელისუფალთათვის ესამოვნებინათ და ეძებდნენ თავის სარგებლობას, მოიყვანეს დიდი რაოდენობა შეიარაღებული ჯარისკაცებისა და ალყა შემოარტყეს თეატრს; (60) ისინი დაემუქრნენ ქლეტითა და სიკვდილით და ხალხი იძულებული იყო ისე აჩქარებულიყო, რომ გარეთ რომ გარბოდნენ და თეატრის ვიწრო შესასვლელებში ერთმანეთს ჭყლეტდნენ, ამ დროს ბევრი დაიხოცა. თუმცა, როგორც ვთქვი, პეტრე იმალებოდა, მაგრამ სწორედ მაშინ განახორციელა ცხონებულმა წმინდა მისტერიები. და აღტყინების (ექსტაზის) დროს მან იხილა, რომ მრავალი სულიანგელოზთა მიერ მიიტანებოდა და ზეცისაკენ აღიწეოდა, ხოლო როდესაც ხალხი ქალაქიდან მოვიდა და მოიტანეს ამბავი იქ მომხდარი ამბის შესახებ, გამოირკვა, რომ იმათი რიცხვი, ვინც იმ ჭყლეტასა და მიწოლ-მოწოლაში მოკვდა, უდრიდა იმ სულების რიცხვს, რომლებიც ცხონებულმა დაითვალა იმ მოჩვენების დროს. იმ უაჩალის მსგავსად, რომელიც ნეტარად იქმნა შეფასებული², დაწესა ამათაც იმავე

¹ აშიაზე სწერია: المقام

² ლუკა 23, 40—43; ლუკასთან მოთხრობილი ამბის მიხედვით უნდა უოფიოდ იყო: „რომელსაც შეინება ცხონება“.

დროს ისეთივე გვირგვინები ერთ საათში რწმენის აღიარების წყალობით, რამეთუ ასეთი ჯილდო ისეთებზე ვრცელდება, რომლებიც მართლმადიდებელი სარწმუნოებისათვის იბრძვიან...

იმ ხანებში ცხოვრობდა აგრეთვე ნეტარი ესააია ევფიმქელი, ის დიდი ასკეტი და წინასწარმეტყველი, რომელსაც უოველი კაცი მეორე ესაიას ეძახდა, მით უფრო რომ ის შვილობით ფლობდა იმ დიდი წინასწარმეტყველის ცნობილ სიკეთეს, სიბრძნესა და ძალას ამ მხარეში (აბაჰი), იმ სოფელში, რომელსაც (97) ბეთ დაღთა¹ ერქვა, ოთხი მილიონ მოშორებით მამა პეტრესაგან, რომლის სახარებრივ მოქცევას და ნიჭთა სიმდიდრეს, რომლებიც მას ახასიათებდა მისი ახალგაზრდობიდან ვიდრე ღრმა მოხუცებულობამდე, ჩვენი სუსტი ძალღონე ვერ შესწვდება აღსაწერად. რამეთუ ამას დასჭირდება მრავალი წიგნი, როგორც ამაში დარწმუნებული არიან ისინი, რომელთაც გაიცნეს მისი ნიჭი გამოცდილებით, და როგორც მის შესახებ მოწმობენ ნარკვევები და მოთხრობები². რამეთუ ის თრეუნავდა მომთმენობით თავის ხეულის აგრეთვე იმ ზომამდე, რომ მისი სხეული როგორც ქვა ისეთი გახდა, ზოლო ეღუნდა და ღვიძლი ერთმანეთს შეზრდოდნენ და ერთად ფიდნენ. თავის მოხუცებულობაში კი ის მარტო (მარტი) სჭამდა: დღეში საჭმლის მხოლოდ მცირეოდენ რაოდენობას ღებულობდა. მაგრამ ამასაც ის მუქთად კი არ ღებულობდა, არამედ მხოლოდ იმნაირად, რომ წინასწარ სამ-ადლიან ბაღეს, საკუთარი ხელით ნამუშევარს, საფასურად აძლევდა. მაგრამ როდესაც ის თავის მონასტერში³ ჩაიკეტა, იმათ, რომელნიც მასთან მოდიოდნენ, თავისი თანამესენაკის (მანუაქა), მამა პეტრეს მეშვეობით, ხუცესის, იმ კაცის, რომელიც ფლობდა მისვე მსგავსად სიკეთეს, სიწილეს, სიწრფელეს და ძალას, აძლევდა რჩევას, მაგრამ ღმერთი იყო, რომ ამ ორი მნათობის, მე ვგულისხმობ მამა პეტრეს, ეპისკოპოსს, და მამა ესაიას, ამ მეზობლობას თავისი ხელმძღვანელობით წარმართავდა, რათა ვინც ერთ თან მივიდოდა რჩევა-დახმარების გულისთვის, ახლობლობის გამო მეორესთანაც შესძლებდა დახმარების მიღებას, რათა, ამნაირად, მათი შეხედულების მიხედვით დამოძღვრილნი და განმტკიცებულნი თავიანთ სახლებში დაბრუნებულიყვნენ...

(125) ჩვენ მთელი დღე ვმარხულობდით და საღამომდე მძიმე გლოვაში, მწუხარებაში და ვნებაში ვიყავით; ნეტარი (პეტრე) კი

¹ აკარიბჭვა.

² ერთი ასეთი „მოთხრობა“, სახელობრ ზაქარიასი, მოიპოვება სირიულ თარგმანში, ბერლინის ხელნაწერში, საიდანაც ამოღებულია პეტრეს ბიოგრაფია.

³ თავის დასახვეწებელ სახლში *ἡσυχαστήριον* (სოხასტერონი? — ნ. უ.).

